# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 6 ივლისი, № 27 (2755) გამოცემის 58-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.


## საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის განცხადება

საქართველოს მწერალთა კავშირი, როგორც დეპოლიტიზებული ორგანიზაცია, არც ამჟამად და არც მომავალში არ ცნობს არც ერთი პოლიტიკური პარტიისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის დიქტატს, მოქმედებს მხოლოდ საკუთარი წესდების ფარგლებში და გამოხატავს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა უმრავლესობის აზრს.

მწერალთა კავშირი აღიარებს და დაიცავს ყოველი მწერლის სრულ შემოქმედებით და პიროვნულ თავისუფლებას, მიესალმება და მხარს დაუჭერს მის ინიციატივას, ცნობს და პატივს სცემს უმცირესობის აზრს და თავს არ მოახვევს მისთვის მიუღებელ შეხედულებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი არ თვლის თავს მონოპოლისტად მხატვრული ლიტერატურის განვითარების დარგში, იგი ცნობს იმ მწერალთა და ლიტერატორთა საავტორო და საგამომცემლო უფლებებს, რომელნიც არ არიან კავშირის წევრები, მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგია მწერალთა კავშირის წევრების გაერთიანებისა ისეთ სამწერლო ასოციაციაში თუ ფედერაციაში, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირს დაუპირისპირდება, როგორც ალტერნატიული ორგანიზაცია.

საქართველოს მწერალთა კავშირისა და მწერალთა მოვალეობად მიგვაჩნია, მათი მორალური, ინტელექტუალური და მხატვრული პოტენციალი ემსახურებოდეს დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, შემდგომ მისი განმტკიცების საქმეს. მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება გულისხმობს ამ წმინდა იდეალის უანგარო, თავდადებულ სამსახურს და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური თანასწორუფლებიანობის, ჰუმანური იდეალების ერთგულებას, რაც არ გამორიცხავს მსოფლმხედველობრივ, მხატვრულ-ესთეტიკურ, მეთოდოლოგიურ თავისუფლებას.

საქართველოს მწერალთა კავშირს მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია, არ დაუშვას ქართველი მწერლების დაქსაქსვა და დაჯგუფება, ურთიერთ ქიშპი და კინკლაობა. დასანანია ის გარემოება, რომ ცალკეული მწერალი, რომელსაც ჭეშმარიტად ნიჭიერი ვერაფერი შეუქმნია შემოქმედებით ასპარეზზე, ცდილობს ეროვნული მოძრაობის ალამს ამოეფაროს და ამ გზით პიროვნული პრივილეგიები მოიპოვოს, იჭერს ვითომდა „მართლის თქმის“ პოზიციას და სინამდვილეში შეურაცხყოფს და ამცირებს მთელ ქართულ მწერლობას.

ქართველი მწერლები იმასაც კარგად გრძნობენ, რომ მწერალთა კავშირის არსებული სტრუქტურა აღარ აკმაყოფილებს დღეს დამკვიდრებულ ფართო დემოკრატიას და, საერთოდ, შემოქმედის თავისუფალი ნების მოთხოვნებს. ამიტომაც განზრახულია თვისობრივად ისე გარდაიქმნას იგი, რომ მომავალი თავისუფალი საქართველოს ჭეშმარიტი დემოკრატიული კონსტიტუციის პრინციპებს ესადაგებოდეს. ეს დიდ რუდუნებას და შრომას მოითხოვს. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს ნათლად აქვს გაცხადებული, რომ მწერალთა კავშირის ახალი წესდების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ქართველი მწერლის ნება და ინტერესი. ეს ისტორიული დოკუმენტი უნდა დაეფუძნოს ქართველი მწერლების საერთო აზრს და არა ცალკეული პიროვნების თუ ჯგუფის ამბიციურობასა და ეგოცენტრიკულ ზრახვებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს ისიც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია და მმართველური სისტემის დეცენტრალიზაცია. ამიტომ იგი აღიარებს ქართველ მწერალთა ესთეტიკურ-ეთიკურ კონცეფციურ გაერთიანებას სხვადასხვა ასოციაციად თუ ჯგუფებად. მაგრამ შეიმჩნევა ასოციაციათა სწრაფვა დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ერთეულად ჩამოყალიბებისაკენ, რაც სინამდვილეში მეორე „მწერალთა კავშირის“ შექმნის ტოლფასია. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი ამ ეტაპზე კატეგორიულად წინააღმდეგია მწერალთა კავშირის წევრების გაერთიანებისა ისეთ სამწერლო ასოციაციებსა და კავშირებში, რომლებიც იქმნებიან როგორც მწერალთა კავშირის ალტერნატიული ორგანიზაციები, რადგანაც დღეს ასეთი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულების შექმნა შლის ჩვენს ისედაც დაქსაქსულ საზოგადოებას და დამღუპველია, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული მოძრაობისათვის.

მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ის პირნი, რომლებიც გაერთიანდებიან ამგვარ სტრუქტურულ ორგანიზაციებში, მექანიკურად აღმოჩნდებიან საქართველოს მწერალთა კავშირის მიღმა.

არასდროს ისე მნიშვნელოვანი არ ყოფილა საქართველოს მწერალთა ერთსულოვნება და კონსოლიდაცია, როგორც დღეს, როცა ქართველი ერი იბრძვის სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, საქართველოს ბედნიერი, ჭეშმარიტად თავისუფალი ცხოვრების ასაშენებლად.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი**

## საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე

26-27 ივნისს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი, მიეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის განხილვას.

განხილვაში მონაწილეობდნენ: გრიგოლ აბაშიძე, რევაზ ამაშუკელი, თენგიზ ბუაჩიძე, გურამ გვერდწითელი, რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, რომან მიმინოშვილი, რევაზ მიშველაძე, გიორგი ნატროშვილი, ენვერ ნიჟარაძე, შოთა ნიშნიანიძე, ოთარ ნოდია, არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭელიძე, ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ ჯაფარიძე, გიორგი ნიშნიანიძე, ვიქტორ კახნიაშვილი, ნაირა გელაშვილი, მიხეილ ქვლივიძე, თამარ ერისთავი.

პრეზიდიუმის წევრებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ახლა, როდესაც საქართველოში გაშლილია ეროვნული მოძრაობა ქვეყნის სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის მისაღწევად, როდესაც, როგორც არასდროს, საჭიროა ერის კონსოლიდაცია და ერთ მუშტად შეკვრა, სწორედ ახლა გვიხდება ანალიზი მეტად არასასიამოვნო მოვლენებისა, რომლებიც თიშავს და ერთმანეთს უპირისპირებს ქართულ მწერლობას. ამის დაშვება, ამის მოთმენა კი შეუძლებელია.

პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ თავისი არსებობის თექვსმეტი წლის მანძილზე კოლეგიამ არაერთი სასარგებლო საქმე გააკეთა. ამავე დროს, უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა იმის ტენდენცია, რომ კოლეგიის ხელმძღვანელობა მეორეხარისხოვნად მიიჩნევს მის წინაშე მდგარ უმთავრეს ამოცანას — პირველხარისხოვანი თარგმანებით გაამდიდროს მშობლიური ლიტერატურა.

ამგვარი მისწრაფება კი ჭეშმარიტ მთარგმნელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს, ვინაიდან ილახება მათი შემოქმედებითი ინტერესები. არადა, ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების რუკაზე არაერთი „თეთრი ლაქაა“, არაერთი დიდი უცხოელი მწერლის შედევრი ელოდება ქართულ ენაზე ამეტყველებას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ კოლეგიის თავმჯდომარეს ოთარ ნოდიას იმთავითვე ახასიათებდა სეპარატისტული განწყობილება, კოლეგიის მწერალთა კავშირისაგან გამოყოფის სურვილი, რაც არაერთი კონფლიქტური სიტუაციის მიზეზი გამხდარა. თუმცა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა კოლეგიას. ასე იყო ახლაც. მწერალთა კავშირის სამდივნომ მხარი დაუჭირა კოლეგიის დიდი ხნის სურვილს საკუთარი გამომცემლობის დაარსების თაობაზე და აღძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე. ოთარ ნოდიამ, რომელიც მისთვის ამ სასურველი დოკუმენტის მიღებამდე არ მოცილებია მწერალთა კავშირის თავმჯდომარისა და მდივნების კარებს, საქმე მოთავებულად ჩათვალა, სასწრაფოდ მოიწვია თანამშრომელთა კრება და ულტერნატივო არჩევნებით ხუთი წლის ვადით აარჩევინა საკუთარი თავი კოლეგიის თავმჯდომარედ. ამგვარმა ნაბიჯმა უკურეაქცია გამოიწვია და შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 6-7 თვის მანძილზე კოლეგიის თანამშრომლები დროს ფაქტიურად ურთიერთანგარიშსწორებაში ატარებენ.

პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდნენ ცხინვალელი ქართველები, ივანე მაჩაბლის სახელობის საზოგადოების წევრები, რომლებმაც სამართლიანი პროტესტი გამოთქვეს თამარაშენში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის რესტავრაციის უსაშველოდ გაჭიანურების გამო. ათწლიანი რესტავრაციის „შედეგი“ ის გახლავთ, რომ დამახინჯდა მაჩაბლის სახლი, ვაიმშენებლებმა დაანგრიეს მაჩაბლისეული სცენა და მარან-საწნახელი, რომელიც მთელი რეგიონის სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი იყო, მაჩაბლის სახლს მიაშენეს სამსართულიანი შენობა, რომელმაც მთლიანად შეუცვალა დიდი მთარგმნელის კარ-მიდამოს სახე. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ეს სახლი მთარგმნელთა კოლეგიას ეკუთვნის და იგია რესტავრაციის პროექტის შემკვეთი, ყველაფერი ნათელი გახდება.

პრეზიდიუმის წევრებმა დეტალურად გააანალიზეს მთარგმნელობით კოლეგიაში შექმნილი სიტუაცია და დაადგინეს: ვინაიდან ოთარ ნოდია არ ემორჩილება მწერალთა კავშირის სამდივნოსა და პრეზიდიუმის დადგენილებებს, პრეზიდიუმმა მიმართოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს, რათა გამოყოს კომპეტენტური კომისია, რომელიც გამოწვლილვით შეისწავლის მთარგმნელთა კოლეგიის მიერ გაწეულ საქმიანობას და გამოიტანს კომპეტენტურ დასკვნებს.

პრეზიდიუმზე გულისტკივილით აღინიშნა, რომ მწერალთა ერთმა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც იუწყება მწერალთა კავშირში 11 ივლისს 3 საათზე ქართველ მწერალთა ფედერაციის წესდების პროექტის განხილვის ჩატარებას.

მწერალთა კავშირის კარი ყველასათვის ღიაა, მაგრამ კოლეგიალობა მოითხოვს, ჯერ შეუთანხმდნენ მწერალთა კავშირის სამდივნოს, გაიგონ მისი აზრი, მით უმეტეს, თუკი ის წინააღმდეგი არაა მსგავსი ღონისძიების მწერალთა კავშირში ჩატარებისა.

# თვისებრივად ახალ ვითარებაში

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დროებით შეწყვიტა მუშაობა საქართველოს სახალხო ფრონტის მეორე ყრილობამ. იგი 27-30 ივნისს მიმდინარეობდა. თავად ის ფაქტი, რომ ყრილობა განსაზღვრულ ვადაში ვერ ჩაეტია, მიგვანიშნებს, თუ რაოდენ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე საერთოდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში...

ყრილობას მიესალმნენ ლატვიის, ესტონეთის სახალხო ფრონტების, ლიტვის „საიუდისის" წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია ხმის დამთვლელი კომისია, სამანდატო კომისია და სამდივნო, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ და მისმა მოადგილემ ავთანდილ იმნაძემ ყრილობას მოახსენეს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე, ანგარიშით წარსდგნენ გამგეობის ზოგიერთი წევრი და დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები. ბატონმა ნოდარ ნათაძემ აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში ატიპიური მდგომარეობაა, ამიტომ სახალხო ფრონტის მოქმედებაც ატიპიურია — ბრძოლა და ბრძოლისათვის მზადება ერთდროულად უხდება. მომხსენებელმა გამოყო ის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც ახასიათებდა ყრილობიდან ყრილობამდე სახალხო ფრონტის მუშაობას:

საქართველოს უზენაესი საბჭო ფაქტიურად ოკუპაციის შედეგია შეზღუდული უფლებებით, მაგრამ მან (სახალხო ფრონტის ხელშეწყობით) მიიღო რიგი კანონებისა, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ აუცილებელია ამ კანონების განხორციელება.

ქართველებისათვის მიწის გადაცემა; ქართული მოსახლეობის განსახლება დემოგრაფიულად მწვავე რაიონებში.

ეთნოკონფლიქტების რეგულირება.

სოციალური პრობლემების მოგვარება.

გამომსვლელთა უმეტესობა თვითკრიტიკულად იყო განწყობილი, მაგრამ ზოგიერთ გამოსვლაში ფრონტის მუშაობის მხოლოდ დადებით მხარეებზე გამახვილდა ყურადღება. გამოიკვეთა აზრი, რომ სახალხო ფრონტს მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორი უშლიდა ხელს სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში, მიზანმიმართულ საქმიანობაში.

კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა აღნიშნა, რომ ფრონტის მომავალი საქმიანობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია გამოვიმუშავოთ კოლექტიური მუშაობის ჩვევები, ვიმოქმედოთ ურთიერთშეთანხმებულად და გააზრებულად... რაც მთავარია, ახალგაზრდობა ორგანიზაციულ მუშაობაში უფრო ფართოდ ჩავაბათ.

მწვავე კამათი გაიმართა სახალხო ფრონტის პროგრამისა და წესდების ზოგიერთი მუხლის, განსაკუთრებით — პრეამბულის გარშემო, სადაც სახალხო ფრონტის სტატუსია განსაზღვრული.

პროგრამისა და წესდების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ ინფორმაცია გააკეთა ნოდარ ნათაძემ. კამათში მონაწილეობდნენ: რომან გოცირიძე, თემურ ნერგაძე, თამაზ გამყრელიძე, ვალერიან ადვაძე, კოტე ბერიძე, თენგიზ ლილუაშვილი, აბესალომ ტუღუში. სახალხო ფრონტის წევრობის შესახებ გამოითქვა ორი შეხედულება: 1) სახალხო ფრონტი ზეპარტიული მოძრაობაა, რომელიც უნდა აერთიანებდეს ყველა პარტიის (მათ შორის კომუნისტური პარტიის) რიგით წევრებს. 2) სახალხო ფრონტის რიგებში დაუშვებელია კომპარტიის წევრთა მიღება, რადგან მაშინ სახალხო ფრონტი ერთიანი ბლოკით უნდა გამოვიდეს კომპარტიასთან მომავალ არჩევნებში. საბოლოოდ მიიღეს ასეთი ვარიანტი: საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი ვერ იქნება ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ან პარტიის წევრი: ა) რომლის წევრთა უმრავლესობა არ არის ქართველი და რომელსაც მმართველობის ცენტრი არა აქვს საქართველოში. ბ) რომლის პროგრამაც ეწინააღმდეგება საქართველოს სახალხო ფრონტის პროგრამას. ყრილობის გადაწყვეტილებით სახალხო ფრონტის წევრებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის რიგებში არიან, არჩევანისათვის მიეცა ერთი თვის ვადა.

გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა რეგიონალური და უწყებრივი ფრონტების ურთიერთობაზე ცენტრთან, მათ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

ყრილობამ სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ, ალტერნატიული კანდიდატურის გარეშე, ღია კენჭისყრით, ორი წლის ვადით აირჩია ნოდარ ნათაძე.

წესდებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ფრონტის უმაღლესმა ორგანომ — ყრილობამ უნდა აირჩიოს დარბაზი, რომლის წევრთა რაოდენობა 88 კაცით განისაზღვრა. აქედან 44 წევრი უნდა წარმოადგინონ რეგიონალურმა ორგანიზაციებმა, ხოლო დანარჩენს ირჩევენ ყრილობის დელეგატები. დარბაზი იკრიბება თვეში ერთხელ, იგი ირჩევს რედკოლეგიას, დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეებსა და მუშა ჯგუფს — თავმჯდომარის წარდგინებით.

დარბაზის წევრთა კანდიდატურები ყრილობაზე დაასახელეს, მაგრამ მათი არჩევა არ მოხერხდა კვორუმის უქონლობის გამო.

მეოთხე დღეს ყურადღება გამახვილდა აფხაზეთის რეგიონში, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში" და ჯავახეთში შექმნილ დაძაბულ ვითარებაზე, ამ მწვავე კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობაზე.

დელეგატთა ნაწილის მოთხოვნით, ყრილობის განახლებისას პრინციპულად, ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოიხატოს სახალხო ფრონტის პოზიცია, როგორც კონგრესის, ასევე, მომავალი ოფიციალური, მრავალპარტიული არჩევნების მიმართ; ყველაფერი გაეთდეს, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან აქტიური თანამშრომლობისათვის, ეროვნულ მოძრაობაში შექმნილი სიტუაციის განსამუხტავად, რადგან დღეს ქართველ ხალხს ისტორიული შანსი ეძლევა აირჩიოს „გზა ხსნისა"...



# „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია ქუთაისში

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის მიწვევით 29 ივნისს ქალაქს, აქაურ კოლეგებსა და მკითხველებს ეწვია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია — მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე, მთავარი რედაქტორის მოადგილე ჯუმბერ თითმერია, პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე, სარედაქციო კოლეგიის წევრები გურამ ფანჯიკიძე და თამაზ წივწივაძე, განყოფილებათა გამგეები მამუკა წიკლაური, უჩა შერაზადიშვილი, ანდრო ბედუკაძე, ივანე ამირხანაშვილი; აგრეთვე გაზეთ „ალმშენებლის" რედაქტორი, დრამატურგი თამაზ მეტრეველი.

მწერალთა სახლის სააქტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი მწერალი თეიმურაზ ლანჩავა.

სტუმრებს მიესალმნენ და სიტყვით გამოვიდნენ კრიტიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მწერლები დავით კვიცარიძე, ოტია იოსელიანი, რეზო ჭეიშვილი, ზურაბ კუხიანიძე, პედაგოგი ალეკო ყიფიანი, მეცნიერები გრიგოლ მარგიანი, მიხეილ ალავიძე, სიმონ არველაძე, რომლებმაც კეთილ სურვილებთან ერთად გამოთქვეს შენიშვნები და წინადადებები გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" პუბლიკაციებთან დაკავშირებით. კერძოდ, ითქვა, რომ გაზეთი ბეჭდავს საყურადღებო პუბლიცისტურ სტატიებს, რომლებსაც ინტერესით ეცნობა მკითხველი, ამასთანავე, სასურველია, უფრო მეტი ადგილი დაეთმოს დღევანდელ ლიტერატურულ პრობლემებზე მსჯელობას, ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებებს და ა. შ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვეს და მკითხველთა შეკითხვებს უპასუხეს ელიზბარ ჯაველიძემ, ჯუმბერ თითმერიამ, მამუკა წიკლაურმა, თამაზ წივწივაძემ, გურამ ფანჯიკიძემ. მათ ფართოდ ისაუბრეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რაც ესოდენ აინტერესებს დიდსა თუ პატარას, ისაუბრეს საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე, დღევანდელი ქართული მწერლობის საკითხებზე; აღნიშნეს, რომ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" მუდამ იზიარებდა მკითხველთა სურვილებსა და წინადადებებს და მომავალშიც შეეცდება მუშაობა ამ გეზით წარმართოს.

შეხვედრის დასასრულს თეიმურაზ ლანჩავამ მადლობა მოახსენა სტუმრებს საუბრისათვის და იმედი გამოთქვა, რომ „ლიტერატურული საქართველოსა" და ქუთაისელ მკითხველთა ეს შეხვედრა მათი ურთიერთთანადგომის საწინდარი იქნება.

იმავე დღეს „ლიტერატურული საქართველოს" წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის მოხუცთა პანსიონატის გახსნაში.

მურმან ჩაჩუას ფოტოები

# შეხვედრა მწერალთა კავშირში

აი, უკვე ორი წელია, რაც თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები მეგობრობენ თბილისთან დაძმობილებულ ქალაქ ატლანტის (აშშ, ჯორჯიის შტატი) უმაღლესი საფეხურის სკოლა „ნორთ ფულტონ ჰაი სქულთან".

ამ დღეებში ამერიკელი მოსწავლეები თავიანთი პედაგოგების დაგი ფრუ ტიგერისა და კონი ტეტნინის თანხლებით თბილისს ეწვივნენ, დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები, მუზეუმები, ისტორიული ძეგლები, იყვნენ კახეთში და დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

3 ივლისს ისინი სტუმრად იყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირში, სადაც შეხვდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მუხრან მაჭავარიანს.

— მე დიდად მოხარული ვარ ვუმასპინძლო დიდი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ქვეყნის ღირსეულ ახალგაზრდებს, —განაცხადა მუხრან მაჭავარიანმა, — მტკიცედ მწამს რომ თქვენი სტუმრობა ხელს შეუწყობს ქართველი და ამერიკელი ახალგაზრდობის გაცნობისა და დამეგობრების პროცესს. ჩვენმა მშფოთვარე ეპოქამ დიდი მისია დაგაკისრათ — იყოთ მშვიდობის დესპანები. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა ყველა გზისა და საშუალების გამონახვა, რათა თქვენმა თაობამ არ განიცადოს ბირთვული ომის საშინელებანი.

შემდეგ მუხრან მაჭავარიანი ამერიკელ ახალგაზრდებს ესაუბრა საქართველოზე, მის ძირძველ კულტურაზე, ქართული მწერლობის ათასხუთასწლოვან გზაზე, მის მიღწევებზე და სამომავლო ამოცანებზე, უსურვა წარმატებები სწავლასა და შრომაში.

ატლანტელებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს გულითადი დახვედრისათვის.



# გეოფიზიკის ინსტიტუტში

ახლახანს გეოფიზიკის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში შეხვედრა მოეწყო მოსკოვის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთან, გეოფიზიკის მეცნიერებათა დოქტორ ვლადიმერ ივანენკოვთან.

სტუმარმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა მიწისძვრის პროგნოზირების საკითხებზე. აღნიშნა, რომ მისი კვლევის მეთოდით შესაძლებელია ამ მეტად რთული, სპეციალისტებისათვის ჯერ კიდევ მიუკვლეველი საკითხების გაშუქება: ვოლფის შკალის მეშვეობით, დედამიწაზე მზის აქტივობის განსაზღვრით და სეისმოლოგიაში უკვე არსებული და საყოველთაოდ ცნობილი კატალოგის დახმარებით მეცნიერს მიწისძვრის რამდენიმე შემთხვევის პროგნოზირებაც კი მოუხდენია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ივლისის II დეკადაში კავკასიაშიც მოსალოდნელია 10-12 ბალიანი მიწისძვრა, ოღონდ გაურკვეველია ზუსტად სად იქნება ეპიცენტრი. ამავე თვის III დეკადაში კი იმავე სიძლიერით მიწისძვრა განმეორდება ყირიმში.

ცხადია, შემაძრწუნებელია ამდაგვარი განაცხადის მოსმენა, თანაც მეცნიერისგან, მაშინ როცა ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ სომხეთში დატრიალებული ტრაგედიის დროს მხოლოდ 9 ბალიანმა მიწისძვრამ შთანთქა და იავარჰყო ქვეყანა, შეიწირა უამრავი სიცოცხლე...

აღნიშნული მოხსენების გამო სიტყვებით გამოვიდნენ და კამათში მონაწილეობა მიიღეს სეისმოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ელეონორა ჯიბლაძემ, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ თამაზ ჭელიძემ, კოსმოსური სხივების ლაბორატორიის გამგემ თემურ ჯაფიაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ და სხვებმა.

აღინიშნა, რომ მიწისძვრის წინასწარ განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია, და მაინც კვლევის სურვილი რაღაც გარკვეულ მეთოდს, დადგენილ წესებსაც უნდა ითვალისწინებდეს. მხოლოდ პოპულარული ლიტერატურის გაცნობით და საკუთარი ვარაუდებით განაცხადის გაკეთება მეცნიერული ეთიკით მიუღებელია, დემაგოგიურია და საზოგადოებაში შიშს და პანიკას იწვევს.

ასეთი განაცხადი სეისმოლოგიაში წინასწარმეტყველებას უფრო ჰგავს და არავითარი სერიოზული მეცნიერული კვლევით მიღებულ დასკვნას არ ექვემდებარება.



## რომან მიმინოშვილი

# მზევ, შინ შემოდიო...

გაჩენის დღიდან არაფერს მეკითხებოდნენ, ადრე ხომ მით უფრო. ან სად გაგონილა, წინაპრებს რეფერენდუმი ჩაეტარებინოთ შთამომავალთა შორის — გინდათ თუ არა, ამ ქვეყანას მოევლინოთო? ღმერთო შემცოდე, შენგან ბოძებულ მადლს როდი ვიწუნებ, მაგრამ რა დავაშავე, რომ პირდაპირ გაგანია „სოციალიზმის მშენებლობაში" ამოვყავი თავი? იმისთვის მოვიდა ამქვეყნად ჩემი თაობა, რომ გაუთავებელი „დროებითი სიძნელეების" პირობებში დაბერებულიყო? არც მეტი, არც ნაკლები — „ტრუდნოსტი როსტა" ერქვა ჩვენს ცხოვრებას. არავინ მეკითხებოდა, მინდოდა თუ არა, კლასიკურ ფილოლოგიასთან, ძველ ქართულ ლიტერატურასთან ერთად მესწავლა და ათასჯერ ჩამებარებინა „მოკლე კურსი", გინებასავით აჟღერებული „დიამატ-ისტმატი", სოციალიზმის პოლიტეკონომია, სხვადასხვა სამხედრო „უსტავები"... უამისოდ ჩემგან ფილოლოგი და, საერთოდ, კაცი, თურმე, ვერ დადგებოდა!

გულისტკივილით წავიკითხე ამასწინათ ლიტვური გაზეთიდან გადმობეჭდილი სიტყვები: „ჩვენ, ომისშემდგომი წლების ბავშვები, მოტყუებული თაობა ვართ. წაგვართვეს ღმერთი, სიყვარული, რწმენა, სამშობლო. სანაცვლოდ მივიღეთ ზღაპარი კომუნიზმის ნათელი მომავლის შესახებ, სიმინდი, თეორია მაიმუნიდან ჩვენს წარმომავლობაზე..."

რატომ უნდა გვიკვირდეს, მეგობრებო, რომ არავინ არაფერს გვეკითხებოდა: გაგონილა, მაიმუნის შთამომავლებს უთანხმდებოდნენ — გალიაში გირჩევნიათ ცხოვრება, თუ ხის ტოტებზე ჩამოკონწიალებაო? ჩვენ კომუნისტური ექსპერიმენტისთვის გაჩენილი მაიმუნები ვიყავით, თანაც როგორები! ყველაზე ლამაზები, ყველაზე ხათრო და ლმობიერნი, ყველაზე ნიჭიერები, სხვისი გამოგონილი ორთქლმავლისა და თვითმფრინავის უფრო ადრე გამომგონებლები, უფასო განათლებითა და ჯანმრთელობის დაცვით გალაღებულნი! ხომ გახსოვთ კიპლინგის „მაუგლი", როგორ ამაყობდნენ ჩვენი წინაპრები თავიანთი მაიმუნობით? რაკი შრომამ შექმნა ადამიანი, ჩვენშიც გაილვიძა ადამიანმა, გალიაც გავალეთ, მაგრამ პირდაპირ ჯუნგლებში ამოვყავით თავი. ჩვენი წინაპრებისაგან განსხვავებით, საუბედუროდ, აღარ ვიცით, როგორ გამოვიყენოთ თავისუფლება — აქეთ პითონი გველოდება, იქით — ვეფხვი, ჩვენ კი ხეებზე აცოცება აღარ გვეხერხება...

„რეგულირებულ" საბაზრო ეკონომიკაზე უნდა გადავიდეთო, თვალებს აქეთ-იქით ნუ აცეცებთ, ყველანი ერთ საბჭოთა ხეზე უნდა ავძვრეთ, პითონი ვერას დაგვაკლებსო. საბაზრო ეკონომიკა ხომ ის არის, რითაც დაიწყეს ჩვენმა წინაპრებმა ცხოვრება, ჩვენ კი ამისი არაფერი გაგვეგება. ამიტომ გვეუბნებიან, ნუ გეშინიათ, დროებითი სიძნელეები იქნება, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვსო. „დროებითი სიძნელეები" ჩვენთვის ისე მშობლიური რამ არის, ეტყობა, ვერასდროს შეველევით. ოღონდ ერთი რამ არის გაუგებარი: გინახავთ სადმე ბაზარი, სადაც მარტო ერთი ოჯახის წევრები ევაჭრებიან ერთმანეთს? როგორ არაო, გვეტყვიან: უფროსი ძმა რომ კვეს მოგცემს, შენ კოჭი უნდა გაუგორო. ასე მარტივად წყდება საკითხი. მამიკო გვეტყვის — ერთ კვეში რამდენი კოჭი გაუგოროთ. რა სჯობია ასეთ ოჯახს, ასეთ ბაზრობას!

არ დავიშალოთ, ამხანაგო მაიმუნებო!

საინტერესო კანონი გამოიგონეს არდასაშლელად. ყველას კარგად მოეხსენება მისი მშვენიერება, მაგრამ მე მხოლოდ ერთ მომენტს მივაქცევ ამჟამად ყურადღებას. კავშირიდან გასულმა რესპუბლიკამ „საბჭოთა მოქალაქეს" უნდა აუნაზღაუროს ყველაფერი — ბინაც, სამუშაოც, თუ იგი საბჭოთა კავშირში დარჩენას ისურვებს. კანონმდებელს „ავიწყდება", რომ ებრაელ მოქალაქეებს, კუდის რიკამდე ძარცვავდნენ, ვიდრე საზღვარგარეთ გაუშვებდნენ — ჩვენი პური გიჭამია. შენზე რამდენი დაგვიხარჯავსო. გაგზარდეთ, ცოდნა მოგეცითო. თავისუფლება იყიდებოდა! ახლა კი რესპუბლიკას აჯარიმებენ იმისთვის, რისთვისაც თვითონ ჯიბეს ისქელებდნენ. განსხვავდება რაიმეთი თავისუფლების ყიდვა-გაყიდვა მონათმფლობელობისაგან? არა მგონია! თუმცა, საბედნიეროდ, ეტყობა, აუქციონი არ გაიმართება, ფასები წინასწარ მტკიცედ იქნება დადგენილი. მამა დაადგენს. შეიძლება კიდეც შეცვალოს, მაგრამ არ უნდა გვეწყინოს — მამაა ბოლოს და ბოლოს!

რადა ბევრი გავაგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლეი, — გლახა ჭრიაშვილისა არ იყოს, — ჩვენ შინაურ საქმესაც მივხედოთ. რა ხდება საქართველოში? აზვირთებულა საქართველო, „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა"... შეიქმნა მრავალი პარტია, რომელნიც „ეროვნულ ფორუმად" გაერთიანდნენ ერთი მიზნით — საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, შემდეგ მათ „მრგვალი მაგიდა" გამოეყო, ერთურთს დაუპირისპირდნენ. ამჟამად საქართველოში ძირითადად სამი პოლიტიკური ძალა მოქმედებს: კომუნისტური პარტია, „ეროვნული ფორუმი", „მრგვალი მაგიდა". ყველა მათგანი აცხადებს — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვითო. მე საით წავიდე, მე რომ არავინ არაფერს მეკითხება?

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მკითხონ, რომელი ხევისბერი მე ვარ? მაგრამ კარგა ხანია, სრულწლოვანი გახლავართ და ხომ უნდა ვიცოდე, არჩევნებში ვის მივცე ხმა — ეროვნულ კონგრესს, ე. წ. „საბჭოთა" არჩევნებს, თუ ერთსაც და მეორესაც, ან არცერთს? თუ ძალიან არ მოინდომებენ, უბირ კაცად ვერ ჩამთვლიან, მაგრამ რატომ ცდილობენ ჩემს დაბნევას? რატომ არის დარწმუნებული სამივე ძირითადი პოლიტიკური ძალა, რომ ქართველი ხალხის სახელით მოქმედებს?

ოთხივ კუთხით გამირბის საქართველო. თქვენ გგონიათ, „აიდგილარა", „ადამონ ნიხასი", „ინტერფრონტი", ექაჩებიან აქეთ-იქით „თავიანთ" წილს? არა, ბატონებო! თითოეულ ჩვენგანს „თავისი" საქართველო ამოუჩრია იღლიაში და სადღაც მიაქანებს... ტყუილად გვაბრალებენ, ქართველები სხვისგან გათავისუფლებას ცდილობენო. არა, ჩვენ ერთმანეთისგან გათავისუფლებას ვცდილობთ. რატომ გვიკვირს, ახალგაზრდობა ასე დაუნდობლად რომ დარევია ერთმანეთს, გადახედეთ ჩვენს პრესას და დარწმუნდებით, როგორ გვეჯავრება ერთმანეთი. მიმტევებლობის ნიშანწყალი არ გვეტყობა. წინათ რომ ადვილად აღმოვაჩინეთ ერთმანეთში „ხალხის მტრებიც", „ტროცკისტებიც", „იმპერიალიზმის აგენტებიც". ახლა ვეძებთ „ერის მოღალატეებს", „სუკის აგენტებს", „რუსეთუმეებს", „გიუ ვრაცუებს"... არის ერთი რია-რია და დაკა-დაკა. „რა მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს..." ამ დროს „მელა კი იცინის, იცინის, კვდება სიცილითა".

გულო, ჩადექ საგულესა!

მრავალი პარტია გამოვიდა დღეს ასპარეზზე. კიდევ ერთი ახალი, ყველაზე მნიშვნელოვანი პარტია უნდა შევქმნათ — ქართველების შერიგების პარტია!

შეიძლება, მკითხველმა იფიქროს, რომ მეც კარგი ბოლმიანი ვინმე ვარ, ცალკეულ პარტიებს და მით უფრო ცალკეულ პიროვნებებს კი არ ვწვდი ყელში, მთელს ქართველ ხალხს დავერიე! ვინ მომცა ამის უფლება?

ღმერთმა ხომ იცის, რა ტკივილია, ამას რომ მალაპარაკებს!

„დედა, დედაო! — ეუბნება ჭაბუკი დედას. — ძუძუ მაწოვეო". „რა დროის შენი ძუძუა, დიდი ხარ, შვილოო". ხომ გახსოვთ ზღაპარი. არ დაიშალა ჭაბუკმა. შემდეგ ძუძუს კბილები დააჭირა და გამოტეხა მშობელი — რა იქნა ჩემი მზეთუნახავი დედიო? იქნებ სწორედ ასეთი ტკივილი უნდა მივაყენოთ დედა-სამშობლოს, რომ გზა გავიგნოთ? იქნებ ამ ტკივილისთვის დაიწერა წმიდა ილია მართლის „ბედნიერი ერი", „კაცია-ადამიანი?!" დღეს აღარა გვყავს ილია ჭავჭავაძე, ჩვენ თვითონ ვერ ავიტანეთ მისი სიმართლე, ვერ გავყევით მის გზას... მე ხომ ილია არა ვარ, მაგრამ საქართველოს შვილი ვარ და მომეტევება, თუ პასუხის მოლოდინში ტკივილიან სიტყვას ვიტყვი...

ვართ თუ არა, დღეს თავისუფლებისათვის მზად? 1918 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობა, ნუთუ მხოლოდ იმიტომ ვერ შევინარჩუნეთ, რომ ვერაგულად დაგვესხა თავს ნახევრად მშიერი წითელარმიელების რამდენიმე დივიზია? ხომ შეუძლებელი ყოფილა პირველ მსოფლიო ომში საქართველოს მონაწილეობა მიეღო რამდენიმე ათეული გენერლით და მაღალი ჩინის ოფიცრებით, ათეულ ათასობით ჯარისკაცით, ხოლო მეორე მსოფლიო ომში 848 ათასი მებრძოლი გამოეყვანა? ნუთუ დამარცხება მარტო იმის ბრალი იყო, რომ ქვეყანას სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია ედგა, ბოლშევიკების პარტიის მონათესავე, ან -ის გარემოება, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი ნოე ჟორდანია შეუდარებლად უფრო ჰუმანური პიროვნება გახლდათ, ვიდრე მისი რუსი მოძმენი, — ლენინი, სტალინი, ორჯონიკიძე, და თავისი ხალხი დაინდო, ზედმეტ სისხლისღვრას მოერიდა? ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში ამაზედაც არის გაცემული პასუხი. მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო: ქართველმა ხალხმა არ იცოდა, რას კარგავდა! ქართველი ხალხი არ იყო მზად თავისუფლებისათვის. განა შეეძლო, ყოველ ქართველს სცოდნოდა, რომ საქართველოს თავს დაესხა არმია, რომელმაც უმძიმესი სამოქალაქო ომი გადაიტანა, რომ რუსეთი შიმშილობდა და კანიბალიზმის ზღვრამდე იყო მისული? მით უმეტეს, არ შეეძლო მას წარმოედგინა, რომ 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ, გამძვინვარებული ტერორი იმდენ ქართველს შეიწირავდა, რამდენიც საკმარისზე მეტი იქნებოდა თავისუფლების დასაცავად?

ვართ თუ არა დღეს თავისუფლებისათვის მზად? ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, მზად ვართ. ყოველ შემთხვევაში, დღეს უკვე ვიცით, რაც დავკარგეთ, დღეს უკვე ვიცით, რომ 70 წელი სხვა „სოციალიზმს" ვაშენებდით და ახლა ვუბრუნდებით იმ „სოციალიზმს", საბაზრო ეკონომიკას, რაც უკვე 1918 წელს დაიწყეს სოციალ-დემოკრატებმა.

შევძლებთ თუ არა ბრძოლას თავისუფლებისათვის? შევძლებთ თუ არა ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელებას, რისკენაც, შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში, მოგვიწოდოს სხვადასხვა პარტიამ? საქართველოს არასდროს აკლდა თავდადებული გმირები, შეძლებენ ისინი შიმშილობასაც, სიცოცხლესაც გასწირავენ, მაგრამ მოვიქცევით ყველანი ისე მშვიდად, როგორც ლიტველები ეკონომიკური ბლოკადის დროს? ბენზინის რიგში არ დავწვავთ ერთმანეთს?

არ ვამართლებ იმ არაქართველებს, რომელნიც ეროვნულ მოძრაობას მხარს არ უჭერენ, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენი ერთმანეთით გაბოროტება საეჭვოდ ეჩვენებათ — ქართველები ერთმანეთს არ ინდობენ, და ჩვენ დაგვინდობენო? ძნელი დასაჯერებელია მათთვის, რომ ქართველები მხოლოდ სხვათა მიმართ არიან ლმობიერნი, ძნელი დასაჯერებელია, რომ კაცი, რომელიც ძმას არ ინდობს, მეზობელს ჩაიხუტებს გულში. ესეც იწვევს საქართველოს მოსახლეობის გათიშულობას. გვიცდია ჩვენ როდესმე, რომელიმე საპროტესტო აქციაში, აგვეყოლიებინა არაქართველი მოსახლეობაც? რამდენი ისეთი აქცია ჩატარდა და ტარდება, რომლითაც შეიძლებოდა დაინტერესებულიყო არა მხოლოდ ქართველი, არამედ რესპუბლიკის ყველა მოქალაქე? განა რესპუბლიკური საჯარისო ფორმირებების შექმნა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო სამსახურის მოხდა მხოლოდ ქართველთა საქმეა? მხოლოდ ქართველთა საქმეა მესხეთში ნახევარი მილიონი თურქის ჩამოსახლება და დავიჯეროთ, ეს ამბავი ახალციხელ და ახალქალაქელ სომხებს არ აწუხებთ?

ერთადერთ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთში ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი აქცია რადიაქტიული ხორცის შემოტანასთან დაკავშირებით. სხვა არაფერი გვაქვს საერთო?

რისთვის იყო საჭირო ერთობლივი აქციები? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველამ უნდა იცოდეს — ვისაც საქართველო სამშობლოდ მიაჩნია და არა სასტუმროდ, მას არაფერს ვუმალავთ, მასთან ერთად გვინდა ვიბრძოლოთ საქართველოსათვის და მეორე: საერთო ინტერესებისათვის ერთობლივი ბრძოლის გამოცდილება გამორიცხავს დაპირისპირებულობას ისეთ საკითხებშიც, რომელნიც ჩვენი ერთიანობის მოწინააღმდეგეებს უნდათ სადავოდ გაგვიხადონ.

ავიღოთ უბრალო მაგალითი. როგორც ეტყობა, არა მარტო აფხაზურ ენას, არამედ ოსურ ენასაც, საქართველოს გარდა, პატრონი არა ჰყავს (ჩრდილოეთ ოსეთშიც რუსული სკოლებია!). შეეძლო თუ არა, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, დახმარებოდა აფხაზეთს ამ საქმეში? მაგრამ ეს არავის მოუთხოვია! რატომ არ მოვითხოვეთ ჩვენ, აფხაზებმა და ქართველებმა ერთად, აფხაზური საშუალო სკოლების შექმნა? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს გადაარჩენს აფხაზებს გარუსებისაგან და გაქართველებისაგან, განა ჩვენ მათი გარუსება გვინდა, ან გაქართველება? და ეს ერთობლივი აქცია, რომელსაც ყველა ჭეშმარიტი აფხაზი შემოუერთდებოდა, ხომ ნიღაბს ახდიდა მათ, ვისაც აფხაზთა გარუსება უნდა? დარწმუნებული ვარ, ასეთ აქციას ივლისის ტრაგედია არ მოჰყვებოდა... ვიცი, ქართული გულარხეინობის ბრალია, რომ არ ვიზრუნეთ მოძმე ერისათვის, თუნდაც პრესის საშუალებით, არ დავაყენეთ ეს საკითხი. ჩვენს ნაცვლად სხვებმა იზრუნეს და თავიანთი ასიმილატორული სიგლახე აქეთ დაგვაბრალეს. არც ახლაა გვიან. იქნებ თავიანთი სიტყვა თქვან აფხაზური ენის სპეციალისტებმა, იქნებ გამოგვეხმაურონ აფხაზი მოღვაწეები? იქნებ ჩვენ, ქართველებმა, ავიღოთ ხელთ ინიციატივა, და ვიბრძოლოთ არა მეხუთე კლასამდე, არამედ ბოლომდე, ეროვნული, აფხაზური და ოსური საშუალო სკოლების შესაქმნელად! წინასწარ ვიცი, რომ ამ ინიციატივას არ მოგვიწონებს არა მარტო, მოსკოვის ოფიციალური წრეები, არამედ, ავტონომიურ ფორმირებათა ბევრი მესვეურიც, მაგრამ, ისიც წინასწარ ვიცი, რომ ჭეშმარიტი პატრიოტები ჩვენს გვერდით იქნებიან. ნურვინ იფიქრებს, რომ აფხაზთა და ოსთა თანადგომა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის გვჭირდება, არა, ეს ჩვენი რწმენაა, ქართულ ხასიათში ჩადებული გენეტიკური კოდია: ჩვენ დავცინით არაქართველს, რომელიც ქართველობას იჩემებს, და ძმად გავიხდით, თუ ის ეროვნებას არ კარგავს და საქართველო უყვარს.

გათიშვაზე ადვილი დღეს არაფერია, ოღონდ ვინმე გვერდზე გაუდგეს საქართველოს და ისეთი ძლიერი მფარველი აღმოუჩნდება, უკეთესს ვერც ინატრებს. მაგრამ ხომ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ჩვენს მაგივრად არავინ გადაწყვეტს ჩვენს პრობლემებს. განა საქართველოს და მთელი კავკასიის ეკოლოგია ჩვენი საერთო სატკივარი არ არის? განა ჩვენც და აფხაზებმაც ერთად არ უნდა ვიბრძოლოთ იმის წინააღმდეგ, რომ მთელი აფხაზეთი — საკავშირო „ზდრავნიცა" ყოველგვარი ვალუტით — უცხოური თუ საბჭოთა ფულით საკავშირო უწყებებს ასუქებს და არ ხმარდება იმავე აფხაზეთს? ამის ნაცვლად ერთმანეთის ჯიბრზე ვიქცევით. საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატს, მაგალითად, დაუპირისპირდა სოხუმის „დინამო" და საკავშირო ფეხბურთის მესვეურმა ვ. კოლოსკოვმა არც კონსტიტუციას გაუწია ანგარიში, არც „ფიფას" წესდებას და „გარიცხული" ფედერაციიდან, „სუვერენული" რესპუბლიკიდან მიიერთა გუნდი, [illegible] — სოხუმის „დინამო" [illegible] „დინამოს" [illegible], მოსკოველი მწვრთნელითა და ძირითადად მოსკოვის დინამოელებით დაკომპლექტებული.

ჩვენს გათიშვას არა მხოლოდ ის მიესალმება, ვისაც ჩვენი დასუსტება უნდა, არამედ, კვერს დაუკრავს სხვაც, ვინც ანგარიშს უწევს გამთიშველის ძალას. ჩვენ ნამიბია როდი ვართ, ყველა რომ ერთსულოვნად მოგვეხალმოს, საქართველოს სულ სხვა ბორკილები ადევს. „ბიძია თომას ქოხის" ჰუმანიზმზე ვართ გაზრდილნი, ბავშვობაში ბევრი ცრემლიც გვღვრია... მოვიდა დრო, როცა თავისუფალმა ზანგებმა ჩვენ, ქართველებს, უნდა შეგვიბრალონ.

თუ დაკვირვებიხართ, როგორ საეჭვოდ დუმს დღეს საკავშირო პრესა ოპოზიციური ძალების მოქმედებაზე, რომელთაც ფაქტობრივად ჩაშალეს უზენაესი საბჭოს არჩევნები და თავიანთი არჩევნებისთვის ემზადებიან! წინათ რომ ეროვნული გრძნობის გაფაჩუნებასაც არ გვაპატიებდნენ და ნაციონალისტურ ურჩხულად წარმოგვადგენდნენ, ახლა კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტენ, თითქოს, ეროვნული ყრილობა მათი ჩატარებული იყოს. ჩუმად არიან, რომ ხელი არ შეგვიშალონ: რაც უფრო გავითიშებით, და ერთმანეთს დავუპირისპირდებით, მით უკეთესი!

რა სამართლებრივ საფუძვლებზე უნდა იყოს დამყარებული ჩვენი მოქმედება? 1921 წელს მოხდა საქართველოს ოკუპაცია, რასაც მოჰყვა ფაქტობრივი ანექსია. საბჭოთა რუსეთის არმია არ მოუწვევია არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, არც საქართველოს მოსახლეობას, არც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ რომელიმე პარტიას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. აქედან გამომდინარე, 1921 წლის 25 თებერვლიდან მოყოლებული, დღემდე ოკუპაციის პირობებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება, მის მიერ შექმნილი მმართველობითი სტრუქტურები უკანონოა. საბჭოთა რუსეთმა არ აღიარა საქართველოს ფაქტობრივი მდგომარეობა, მისთვის კოლონიალური ქვეყნის სტატუსიც ვერ გაიმეტა და ამით უარეს დღეში ჩააგდო.

ამრიგად, საქართველო არასდროს შესულა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და მასზე ვერ იმოქმედებს ახლახან მიღებული კანონი რესპუბლიკების კავშირიდან გასვლის (გაუსვლელობის!) პირობების შესახებ. ამის გამო, საქართველოში მოქმედ არც ერთ მმართველობით სტრუქტურას უფლება არა აქვს, დადოს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება, რადგან 1921 წლიდან დღემდე, არ არსებობს პაქტი კაპიტულაციის შესახებ (არსებითად, დღემდე საომარ მდგომარეობაში ვართ), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „დე იურე" აღიარა მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ (მათ შორის, საბჭოთა რუსეთმა) და ერთა ლიგამ და არ არსებობს არავითარი იურიდიული დოკუმენტი არც ერთ სახელმწიფოში, რომელიც აღიარებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების კანონიერებას და ცნობდა საბჭოთა კავშირის უფლებებს საქართველოზე. და არ ჩატარებულა საერთო-სახალხო რეფერენდუმი, რომლითაც საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი მისი ტერიტორიის მთლიანად გათვალისწინებით, რომლის განუყოფლობა 1920 წელს აღიარა საბჭოთა რუსეთმა, გამოხატავდა სურვილს საბჭოთა კავშირში გაერთიანებისა. ამიტომ, ახალი საკავშირო ხელშეკრულების დადება, ანუ საბჭოთა კავშირში პირველად შესვლა, უნდა გადაწყვიტოს საქართველოს მთელი მოსახლეობის

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

...ორმა მესამედმა საერთაშორისო ექსპერტების და არა საოკუპაციო ჯარის მეთვალყურეობით ჩატარებული რეფერენდუმის საშუალებით. ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ დაუშვებელია, რომელიმე რეგიონში ცალკე რეფერენდუმის ჩატარება, რაც ეწინააღმდეგება თუნდაც თვით საბჭოთა ხელისუფლების კანონს, რესპუბლიკის ტერიტორიის ხელშეუხებლობის შესახებ.

ამრიგად, თუკი საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, საკავშირო ხელისუფლება ისურვებს რეფერენდუმის ჩატარებას, იგი უნდა ჩატარდეს არა კავშირიდან გასვლის თაობაზე, არამედ იმის გასარკვევად, **სურს თუ არა, საქართველოს მოსახლეობის ორ მესამედს, სამართლებრივ საფუძველზე შევიდეს სსრკ შემადგენლობაში?**

ასეთია საქართველოს ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა. საქართველოს გამათავისუფლებელი მოძრაობა ამას ითვალისწინებს. დამოუკიდებლობის მისაღწევად აუცილებელია ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ გამოხატოს ერთიანი ნება, ამისთვის პირველ რიგში, აუცილებელია, მისი ერთიანობა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი: რაგინდ ერთად არ იბღავლოს ხუთმა მილიონმა ადამიანმა — „თავისუფლება გვინდაო", ხუთმილიარდიან კაცობრიობას ვერაფერს გააგებინებს, თუ საერთაშორისო სამართლის ელემენტარული წესები არ იქნა დაცული. საჭიროა პარლამენტი, ხალხის ნდობით აღჭურვილი, რომელიც მშვიდობიანი გზით ეცდება ამის მიღწევას ან გამარჯვებამდე მიყვანილი აჯანყების შემდეგ გამოაცხადებს დამოუკიდებლობას და იურიდიულადაც დაამტკიცებს ამ უფლების მართლზომიერებას. საქართველოში არ არსებობს არც ერთი პარტია, უფრო მეტიც — არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელიც ძალით ცდილობდეს თავისუფლების მოპოვებას. რჩება ერთადერთი — პარლამენტური ბრძოლის გზა. მაგრამ ამისთვის საჭიროა პარლამენტი. როგორი უნდა იყოს იგი, რომ მიზანს მიაღწიოს? სწორედ აქ ვაწყდებით დიდ წინააღმდეგობას. ჩემთვის გასაგებია ოპოზიციური პარტიების აზრი, უფრო მეტიც; ზნეობრივი თვალსაზრისით, სავსებით მისაღებია. საქართველოს უზენაესი საბჭო არჩეულია ოკუპაციის პირობებში, იგი წარმოადგენს თავსმოხვეული წყობილების სტრუქტურულ ერთეულს და მის არჩევნებში მონაწილეობა მოასწავებს არსებული სისტემის კანონიერების აღიარებას. ზნეობრივი თვალსაზრისით, ეს დაუშვებელია. მაგრამ არის თუ არა შესაძლებელი უზნეო პოლიტიკის წინააღმდეგ მხოლოდ ზნეობრივი პოზიციებიდან ბრძოლა? ქრისტიანულ ზნეობას მაღალი ზნეობრივი იდეალებისთვისაც კი ვერ ვუღალატებთ, ბოროტება სიკეთით უნდა დაითრგუნოს. მაგრამ, რეალური ვითარების გაუთვალისწინებლობაც, მისი ვითომც შეუმჩნევლობაც ხომ არანაკლებ უზნეობაა, რადგან, ერის ღალატს უტოლდება? მახსოვს, ერთი ინტრიგანის მუქარა, ინტელიგენტს რომ ეუბნებოდა: სიმართლე შენს მხარეზეა, მაგრამ გაგანადგურებ იმიტომ, რომ რასაც მე ვიკადრებ, შენ ვერ იკადრებო! პოლიტიკა ისეთი კახპა ვინმე ბრძანდება, რომ არად დაგიდევს მშვენიერებას და ჯიბესქელ, ცვედან კლიენტს სასიყვარულო სიტყვებს ეჩურჩულება. სწორედ ამიტომ, პოლიტიკაში უკომპრომისო ბრძოლა თითქმის შეუძლებელია.

სრულებითაც არ ვქადაგებ ძველ ბოლშევიკურ პრინციპს — მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება მისაღებია. მაგრამ, არა მგონია, მართებული იყოს ერთადერთი, ყველაზე ზნეობრივად სწორი საშუალების ამორჩევა და სხვა გზებზე არა მხოლოდ უარის თქმა, არამედ მკვეთრად დაპირისპირება. ჩვენს სახალხო „პოლიტიკოსებს" გაცნობიერებული აქვთ, რომ საკუთრივ საქართველოში არსებობს რეალური ძალა — კომუნისტური პარტია და საბჭოთა პარლამენტი. ოპოზიციური პარტიის ლიდერები მათ ეძახიან „ეგრეთ წოდებულს", მაგრამ რა გინდ დამამცირებლადაც არ უნდა ჟღერდეს ასეთი განსაზღვრება (და ეს სწორედ დამცირების მიზნით კეთდება, თორემ ისე, ვისაც სახელი აქვს, მათ შორის, ოპოზიციური პარტიებიც, ყველა „ეგრეთ წოდებულია"), ამ სტრუქტურების რეალური ძალის უარყოფა შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ ისინი, იმპერიული ხელისუფლების მხოლოდ უჯრედებს წარმოადგენენ. რაში გამოიხატება ეს რეალური ძალა?

მსოფლიო საზოგადოება აღიარებს საბჭოთა კავშირს, როგორც ერთიან სახელმწიფოს, რესპუბლიკის პარლამენტი ამის გამო, ითვლება არა ხელისუფლების უზენაეს ორგანოდ, არამედ თვითმმართველობით სტრუქტურად. მის ყოველ დადგენილებას საკავშირო კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემთხვევაში სახელმწიფოებრივი კანონის ძალა აქვს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ოპოზიციური ძალების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, საერთოდ არ სცნობს საბჭოთა ხელისუფლება და ოპოზიციასთან მისი ბრძოლა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ითვლება საბჭოთა კავშირის საშინაო საქმედ. საქართველოს ოპოზიციური პარტიების აზრით, „ლიტვური გზა" არ არის გამართლებული. რა მოგახსენოთ, ლიტვის კიდევ ერთხელ დაპყრობა შეიძლება, მაგრამ ამჟამად ლიტვა თავისუფალია! უიარაღო ლიტვის დაპყრობას ერთი კაი მამალი რუსული დივიზია ეყოფა, დარწმუნებული ვარ, ამას არც მოერიდებოდნენ, მაგრამ ძვირად დაუჯდება საბჭოთა კავშირს ძალის გამოყენება, რადგან, ამით უნდა აღიაროს, რომ ამჟამად იგი მსოფლიოში ერთადერთი იმპერიალისტური სახელმწიფოა.

ვინ დააყენა საბჭოთა კავშირი ასეთი დილემის წინაშე? მიუხედავად, ლანდსბერგისის და „საიუდისის" დიდი ღვაწლისა, უნდა ვაღიაროთ: რესპუბლიკის სათავეში თავის დროზე, ბრაზაუსკასი რომ არ მდგარიყო, ლიტვა დღესაც „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა" იქნებოდა!

მსოფლიოში არავის მოსვლია თავში აზრად, რომ ლიტვის ახლანდელი პარლამენტის წევრებმა, უზნეობა გამოიჩინეს, საბჭოთა არჩევნებში რომ მონაწილეობდნენ, ამით საბჭოთა სისტემის კანონიერება აღიარეს და შემდეგ მიიღეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. რატომ მიესალმებიან ჩვენი ოპოზიციური პარტიებიც ლიტვის დამოუკიდებლობას, თუკი, იგი „უზნეოა", საბჭოური გზით არის მოპოვებული? ამაზე დამაჯერებელი პასუხი ჩვენს ლიდერებს არა აქვთ. ბოლოს და ბოლოს, სულერთი არ არის, ვინ მოუტანს საქართველოს თავისუფლებას — „საბჭოური" პარლამენტი, მისი შეურიგებელი ოპოზიცია თუ სულაც ამ ორი ძალის ალიანსი?

საქართველოს პოლიტიკური ძალების გათიშულობამ და დაპირისპირებულობამ, გამოიწვია მიუტევებელი შეცდომა, რომელიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოწინააღმდეგეთა წისქვილზე ასხამს წყალს, დიდი შეცდომა იყო 25 მარტის არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადება: საბჭოთა ხელისუფლებამ სიამოვნებით გადაიტანა არჩევნები და გააგრძელა ძველი მოწვევის დეპუტატთა უფლებამოსილება, თუ საჭირო იქნა, მოსკოვი კიდევ უფრო დიდი სიამოვნებით მიმართავს იმავე მანევრს. განა უკეთესი არ არის, საქართველოს არანაირი პარლამენტი არ ჰყავდეს? ნურვინ იფიქრებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ოპოზიციური ძალების შეეშინდა და იმიტომ მოიქცა ასე! არ ვიტყვი, ვინ მოიგო ამ სიტუაციით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წააგო საქართველომ! ჩვენს სწრაფცვალებად ეპოქაში, ერთი წლით წააგო!

25 მარტს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო რესპუბლიკის მოსახლეობის პოლიტიკური აქტიურობის ნიშნით. **არჩევნებისადმი აქტიური ბოიკოტის გამოცხადება იყო უმძიმესი პოლიტიკური შეცდომა!** მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დეპუტატებად ისევ საეჭვო რეპუტაციის ხალხი უნდა აგვერჩია. ფუნქციონერებისთვის კაბინეტის კარების აჯედვა კი არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ბრძოლის ფორმა, არამედ, პარლამენტისკენ გზის გადაკეტვა. ისეთი სიტუაცია უნდა შექმნილიყო, რომ დირექტორებს და ბოსებს ვერ გაებედათ საკუთარი ხელქვეითების „ერთსულოვანი" ხმებით მანიპულაცია.

ეს რას მოგვცემდა? საქართველოს ეყოლებოდა პარლამენტი, მართალია, საბჭოურ თარგზე გამოჭრილი, მაგრამ სამშობლოს ერთგული, ამავე დროს, კომპეტენტური. სამშობლოს სიყვარულში პრივილეგიას ნურავინ დაიჩემებს, ნურავინ იტყვის, რომ საბჭოთა დეპუტატი არ შეიძლება პატრიოტი იყოს და საქართველოს ემსახურებოდეს, ნურავინ იფიქრებს, რომ დეპუტატ ივანე ჯავახიშვილზე უფრო დიდი ქართველია ან ილია ჭავჭავაძეს შეედრება, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრს! ახლად არჩეულ პარლამენტს შეეძლო კიდევ ერთხელ დაედასტურებინა თავისი დამოკიდებულება 1921 წლის ოკუპაციისადმი, უარი ეთქვა წინა თერთმეტი მოწვევის პარლამენტის მემკვიდრეობაზე და ეღიარებინა თავი საქართველოს სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვებამდე **პირველი მოწვევის პარლამენტად.** მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა გამართლებული ეროვნული კონგრესის არჩევნები, რომლის უფლებამოსილებასაც თვით არსებული პარლამენტი დაუშვებდა. იურიდიულად ჩვენ გვეყოლებოდა ერთპალატიანი უზენაესი საბჭო, მაგრამ ფაქტობრივად ქართველი ხალხის ნებას გამოხატავდა ორპალატიანი პარლამენტი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ვთქვათ, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადების დროს კონგრესის თითოეული წევრი თავის ამომრჩევლებში მოაგროვებდა ხელმოწერებსაც და ამით უშუალოდ გამოიხატებოდა საქართველოს მთელი მოსახლეობის ნება.

მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე ეს სანეტარო დღე დადგებოდა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს, თუ სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ მიღებულ ყოველ კანონსა და გადაწყვეტილებაზე. ეს აუცილებელია! ახლა ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ დღესაც არ განხორციელებულა ლოზუნგი — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" მთელი ძალაუფლება დღესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელთაა. ეს ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ სსრკ პრეზიდენტი ამავე დროს პოლიტბიუროს გენერალური მდივანია და პარტიის ნებას ასრულებს, არც მხოლოდ იმიტომ, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც პოლიტბიუროს წევრია და უყოყმანოდ ასრულებს როგორც პარტიის, ისე მისი გენერალური მდივნის ნებას, არამედ იმის გამოც, რომ პარლამენტი არსებითად წინა მოწვევის პარლამენტის უშუალო მემკვიდრეა, მისი, უმრავლესობა არა ხალხის მიერ არჩეული, არამედ აპარატის მიერ „დანიშნული" დეპუტატებია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ხმის მიცემას წინ ზოგჯერ სრულიად უნაყოფო დებატები უძღვის, აღარ არის ძველებური „ერთსულოვნება", ხოლო ხმის მიცემა გაცილებით „ცივილიზებულია" კომპიუტერების წყალობით. არსებითად კი პარლამენტი თითქმის ყოველთვის ეთანხმება გადაწყვეტილებას, რასაც სთავაზობს ჭიუტი აპარატი. ძალიან ჭიუტი. ძალიან აპარატი...

ჩვენ კი თავისუფლად ლაჟვარდ ცაში განავარდება მოვინდომეთ და... ორივე ფრთა დავიმტვრიეთ. მარჯვენაც და მარცხენაც, საბჭოთაც და რადიკალურიც. ახლა როგორ, ხკუპ-ხკუპით ვიაროთ წინ?

დრო არ ითმენს. საჭიროა, რაკი სხვა პატრონი არა გვყავს, სასწრაფოდ მოვიწვიოთ არსებული პარლამენტის სესია და გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ ახალ კანონებზე, რომელნიც აშკარად ზღუდავენ და რიგ შემთხვევაში არარაობად აქცევენ რესპუბლიკის სუვერენიტეტს. დაე, თითოეულ ჩვენს გადაწყვეტილებაზე გვიკიჟინონ საკავშირო კანონების პრიორიტეტზე. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ჩვენი კონსტიტუციის 69-ე მუხლს მივადგებით და ვიტყვით: საქართველო საბჭოთა კავშირიდან მექანიკურად გასულად თვლის თავს, რადგან საკავშირო კანონები ზღუდავენ მის სუვერენულ უფლებას ამა და ამ კანონის მიხედვით, რომელთა მიმართაც ჩვენ ადრევე გამოვხატეთ უარყოფითი დამოკიდებულება. ახლა უმოქმედობა ღალატის ტოლფასია! ახლანდელი დუმილი იმ კანონების მორჩილებას ნიშნავს და ხომ გვეტყვიან — რა დაგემართათ, ამხანაგებო, აქამდე ხმა არ ამოგიღიათ და დღეს რამ გაგაცოფათო? ამ კანონების საწინააღმდეგოდ არც ერთი მიტინგი არ ჩატარებულა, მიტინგებზე ჩვენი პარტიები ახლა ერთმანეთთან ანგარიშსწორებით არიან გართულნი და რესპუბლიკის ხელისუფლებაც თითქოს არხეინად არის. ნუთუ უმიტინგოდ არ შეიძლება უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევა?

საერთოდ, რამდენად ნორმალურია, რომ გაცხარებული კანონქმნადობის პერიოდში, როცა ტყაპა-ტყუპით თავს გვაცვივა საკავშირო კანონები, ჩვენი პარლამენტი თითქმის უმოქმედოდაა? მართალია, ახალი კანონების მიღებას დრო სჭირდება და უზენაესი საბჭოს კომისიები მათ შესადგენად მუშაობენ, მაგრამ მანამდე შეიძლებოდა და, ვფიქრობ, აუცილებელიც იყო მათზე კონცეპტუალური დადგენილებების მიღება. სხვაგვარად საკავშირო პარლამენტს ვერ დავეწევით, ძალიან ბევრნი არიან და თანაც, რაც მთავარია, არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ რესპუბლიკების წინაშე!

საერთოდ, ქართველებს ქეიფშიც გვჩვევია დაგვიანება, მაგრამ ეს ახლა არ გვამართლებს, არავინ შემოგვთავაზებს შემოსწრებულის სადღეგრძელოს. განა დასაშვებია, რომ ე. წ. „თურქ-მესხების" საკითხს საკავშირო უმაღლესი საბჭოს კომისიები იხილავენ, ახლა ამასვე სთავაზობენ რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობას და ჩვენი უზენაესი საბჭო თავის პოზიციას არ გამოხატავს? განა აღარ დადგა დრო, როცა რუსეთმა და თურქეთმა უჩვენოდ არ უნდა გადაწყვიტონ საქართველოს ბედი? რის მადლობას უხდის თურქეთის მთავრობა მ. ს. გორბაჩოვს?

ხომ უნდა ითქვას ერთხელ და სამუდამოდ, რომ „თურქი მესხები", როგორც ერი, არ არსებობენ, არიან მხოლოდ თურქები, ხოლო თურქების სამშობლო თურქეთია, მათი უფრო ადრინდელი სამშობლო კი შუა აზია? რატომ ამოირჩიეს ხალხის ამ უბედური მასის ტრაგედიის მიზეზად მხოლოდ სტალინი და არა თურქეთის სულთნები, რომელთაც ისინი თავის დროზე ჩამოასახლეს მესხეთში, მესხთა ნაწილის გათურქებაც გამოიწვიეს და სულ ახლახან რაფიკ ნიშანოვი, რომელმაც დაუშვა შესაძლებლობა უზბეკეთში მათი ხელახალი გენოციდისა? ე. წ. „თურქი მესხების" ტრაგედიაში სტალინზე ნაკლები დამნაშავე არც ნიშანოვია! ერთადერთი, ვისაც ამ საქმეში არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, საქართველოა! სწორედ მის დაჩაგვრას ცდილობენ, თითქოს ქართველს ნაკლები უფლება ჰქონდეს საკუთარ მიწა-წყალზე, ვიდრე თურქს! საქართველოდან სტალინმა თურქების გარდა გაასახლა გერმანელებიც და ბერძნებიც. რატომ ისინი არ თვლიან თავიანთ სამშობლოდ არა გერმანიას და საბერძნეთს, არამედ საქართველოს? რატომ არავინ ფიქრობს ვოლგისპირელი გერმანელების უკან დაბრუნებაზე. და ბოლოს: უნდა შეიგნოს ყველა რანგის ხელმძღვანელმა, რომ სტალინის დანაშაულისათვის პასუხს აგებს არა საქართველო, არამედ ის ხელისუფლება, რომლის სახელითაც იგი მოქმედებდა. ქართველ ხალხს არავინ გაუსახლებია და ახლანდელი თურქი ლტოლვილების ცოდვაც სხვას აწევს, პასუხს კი ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩვენ გვთხოვენ. ამ დროს შეიძლება ჩვენი უზენაესი საბჭო ჩუმად იყოს?

და ბოლოს, ერთი საკითხიც, ჩემი აზრით, მთავარი. მორცხვად ნუ მივიბრუნებთ თავს, თითქოს, ერთმანეთს ვერ ვხედავდეთ. ნურც იმას დაველოდებით, ცენტრიდან რას გვიკარნახებენ. არ არსებობს ჯერ კანონი პარტიების შესახებ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა მიიღოს ასეთი კანონი, რომელიც აკრძალავს მხოლოდ ისეთ პარტიებს, ძალადობისაკენ, ომისაკენ, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური დისკრიმინაციისაკენ რომ მოუწოდებენ. უნდა მოხდეს არსებული პარტიების იურიდიულ პირებად აღიარება. ეს მარტო იმისთვის როდია საჭირო, ვიცოდეთ, ვინ ვინ არის, არამედ ასეთი მიდგომა აამაღლებს პარტიათა პასუხისმგებლობას ერის წინაშე, კომუნისტურ პარტიასაც (ერთადერთ იურიდიულ პირს), რომელსაც მორალური უფლება ამჟამად არა აქვს, ჩაებას სხვა პარტიებთან პოლიტიკურ დიალოგში, საშუალება მიეცემა დაიცვას თავისი პოზიცია. არა გვაქვს უფლება, ერთმანეთი არ დავინახოთ! მაგრამ რა ხდება? პარტიათა გარკვეული ჯგუფი იწვევს სახალხო ყრილობას ეროვნული კონგრესის არჩევნების ჩასატარებლად და თითქოს ვერ ხედავს, რომ სულ მალე საბჭოთა არჩევნებიც უნდა ჩატარდეს, თავის მხრივ უზენაესი საბჭოც თითქოს მათ ვერ ხედავს და თავის არჩევნებს ელოდება. ასე არ შეიძლება!

ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად! ამიტომ გავბედავ და ჩემს აზრს მოგახსენებთ. ეროვნულმა ფორუმმა ყრილობა ჩაატარა, გაივსო თბილისის სპორტის სასახლე. მაგრამ მე გეკითხებით, ბატონებო, რომელია ყრილობის ის დელეგატი, მე რომ ავირჩიე? ვინ მოგცათ ნება, ჩემთვის საარჩევნო უფლება ჩამოგერთმიათ? ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ მე და მილიონობით ჩემნაირი გადაგიდგებით, არამედ იმიტომ, რომ საქმე საქმეზე რომ მიდგება, — საბჭოთა ხელისუფლების ამბავი თქვენ კარგად იცით, — ჩაგითვლიან, რომ ეს არ იყო სახალხო ყრილობა და რომ იგი ქართველი ხალხის, მით უმეტეს, საქართველოს მთელი მოსახლეობის ნებას არ გამოხატავდა. კაცმა რომ თქვას, ეს უფრო მიტინგი იყო, ვიდრე ყრილობა. მაგრამ მიტინგსაც, მით უმეტეს, „სანქცირებულს", უფლება აქვს მიიღოს რეზოლუცია. ამ რეზოლუციას კანონის ძალა არა აქვს, მას ხალხი განსჯის, ხელისუფლებაც, თუ მთლად ყრუ არ არის, გაიგონებს და გაითვალისწინებს.

გაცილებით უფრო რთული იქნება ეროვნული კონგრესის ჩატარება.

მერწმუნეთ, არ მინდა ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ გავუტეხოთ გული: კონგრესი ან არ უნდა ჩატარდეს, ან თუ ჩატარდება, აუცილებლად წარმატებით უნდა დაგვირგვინდეს! მისი ჩაშლა, ან ღმერთმა ნუ ქნას, ფალსიფიცირება (რაც არ არის გამორიცხული საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მხრიდან ბლოკირების ან რომელიმე პარტიის ტენდენციურობის შემთხვევაში) ერის ღალატის ტოლფასია!

**მდგომარეობა მეტად საგანგაშოა! საფრთხეშია როგორც კონგრესის, ისე უზენაესი საბჭოს არჩევნები. საფრთხეშია საქართველო!**

აუცილებლად მიმაჩნია, უზენაესი საბჭოს სესიაზე, რომელმაც უნდა განიხილოს ზემოთ მოხსენებული საკითხები, მიღებული იქნას ახალი კანონი არჩევნების შესახებ. ამ კანონში უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე დაშვებული უნდა იყოს ეროვნული კონგრესის არჩევნები, როგორც საერთო-სახალხო სათათბიროსი და არა კანონმდებელი ორგანოსი (რის პრეტენზიაც ეროვნულ კონგრესს ამ ეტაპზე ისედაც არა აქვს). უზენაესმა საბჭომ უნდა დაავალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, არა თუ ხელი შეუშალოს კონგრესის არჩევნებს, არამედ ანგარიში გაუწიოს ამ ორგანოს საარჩევნო კომისიების ყოველგვარ კანონიერ თხოვნას. რაც შეეხება უზენაესი საბჭოს არჩევნებს, ისიც ეროვნული კონგრესის მსგავსად უნდა იყოს მრავალპარტიული.

რადიკალები, ვინც ასეთ გადაწყვეტილებას კოლაბორაციონიზმად მიიჩნევენ, რეალობის გრძნობას არიან მოკლებულნი, ხელმძღვანელობენ პრინციპით — „მაგრა იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს, ვითა ჯორი" და ნებით თუ უნებლიეთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის მოწინააღმდეგეებად მოგვევლინებიან. მრავალპარტიული არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადებაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მავანს და მავანს გამარჯვების შანსი არა აქვს! კომუნისტებისადმი ბოიკოტის გამოცხადებაც მხოლოდ სიძულვილით როდია გამოწვეული, არამედ ამ 400 ათასიან მასაში მოქცეულ ინტელექტუალურ პოტენციალთან კონკურენციის შიშით! ეს რეალობაა და ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება.

იმედი მაქვს, საღი აზრი გაიმარჯვებს!

„მზევ შინა და მზევ გარეთა, მზევ, შინ შემოდიო..."

15 ივნისი, 1990 წ.

# ღია წერილი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორს ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო რედაქტორო,

მე არ ვაპირებდი უშუალო რეაგირებას თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სერიალზე, რომელიც გურამ პეტრიაშვილის კალამს ეკუთვნის, არც იმ კამათში ჩართვას, რომელიც ამ წერილის გარშემო გაიშალა, მაგრამ იმან, რაც ამ დღეებში მოხდა, უაღრესად აღმაშფოთა და შემაშფოთა კიდეც. თქვენი გაზეთის 11 მაისის და „ახალგაზრდა ივერიელის" 12 მაისის ნომრებში გამოქვეყნდა მთელი დასტა წერილებისა, რომლებიც კოტე მახარაძის განქიქებას, არსებითად მის გალანძღვას ისახავენ მიზნად. ტონიც და შინაარსიც ამ წერილებისა, ჩემი აზრით, სრულიად შეუწყნარებელია.

მე არ ვაპირებ ამჟამად გ. პეტრიაშვილის წერილების ციკლისა და მასში აღძრული კონკრეტული საკითხების გარჩევას, არც იმ ინტერვიუს შევეხები, რომლითაც გ. პეტრიაშვილი ამას წინათ ტელემაყურებელთა წინაშე წარსდგა და რომელმაც პირადად ჩემზე (და იმათზედაც, ვისთანაც კი ამ თემაზე საუბარი მქონდა) მეტად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ჩემი დამოკიდებულება გ. პეტრიაშვილის ციკლისადმი მკვეთრად უარყოფითია. შეიძლება შემომედავონ, რომ თვით იდეა წერილებისა მართებულია, ეროვნული და აქტუალური. სავსებით დავეთანხმები ამ დებულებას და მინდა დავიჯერო, რომ გ. პეტრიაშვილს სრულიად გულწრფელად აწუხებს ეს პრობლემა. არ შეიძლება იგი არ აწუხებდეს ყველას, ვისაც ერის მომავალი აინტერესებს, ერის ბედ-იღბალზე შესტკივა გული. ეს უდავოა და გ. პეტრიაშვილი რომ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ისიც უდავოდ მეჩვენება, რომ გზა ამ იდეის დასაბუთების, ამ იდეის ხალხისადმი მიტანისა სრულიად გაუმართლებელი, ყალბი და არაეროვნულია.

შესაძლოა გ. პეტრიაშვილი კარგი მწერალია. მე ვერას ვიტყვი ამის თაობაზე, რადგან არ მახსოვს მისი თხზულებები. აქ მზად ვარ მავანისა და მავანის მხრიდან შემოტევისთვის: „ეს მხოლოდ შენი დანაშაულიაო და არა გ. პეტრიაშვილის ნაკლი!" დაე ასე იყოს. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ მე არც თუ უწიგნური კაცი ვარ და საკმაო ყურადღებითაც ვადევნებ თვალს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. მაგრამ ეს არაა მთავარი. მე ვიმეორებ, შესაძლოა გ. პეტრიაშვილი კარგი მწერალია, შესაძლოა მას ეროვნულ მოძრაობაშიაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი, მაგრამ ეს არ აძლევს მას უფლებას ჩვენი ერის გამოჩენილ მოჭირნახულე მოღვაწეთა ხსოვნა შებღალოს, ან აწინდელი ფრიად დასაფასებელი შემოქმედნი ისე აუგად მოიხსენიოს, როგორც მან ეს გააკეთა.

ეს ჩემი პირადი აზრია, მაგრამ აქვე მინდა დავუმატო, რომ მე არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც სხვა აზრისა იყოს. ახლა ვრწმუნდები გაოცებითა და შეშფოთებით, რომ ასეთნი ყოფილან. მაგრამ აქამდე არც მეცნიერთა, არც ხელოვანთა, არც ერთი თაობისა და სპეციალობის ადამიანთა შორის მე არ შემხვედრია ისეთნი, ვინც სხვაგვარად, თუ არა მხოლოდ ნეგატიურად აფასებდეს გ. პეტრიაშვილის, მაპატიეთ ასეთი გამოთქმისათვის, გამოხდომას ჩვენი ეროვნული მოღვაწეების მიმართ.

ეს მინდა იცოდეს, ბატონო რედაქტორო, თქვენი გაზეთის მკითხველმაც, ფართო საზოგადოებრიობამაც და, რაც მთავარია, თვით გ. პეტრიაშვილმაც, რომელსაც სჯერა (ასე თქვა სატელევიზიო ინტერვიუში), რომ მას უმრავლესობა უჭერს მხარს. არაა ეს ასე და ისიც გავითვალისწინოთ, რომ ვინც გ. პეტრიაშვილს არ უჭერს მხარს, არც ხელწამოსაკრავი ხალხია და არც არავისზე ნაკლები პატრიოტი და ეროვნული სატკივარით შეწუხებული.

ახლა რაც შეეხება კ. მახარაძის გაზეთში გამოსვლას. მე არც მის დაცვას ვაპირებ, არც მისი წერილის ავ-კარგზე მსჯელობას. შესაძლოა ვიღაცას მისი ტონი, მსჯელობა-არგუმენტირების მეთოდი, ცალკეული გამოთქმები არ მოსწონდეს. მე პირადად უფრო აკადემიური სტილის მომხრე ვარ პაექრობაში. მაგრამ მთლიანობაში მე სავსებით ვუჭერ მხარს კ. მახარაძის ყველა ძირითად დებულებას და მისი წერილის პათოსს. თქვენ გაზეთშიაც და „ახალგაზრდა ივერიელშიაც" გამოქვეყნებული ზოგი წერილის ავტორები აღშფოთებულნი არიან იმით, რომ კ. მახარაძემ გაბედა და გ. პეტრიაშვილს პასკვილი დაუწერაო. მომიტევეთ, მაგრამ განა გ. პეტრიაშვილის სერიალი პასკვილებისგან არ შედგებოდა?! კ. მახარაძემაც აილო და პასკვილზე პასკვილით უპასუხა. ოღონდ განსხვავება ძალზე დიდია: გ. პეტრიაშვილის პასკვილის ობიექტები გამოჩენილი, ზოგ შემთხვევაში, მე მოურიდებლად ვიტყვი, დიდი ქართველი მოღვაწეები და მამულიშვილები არიან, ხოლო კ. მახარაძის პასკვილის ობიექტი მხოლოდ გ. პეტრიაშვილია. აბსოლუტურად შეუდარებელი სიდიდეებია! თუ კ. მახარაძეზე დღეს მისეული ხალხი მართლაც ობიექტურია, თუ მათ მართლაც აწუხებთ ეროვნული ტკივილები, რატომ ერთი არ შეწუხდა კ. მარჯანიშვილის, გ. ჩუბინაშვილის და სხვათა აუგად ხსენებით და კ. მახარაძეზე უფრო ტაქტიანად არ მიუთითა გ. პეტრიაშვილს მის უდავო შეცდომებზე. მაგრამ მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ საქმე სხვაგვარადაა: კვლავ გამოაშკარავდა ტენდენცია, ყველაფერი აპატიონ ადამიანებს, ვინც ეროვნულ მოძრაობასთანაა დაკავშირებული, ხოლო ჩაჰქოლონ და მიწასთან გაასწორონ ისინი, ვინც ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა რაიმე დებულებას არ ეთანხმებიან. მაგრამ რამდენჯერ თქმულა, რომ ეს მცდარი პოზიციაა, რომ მას არავითარი გამართლება არა აქვს და ასეთი მიდგომა სახელს უტეხს ეროვნული მოძრაობის კეთილშობილურ პრინციპებს.

აქაც უნდა გავიმეორო, რომ კ. მახარაძის წერილის შეფასებაშიაც ჩემთან სოლიდარულნი არიან ძალზე ბევრნი. ასე რომ კ. მახარაძის წინააღმდეგ შემართულ მის განმქიქებელთა გასაგონად და მკითხველთა ფართო წრის მისამართითაც მინდა ვთქვა: კ. მახარაძის უკან დგას არცთუ მცირე ჯგუფი ინტელიგენციისა, დიახ, ინტელიგენციისა და არა „ფსევდოელიტის" წარმომადგენლებისა. ინტელიგენცია ზოგს დღეს სალანძღავ ობიექტად უქცევია, მაგრამ ეს მათ სინდისზე იყოს, ხოლო ინტელიგენცია არც ყოფილა და არც არის ხელწამოსაკრავი ძალა.

შეიძლება შემომედავონ, რატომ არ ვასახელებ იმათ, ვინც ჩემ აზრს ემხრობა, თუკი ასეთები არიან. ჯერ ერთი, ზოგმა უკვე გამოთქვა თავისი აზრი პრესაში, მეორეც მე არ მაქვს მათი რწმუნება დავასახელო ისინი, მაგრამ ყველა წრეში, ყველა თაობის წარმომადგენელთა შორის, მე კვლავ ვიმეორებ, პირადად მე არ შემხვედრია სხვა პოზიციაზე მდგომი ადამიანი.

მაგრამ თქვენ შეიძლება მკითხოთ, რატომ მოგმართავთ თქვენ, ბატონო რედაქტორო. თქვენ გაზეთში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილი (ლელა ხაჩიძისა), ძირითადად რედაქციის პოზიციის დაცვას ეხება და კ. მახარაძეს სწორედ ბრალად სდებს კადნიერებას, რომ მან გ. პეტრიაშვილთან კამათში „ლიტერატურული გაზეთის" რედაქციაც გაკენწლა. მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ 11 მაისის ნომერში (და ერთ-ერთ წინა ნომერშიაც) კ. მახარაძის საწინააღმდეგო წერილების თავმოყრა და ამის გამო დაპირებული სარედაქციო წერილის გადადება სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ რედაქცია განაწყენებულია კ. მახარაძეზე. შესაძლოა მე ვცდები, მაგრამ ამგვარი შთაბეჭდილება ნამდვილად შეიქმნა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირადად მეც არ ვამართლებ თქვენ მიერ გ. პეტრიაშვილის წერილების ციკლის გამოქვეყნებას და მე რომ გ. პეტრიაშვილის საწინააღმდეგო წერილი დამეწერა, იქ უთუოდ აღვნიშნავდი ამ ჩემს შეხედულებას. სიტყვის თავისუფლება და აზრთა პლურალიზმი ის კი არაა, ყველაფერი დაიბეჭდოს. მაშ რაღა საჭიროა პროფესიონალთაგან შედგენილი რედკოლეგია? მაგრამ ეს თქვენი საქმეა და მე თქვენს კომპეტენციაში შეჭრას არ ვაპირებ.

მე სხვამ შემაშფოთა: აშკარად დავინახე რედკოლეგიის ტენდენცია, საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს გ. პეტრიაშვილის წერილთა გარშემო შექმნილ დავაში ხმები გაიყო, არიან გ. პეტრიაშვილის მომხრენიც, მოწინააღმდეგენიც და, მაშასადამე, აქ არაა საგანგებო რაღაც შემთხვევა და გ. პეტრიაშვილის მომხრეთა პოზიცია სავსებით კანონიერია. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რეალური ვითარება არაა ასეთი. ვიცნობ რა თქვენი რედკოლეგიის წევრთა უმეტესობას, არაფრით არ შემიძლია დავიჯერო, რომ ისინი (და მით უმეტეს თქვენ პირადად) რამენაირად გამართლებულად თვლიდეთ გ. პეტრიაშვილის პოზიციას და არ ხედავდეთ, რომ ამ პოზიციის მოწინააღმდეგენი განათლებით, ცოდნით, ინტელექტით სულ სხვა დონეზე დგანან, ვიდრე მომხრენი. ამას ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში.

და ბოლოს კიდევ ერთი რამ: იცით რატომ არ ვამართლებ მე გ. პეტრიაშვილის სერიალის გამოქვეყნებას? იმიტომ, რომ ამან გამოიწვია ახალი კონფრონტაცია, ჩვენი საზოგადოების ახალი გათიშვა. აი, ხომ ხედავთ მეც აღმოვჩნდი ამ კონფრონტაციაში ჩარეული — ვერ მოვითმინე. ამ სერიალმა შექმნა ჩვენ შორის დაპირისპირების, ურთიერთშეურაცხყოფის, ბრძოლის კიდევ ერთი კერა. აი, ესაა, რომ ყველაზე მეტად მაშფოთებს! გვეკადრება ჩვენ ეს გაუთავებელი ურთიერთბრძოლა და ქიშპი? გ. პეტრიაშვილს გულწრფელი სურვილი ამოძრავებდა რაღაც ერის სასიკეთო მოემოქმედა, მაგრამ ვერ მოზომა, შეცდომები დაუშვა, თავისი ცოდნა-კომპეტენციის ფარგლებს გასცდა, მაგრამ თქვენ, „ლიტერატურული საქართველოს" რედკოლეგია სად იყავით? ნუთუ ვერ დაინახეთ, რომ აგორდა ახალი გუნდა, რომელიც უთუოდ კონფრონტაციის ზვავად გადიქცეოდა, რატომ არ შეაჩერეთ ეს გუნდა?!

საერთოდ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთქვა ხმამაღლა დიდი ხანია ყელსმობჯენილი სათქმელი: ხალხო, გონს მოვეგოთ! ახალგაზრდობა დაუზოგავად ურტყამს ურთიერთს დანას, უშენს ტყვიას, ხოცავს და ასახიჩრებს ერთმანეთს; ერის ტრაგედიად იქცა ეს ყოველივე. ჩვენ კი — წიგნიერნი და კალმოსანნიც იგივეს ჩავდივართ, ოღონდ სიტყვითა და კალმით; გვავიწყდება, რომ კალამი და სიტყვა ზოგჯერ უფრო მტკივნეულად კოდავს და უფრო ადვილად კლავს, ვიდრე ხანჯალი და ტყვია.

პატივისცემით

**ნოდარ ლომოური**

# ღია პასუხი ბატონ ნოდარ ლომოურს

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მივიღე თქვენი „ღია წერილი". უნდა გამოგიტყდეთ, რომ მსგავსი ბარათები ხშირად მიმიღია, პასუხი კი არ გამიცია, რადგან ამ გართულებულ და აშლილ ცხოვრებაში ეპისტოლარული ჟანრისათვის ვეღარ ვიცლი. მაგრამ, ამჯერად, გადავწყვიტე თქვენთვის პასუხი გამეცა და, აი, რატომ: ჯერ ერთი, თქვენ ჩემზე ასაკოვანი ბრძანდებით და რომ არ მეპასუხა, ვაითუ, უზრდელობით აგეხსნათ. მეორეც, ძალზე „აღშფოთებული და შეშფოთებული" ბრძანებულხართ და თუმც მოგვიანებით, იქნებ როგორმე დაგამშვიდოთ. მესამეც, მიუხედავად იმისა, რომ ახლოს გიცნობთ, თქვენმა თვითდაჯერებულობამ და ამბიციურობამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. მეოთხეც, თქვენს წერილში გამოთქმულ ზოგიერთ, ვიტყოდი, ბრალდებას რედკოლეგიის წევრების, რედაქტორისა და რედაქციის მიმართ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ცილისწამების სუნი უდის, მეხუთეც, თქვენი წერილი რომ არ დაგვებეჭდა, ტენდენციურობას დაგვწამებდით (როგორც ჩანს, ისედაც კარგი თვალით არ უყურებთ რედაქციას). ამიტომაც გამოვაქვეყნეთ და პასუხიც გავეცით, რათა თქვენს ბარათს მკითხველთა გარკვეული ნაწილი არ დაებნია.

ახლა კი, ნება მიბოძეთ, უშუალოდ თქვენი ბარათის შინაარსს მივუბრუნდე. თქვენი აღშფოთებისა და შეშფოთების მიზეზი ყოფილა ჩვენი გაზეთის 11 მაისის და „ახალგაზრდა ივერიელის" მე-12 ნომერში გამოქვეყნებული „მთელი დასტა წერილებისა, რომლებიც კოტე მახარაძის განქიქებას, არსებითად მის გალანძღვას ისახავენ მიზნად". „ტონიც და შინაარსიც ამ წერილებისა", თქვენი აზრით, „სრულიად შეუწყნარებელია".

ახლა უნდა შეგახსენოთ, რომ, როცა რაიმე ბრალდებას ვუყენებთ ვინმეს და, განსაკუთრებით კი, რედაქციას, მეტი სიზუსტე მოგვეთხოვება მსჯელობისას. „დასტა წერილებისა" გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში", ხოლო „ახალგაზრდა ივერიელში" — მხოლოდ ერთი წერილი, თუმცა, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარი სხვაა. „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილებში თუკი თქვენ შეძლებთ მოძებნოთ კოტე მახარაძის სალანძღავი ან შეურაცხმყოფელი თუნდაც ერთი სიტყვა (გნებავთ, გურამ პეტრიაშვილის საპასუხო წერილსაც გადაავლეთ თვალი), მაშინ რედაქცია საჯაროდ ბოდიშს მოიხდის. თუ არადა, კეთილი ინებეთ, უმისამართოდ ნასროლი სიტყვები დააზუსტეთ და ისე მოგვმართეთ. თქვენი დიდბუნებოვნება რომ ვიცი, ზედ ბოდიშსაც თუ მიაყოლებთ, არ იქნება ურიგო.

მაგრამ თქვენ ამას არ დასჯერდით, უკაცრავად და, „აკრძალულში გადახვედით". თქვენი დამოკიდებულება „გ. პეტრიაშვილის ციკლისადმი მკვეთრად უარყოფითი" რომ არის, ამას თავადვე ბრძანებთ. მაგრამ აქვე იმასაც აცხადებთ, რომ თქვენს პოზიციაზე დგას ყველა თაობის და პროფესიის ადამიანი: „მე არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც სხვა აზრის იყოს", — რისით გვაუწყებთ და ამ აზრს წერილში არაერთგზის იმეორებთ: „ყველა წრეში, ყველა თაობის წარმომადგენელთა შორის... პირადად მე არ შემხვედრია სხვა პოზიციაზე მდგომი ადამიანი"-ო. თანაც ხაზს უსვამთ, რომ ეს ადამიანები ნამდვილი ინტელიგენტები და ინტელექტუალები არიან, ამასაც მრავალგზის იმეორებთ და თქვენთვის ჩვეული თვითდაჯერებულობით მოგვმართავთ: „არ შემიძლია — დავიჯერო, რომ ისინი (რედკოლეგიის წევრები — ე. ჯ) (და მით უმეტეს თქვენ პირადად) რამენაირად გამართლებულად თვლიდეთ გ. პეტრიაშვილის პოზიციას და არ ხედავდეთ, რომ ამ პოზიციის მოწინააღმდეგენი განათლებით, ცოდნით, ინტელექტით სულ სხვა დონეზე დგანან, ვიდრე მომხრენი". ბატონო პროფესორო, ვის ვის და თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ამგვარი მსჯელობა, ყალბ პათოსს და შიშველ განცხადებებს რომ ემყარება, დამაჯერებლობას სავსებით მოკლებულია. ზუსტად არ ვიცი, თქვენ რა წრეში ტრიალებთ, იქ რაზე და როგორ მსჯელობთ, მაგრამ „სალონებსა" და სხვადასხვა დაწესებულებების ტალანებში საუბრებს, ჩემთვის არავითარი ღირებულება არ გააჩნია. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ უთვისტომო კაცი არც მე გახლავართ და ადამიანებთანაც მიხდება ურთიერთობა, თქვენდა „გასაოცებლად და შესაშფოთებლად" უნდა გაუწყოთ, რომ მრავალი მათგანი თქვენგან რადიკალურად განსხვავებული აზრისაა. შორს რომ არ წავიდეთ, დაგისახელებთ თქვენს კოლეგას, ინსტიტუტში, სართულზემოთ მომუშავე ბატონ მაგალი თოდუას, რომლის ფილოლოგიური განათლება, ვგონებ, არც თქვენ დაგაეჭვებთ. ისე კი უნდა შემოგბედოთ და გკითხოთ, მაინც რა კრიტერიუმით სარგებლობდით, როცა გურამ პეტრიაშვილის მოწინააღმდეგენი „განათლებით, ცოდნით და ინტელექტით" ლამის ცაში აიყვანეთ? ბატონო პროფესორო, განათლებისა და ცოდნის განმსაზღვრელი მანქანა ჯერ კაცობრიობას არ შეუქმნია და ეს ცნებები ძალზე ცვალებადი, შეფარდებითია. ამიტომაც მაკვირვებს თქვენი ასეთი კატეგორიული განცხადება, ან, იქნებ, გონიერებისა და ინტელიგენტობის ასათვლელ საზომად საკუთარი თავი გესახებათ?! არა მგონია, მაგრამ თუკი მართლაც ასე ფიქრობთ, ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ.

მაგრამ თქვენ უფრო შორს წახვედით და ცილი დასწამეთ რედაქციას. შეგახსენებთ, რას წერთ: „მე აშკარად დავინახე რედკოლეგიის ტენდენცია, საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს გ. პეტრიაშვილის წერილთა გარშემო შექმნილ დავაში ხმები გაიყო, არიან გ. პეტრიაშვილის მომხრენიც, მოწინააღმდეგენიც და მაშასადამე აქ არაა საგანგებო რაღაც შემთხვევა, და გ. პეტრიაშვილის მომხრეთა პოზიცია სავსებით კანონიერია. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რეალური ვითარება არაა ასეთი". რა ვუწოდო თქვენს ასეთ მსჯელობას?! გაკადნიერებული კაცის ფიქრები თუ უფრო მეტი! თქვე დალოცვილო, „ინტელექტუალებთან" ამაო საუბრისა და ფუჭი ვარაუდების ნაცვლად შეგეწუხებინათ თავი და დაინტერესებულიყავით სარედაქციო ფოსტით, მაშინ ხომ თქვენს დარწმუნებას საფუძველი გამოეცლებოდა. მართლაც, თუ რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით ვიმსჯელებთ, „რეალური ვითარება" სხვაგვარია, ოღონდაც არა ისეთი, ბატონო ნოდარ, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ და ლამის დაირწმუნეთ კიდეც თავი. თქვენდა სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ მივიღეთ 180 წერილი, აქედან აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს გურამ პეტრიაშვილს, კოტე მახარაძეს კი მხოლოდ... 4 (ოთხი). ახლა, როგორ მოვიქცეთ, ბატონო ნოდარ, სად არიან ის თქვენი განათლებული ინტელიგენტები, რატომ თუნდაც ერთმა არ გამოიდო თავი? სამწუხაროდ, ჭეშმარიტების დადგენას და მისთვის ბრძოლას, მშვიდი ცხოვრება ურჩევნიათ. რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენი რაინდული ბუნების ამბავი რომ ვიცი, კვლავაც მოგიწევთ რედაქციას ბოდიში მოუხადოთ ცილისწამებისათვის...

(დასასრული მე-6 გვერდზე)

(დასასრული)

დასასრულს, თქვენ არ ამართლებთ გურამ პეტრიაშვილის წერილების გამოქვეყნებას. ამასთანავე გვასწავლით, რა არის „სიტყვის თავისუფლება და აზრთა პლურალიზმი". თურმე ეს ცნებები ყველაფრის დაბეჭდვას და გამოქვეყნებას არ ნიშნავს. კონკრეტულად იმასაც გვისაბუთებთ, თუ რატომ არ უნდა გამოგვექვეყნებინა ზემოხსენებული წერილები. კერძოდ, ამას გამოუწვევია „ახალი კონფრონტაცია. ჩვენი საზოგადოების ახალი გათიშვა". იმასაც წუხხართ, რომ თქვენც აღმოჩნდით „ამ კონფრონტაციაში ჩარეული" და „ამ სერიალმა შექმნა ჩვენს შორის დაპირისპირების, ურთიერთშეურაცხყოფის ბრძოლის კიდევ ერთი კერა", რაც თქვენ ყველაზე მეტად გაშფოთებთ, სწორედ ამ მიზეზით ახევე შეშფოთებით კითხულობთ: „გვჭირდება ჩვენ ეს გაუთავებელი ურთიერთბრძოლა და ქიშპი?" ხოლო წერილის დასასრულს უკიდურესად შეწუხებული და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ადამიანის თავგანწირვითა და ტრაგიკულობით მოგვიწოდებთ: „ხალხო, გონს მოვეგოთ! ახალგაზრდობა დაუზოგავად ურტყამს ურთიერთს დანას, უშენს ტყვიას, ხოცავს და ასახიჩრებს ერთმანეთს, ერის ტრაგედიად იქცა ეს ყოველივე. ჩვენ კი წიგნიერნი და კალმოსანნიც იგივეს ჩავდივართ, ოღონდ სიტყვითა და კალმით. გვავიწყდება, რომ კალამი და სიტყვა ზოგჯერ უფრო მტკივნეულად კოდავს და უფრო ადვილად კლავს, ვიდრე ხანჯალი და ტყვია". საერთოდ, კაცს ურჩევნია სხვას ჭკუა ასწავლოს, ვიდრე თავად აკეთოს საქმე. მოძღვარი ყოველთვის მომგებიან პოზიციას ფლობს, თუ რამეს აკადრებ, აქეთ შემოგიბრუნდება და გეტყვის: მე კეთილი სურვილით გირჩიე და დაგარიგე ჭკუა, აწი შენი საქმე შენ იცი.

ჰოდა, სწორედ კეთილი სურვილით მინდა შეგეპასუხოთ და თუ არ გაგულისდებით ჩემი „სენტენციების" გამო, იქნებ მომისმინოთ:

პირველი — „სიტყვის თავისუფლება და აზრთა პლურალიზმი" განუკითხავად ყველაფრის გამოქვეყნებას რომ არ ნიშნავს, ეს თქვენი აღმოჩენა არ არის და თქვენზე უკეთ მოეხსენება რედაქციას. მაგრამ უნდა შეგახსენოთ ერთი ელემენტარული ჭეშმარიტება: თუ წერილის აზრი და იდეა ერისთვის მისაღებია, ის უნდა დაიბეჭდოს, რაც უნდა ნეგატიურ მხარეებს შეიცავდეს (გურამ პეტრიაშვილის წერილების გამოქვეყნების თაობაზე სარედაქციო მინაწერშია თქმული და აქ აღარ შევჩერდები).

მეორე — თქვენ განათლებით ისტორიკოსი ბრძანდებით და უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ყველა ცივილიზებულ, ნორმალურ საზოგადოებაში იწერებოდა კრიტიკული წერილები. იმასაც შეგახსენებთ, რომ, რაც უნდა დიდი იყოს პიროვნება და განუზომელი მისი ღვაწლი ერის წინაშე, იგი არ უნდა ვაქციოთ ისეთ კერპად, რომელიც კრიტიკის მიღმა დგას. ასეთი მოდელი ადამიანის გაკერპებისა ჰქონდათ კომუნისტებს, როცა ლენინის ერთი ნაკლის, თუ მისი რომელიმე დებულების კრიტიკა გაუგონარ მკრეხელობად ითვლებოდა. ამგვარმა დოგმატურობამ რა ნაყოფი გამოიღო, ყველასათვის ცნობილია და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ის საზოგადოება, რომელიც აზრთა ჭიდილს და მძაფრ კრიტიკას არ სცნობს, განწირულია სასიკვდილოდ, ესეც ჩემზე უკეთ უნდა უწყოდეთ. ამიტომ ჯანსაღი კრიტიკა კონფრონტაციას კი არ წარმოშობს, არამედ ააშკარავებს იმ სიბინძურეს, რომელიც ჩვენში წლებისა და საუკუნეების განმავლობაში დაილექა, აღვიძებს ეროვნულ სულს და განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. ბატონო პროფესორო, თქვენ მწიგნობარი კაცი ბრძანდებით და თვალს თუ გადაავლებთ XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკას, ნახავთ, თუ რა მწვავე და „დაუნდობელი" კრიტიკული პაექრობა იყო გამართული ჩვენს კორიფეებს შორის. სხვაა, რომ აღარ გაგვაჩნია კრიტიკის ეთიკა. იმის ნაცვლად, პრობლემის გარშემო ვიკამათოთ, ერთმანეთის ნაკლის მხილებასა და პიროვნულ შეურაცხყოფას მივმართავთ, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. მთავარი ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება გადაეჩვია ჭეშმარიტ კრიტიკულ აზროვნებას. სამოცდაათი წლის განმავლობაში ვაკრიტიკებდით მხოლოდ იმათ, ვისაც „ზემოდან" გმობდნენ და რატომღაც მოწყალების თვალით არ უყურებდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ამის გამო გავიმეტეთ, სხვაზე აღარას ვიტყვი, ვაჟა-ფშაველა. ხოლო გუნდრუკს ვუკმევდით უმეცართ და უნიჭოთ, თავიანთი მამებლური ქმედებით ხელმძღვანელი ამხანაგების კეთილ განწყობას რომ იმსახურებდნენ. ამ მისამართალრეულმა ხოტბა-კრიტიკამ დააბნია საზოგადოება, ხალხი. ის ხშირად პატივს მიაგებდა და ტაშს უკრავდა იმას, ვინც ულირსი იყო და, პირუკუ, გასაწირავად იმეტებდა ჭეშმარიტ მამულიშვილებს. ეს დაბნეულობა დღესაც შეიმჩნევა. ამიტომაც უპირველესი ამოცანა ქართული კრიტიკული აზრისა არის ის, რომ ყველაფერს და ყველას თავისი სახელი დაარქვას. ცხადია, ასეთ ჟამს ზომიერება და თავდაჭერილობა გვმართებს. იდეამ არ უნდა გაგვიტაცოს. მაგრამ აქეთ რომ უნდა მოვმართოთ ჩვენი მზერა და გულისყური, ეს სადავოდ ვის გაუხდია?

ახლა ბატონ პროფესორს თუ ვერწმუნებით, კრიტიკისგან ხელი უნდა ავიღოთ და მხოლოდ ხოტბა ვასხათ ერთმანეთს. მართალია, ეს პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მისი მსჯელობიდან სხვა დასკვნის გამოტანა ძნელდება. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ, მისი აზრით, „ეს გაუთავებელი ურთიერთბრძოლა და ქიშპი (საუბარია გურამ პეტრიაშვილის წერილებზე — ე. ჯ.) საზიანოა ეროვნული მოძრაობისათვის, რადგან კონფრონტაციისკენ მიჰყავს საზოგადოება". კი მაგრამ, ბატონო პროფესორო, რა შუაშია „ბრძოლა და ქიშპი"?! განა შეიძლება კრიტიკული წერილები, რომელთა დედააზრი და იდეა სრულიად მისაღები და სამართლიანია, ანდა თუნდაც უკიდურესად მწვავე ფორმით წარმართული კრიტიკული პაექრობა, ასე მოვნათლოთ? ეს ხომ, სხვა რომ არაფერი ვთქვა, ახლომხედველობა და ზიანის მომტანი გულუბრყვილობაა?! მით უმეტეს, გაუგებარია თქვენი წერილის დასასრული. თქვენი დასკვნა, რაც უნდა აღშფოთებული და აღტყინებული კაცის ეგზალტირებულ განცხადებად მივიჩნიოთ, მაინც უადგილოა და ჭეშმარიტების მარცვალს მოკლებული: კრიტიკული წერილები, თუნდაც უკიდურესად ნეგატიური, კი არ ხოცავს და კლავს ადამიანებს, არამედ პირიქით, აფხიზლებს და აღვიძებს მათ, რადგანაც, ვიმეორებ, ჭეშმარიტი საზოგადოების სიცოცხლეს ჭეშმარიტი კრიტიკა აპირობებს. შესაძლოა, კრიტიკულმა წერილმა ცალკეული პიროვნების რისხვა და უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ, როცა მთელი ერის საჭირბოროტო ინტერესებს ეხება საქმე, ინდივიდების მწყრალი გუნება-განწყობა რა მოსატანია?

ბატონო პროფესორო, თქვენ იმასაც წუხხართ, რომ თავადაც აღმოჩნდით ჩარეული კონფრონტაციაში. მაგრამ არ აღნიშნავთ — ვისთან, თუკი ცალკეულ პიროვნებებთან, ამის გამო წუხილი არ გმართებთ. ხოლო თუ ეროვნულ მოძრაობას გულისხმობთ, ეს კონფრონტაცია კარგა ხნის დაწყებულია, ბატონო ნოდარ, და ამას თქვენს ბარათს ნუ დააბრალებთ. ამჯერად ამ თემაზე საუბარს მოვერიდები და სხვა დროისათვის გადავდებ.

დაბოლოს, მხურს ყური მომიგდოთ, თქვენი დამოძღვრის შემყურეს, მეც რომ გამიჩნდეს სურვილი ჭკუა დაგარიგოთ, არ გაგიკვირდეთ. ამგვარი მბრძანებლურ-თვითკმაყოფილი და პარტიულ-პარტკომული ტონი ვერას გარგებთ. ეს დრო, მადლობა ღმერთს, წარსულს ჩაბარდა. თანაც ხომ შეიძლება, ვინმეს მოთმინების ფიალა აევსოს და თქვენი მოღვაწეობა თვალწინ ისე „გადაგიშალოთ", რომ „შეშფოთებულსა და აღშფოთებულს" უსიამოვნების გრძნობაც დაგეუფლოთ?!

პატივისცემით **ელიზბარ ჯაველიძე.**

**P.S.** პროფესორ ნოდარ ლომოურის წერილი პასუხითურთ მზად გვქონდა დასაბეჭდად, როცა მივიღეთ მისი მეორე ბარათი, რომელიც უფრო მეტი გაგულისებითა და ზღვარგადასული კადნიერებით გამოირჩევა, ვიდრე პირველი. პროფესორი კვლავ გვსაყვედურობს და ტენდენციურობას გვაბრალებს. კერძოდ, გვწერს: „გამართლდა იმ ხალხის მტკიცება, ვინც მარწმუნებდა, რომ თქვენ ფაქტიურად გ. პეტრიაშვილთან „შეკრული ხართ" და კ. მახარაძის წერილი დაბეჭდეთ მხოლოდ იმისთვის, რომ მოგეჩვენებინათ ხალხისთვის თქვენი ვითომდა მიუდგომლობა, შემდეგ კი ისე მოპყრობოდით, როგორც მოეპყარით. მე არ ვიჯერებდი ამას, ვერ წარმომედგინა, რომ ქართველი ინტელიგენტი შეიძლებოდა მიმხრობოდა გ. პეტრიაშვილის ინსინუაციებს, თავგამოდებით გიცავდით, მაგრამ ეტყობა აქაც მოვტყუვდი".

ბატონო პროფესორო, ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი! ჭარმაგი ადამიანი ბრძანდებით და ყმაწვილკაცობთ, მეცნიერი ხართ და „ძველბიჭობთ", მამაკაცი ხართ და დედაკაცურ ჭორებს აყოლილი, ცდილობთ შეურაცხმყოთ; არც გაზეთს და არც მე, როგორც მთავარ რედაქტორს, საბაბი არავისთვის მიგვიცია, რომ ჩვენთვის „შეკრულობა" დაეწამებინოთ. ან რას ნიშნავს ეს ჟარგონი? რომელ „სიტყვის კონაში" მოიძიეთ? რა საკადრისია, საერთოდ, ეს ყოველივე? არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ იძულებული ვარ განვაცხადო: არ ვიცი, თქვენ ვისთან „შეკრულხართ", მაგრამ ცხოვრების ნირითა და აზროვნების წესით ისე წაავგავხართ იმას, ვისაც ექომაგებით, რომ ბნელი აზრები შეიძლება მეც გამჩენოდა. მაგრამ ამის ხმამაღლა გაცხადებას ჩემ თავს არ ვკადრებდი. საერთოდ, ადამიანი სუბიექტურ განცდებს აყოლილი არსებაა, მაგრამ, როცა პრობლემებზე მსჯელობს, ობიექტურობის ფიორი მაინც უნდა გააჩნდეს. თქვენ კი ეს სავსებით არ გაფიქრებთ.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ელიტის ჭორები სულაც არ მაინტერესებს. არც ცილისწამების გამო ვაპირებ ვინმეს პასუხი მოვთხოვო და არც ქომაგობისთვის ვუთხრა მადლობა. ამგვარ მტერ-მოყვრულ გარემოში ყოფნა კარგა ხანია, რაც ყველა რედაქტორის ხვედრია. ისე კი, საჯაროდ ვაცხადებ: ყოველთვის ვიდგები იმ ადამიანთა გვერდით, ვინც თავის კეთილდღეობას ერის ინტერესებზე მაღლა არ აყენებს, ვისაც ხატად თავისი ქვეყანა გაუხდია და არა პირადი დიდება თუ თავკერძნეტარება. ახლა კი, თავად უნდა გკითხოთ ბატონო პროფესორო, ასე რატომ კადნიერდებით და აუგად რად მეპყრობით? განა ისეთი რა სიმხდალე შემნიშნეთ, რომ გგონიათ, პასუხს ვერ გაგცემთ? გულზე ხელი დაიდეთ და მიპასუხეთ, საკუთარი სიგრძესიმაღლე ხომ არ გაცდუნებთ?..

თქვენი მეორე ბარათის დასასრულსაც ჩვენგან მოითხოვთ „უფრო მეტ წმინდა ადამიანურ პატივისცემასა და ანგარიშგაწევას", გვიცხადებთ, რომ „შეურაცხყოფილად გრძნობთ თავს" და „წყვეტთ ჩვენს რედაქციასთან ყოველგვარ ურთიერთობას".

„კი მაგრამ, ღმერთი აღარაა, ბნელა?" რედაქციას ცილს სწამებთ, რაღაც-რაღაცებს აბრალებთ, შეურაცხგვყოფთ და იქით გვებუტებით?! თქვენ ბუნებას ვინც იცნობს, იცის, რომ ახლობლებთან ურთიერთობის გაწყვეტა არ გიჭირთ, ოღონდაც, ვიდრე ჩვენთან შეწყვეტდეთ კავშირს, იქნებ ისიც გვითხრათ, განა ასეთი რა ურთიერთობა გქონდათ რედაქციასთან?!

ეჰ, ბატონო ნოდარ, მთელი უბედურება ის არის, რომ „სამყაროს უპედ" რაცხთ საკუთარ თავს, ეჰ!...

# მკითხველის აზრი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

რედაქციაში კვლავ მოდის წერილები იმ დისკუსიასთან დაკავშირებით, რომელიც ოთხი თვის წინათ წამოიწყო გურამ პეტრიაშვილმა წერილების სერიით „ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ..."

სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები ინტერესით ეხმაურებიან გაზეთის ფურცლებზე გამართულ კამათს ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ. გამოთქვამენ მოსაზრებებს, შეხედულებებს, გვთავაზობენ წინადადებებს და თითქმის ყველა მათგანი მოითხოვს თავისი წერილის დაბეჭდვას, მაგრამ, ცხადია, ყველა წერილს ვერ დავბეჭდავთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, ცალკეული წერილებიდან შეგვერჩია ისეთი პასაჟები, რომლებიც საერთო ჯამში, ასე თუ ისე, გამოხატავს ყველა მკითხველის დამოკიდებულებას როგორც დისკუსიისადმი, ისე დისკუსიაში წამოჭრილი საკითხების მიმართ.

●

ვინ არის წინააღმდეგი, ქართველმა რომ ქართულად ილაპარაკოს? თუ მაინცდამაინც სენსაციური წერილებია საჭირო, ეს ანბანური ჭეშმარიტება რომ ვამტკიცოთ?... გეყოფათ, ბატონო გურამ! დავიღალეთ, აღარ გვინდა მორიგი „მსხვერპლი". მერწმუნეთ, ქართველი დედაენას უთქვენოდაც არ დაკარგავს.

**რ. მეგრელიშვილი,**
თბილისი.

ვერ წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებითა და სიხარულით წავიკითხე კოტე მახარაძის წერილი. ულრმესი მადლობა, ბატონო კოტე, თქვენ არა მარტო ჩემი, ძალიან ბევრის აზრი გამოთქვით.

**ცირა გელაშვილი,**
რუსთავი.

ბატონო კოტე. თქვენი წერილი შთამბეჭდავია და ზუსტი... რაც უფრო მეტ ენას ეუფლება ადამიანი, მით უფრო განათლებულია, შინაგანად მდიდარი. ასეთი ადამიანი სხვაზე მეტად გამოადგება ერს. ყველა ენას თავისი ადგილი აქვს, მშობლიურს — პირველ რიგში. ზუსტად ამას აშუქებთ თქვენს წერილში, ბატონო კოტე, მაგრამ ზოგიერთმა მეგობარმა ვერ, ან არ გაგიგოთ.

**ნინო ჩაჩანიძე და სხვები.**
თბილისი.

ბატონო გურამ, დღეს, ქართული ენის აღდგომის ეპოქაში მშობლიურის ვერმცოდნე ქართველთა მიმართ სიბრალული გვმართებს და არა დაუნდობელი საყვედური. დაუნდობლობა საჭირო იყო გუშინ და ისიც მაღალი ინსტანციების მიმართ, — როცა ქართველ ახალგაზრდებს რუსულის უცოდინრობის გამო რესპუბლიკის სხვადასხვა სამსახურებში არ ღებულობდნენ. დღეს თქვენგან შეწირული მსხვერპლი ქართულ ენას აღარ სჭირდება, დაგვიანებულია.

**გიორგი მამაცაშვილი.**
თბილისი.

ბატონი გურამ პეტრიაშვილის გულისტკივილს ჩვენსას ვუერთებთ და ვაუწყებთ, რომ ამ საქმეში თანამოაზრეთა რიგებში გვიგულოს. ოღონდ ეგ არის, რომ ხანდახან უფრო მოზომილად თქმა სჯობია... მის წერილებში კი ისეთი ტონი და თვითდაჯერება გამოსჭვივის, რომ ძალაუნებურად იფიქრებენ, ავტორი ყოველ თავის დასკვნას თუ არგუმენტს უზენაეს ჭეშმარიტებად მიიჩნევს.

**ნუგზარ მხეიძე,**
თბილისი.

პატივცემულო რედაქციავ, თქვენ უდიდესი საქმე გააკეთეთ ბატონი გ. პეტრიაშვილის წერილების გამოქვეყნებით. ყინული დაიძრა.., ქართველი ქართულად იწყებს ლაპარაკს.

**მაყვალა ამაშუკელი,**
თბილისი.

უდავოდ სწორად მოიქცა „ლიტერატურული საქართველო", რომ გამოაქვეყნა მწერალ გ. პეტრიაშვილის წერილების სერია. წერილმან საკითხებზე შეიძლება დაუსრულებლად ვიკამათოთ. მაგრამ არსებითი, რაც გ. პეტრიაშვილმა თქვა, უდავოდ გასაზიარებელია... რატომ უნდა მივიჩნიოთ მკრეხელობად, თუ ქართველი მწერალი მშობლიური ენის წიაღისაკენ მიგვაჩქერებს.

**ბენო გეგეშიძე,**
სამტრედია.

გურამ პეტრიაშვილმა ჭკვიანურად, მკვეთრი ნოტით დაგვიწერა სტატია, რომლის დედააზრი ასეთია: პატივი ვცეთ ქართველი კაცის ნიჭიერებას, დავაფასოთ ღირსეულ მამულიშვილთა ღვაწლი, სიყვარულით ვაკეთოთ ხალხისა და მამულის მარგი საქმე, ოღონდ... ვილაპარაკოთ ყველამ ქართულად.

**თამაზ მუშკუდიანი,**
ბოლნისი.

გ. პეტრიაშვილმა სიმართლე თქვა, სიმართლეს კი ჩრდილი ჯერ არავისთვის მიუყენებია. სიმართლემ მხოლოდ მტყუან კაცს შეიძლება დაუკოდოს გული.

**მალხაზ დავითაშვილი,**
თბილისი.

ჩემი აზრით, მსჯელობა იმ პრობლემებზე, რომელსაც გ. პეტრიაშვილი შეეხო, დროულია და „გამგონემ" ისე უნდა გაიგოს, როგორც „მთქმელი" გულისხმობს. მის წერილებში ზოგიერთი რამ იქნებ მართლაც მკვახედაა ნათქვამი, მაგრამ სხვანაირად, ალბათ არ შეიძლება. ორი ათეული წლის წინათ ბატონმა მუხრანმა ლექსით მიმართა ქართველობას:

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს".

ეს ლექსი კონკრეტულად არავის ეხება, პირადად არავის აწყენინებს და ამიტომაც ყური არ ვუგდეთ. თურმე საჭირო ყოფილა უფრო მკვახე შეძახილი.

**ლამარა ჩხაიძე,**
თბილისი.

ქართული სკოლა დავამთავრე, რუსული — ინსტიტუტი და თორმეტი წელიწადი ვოლგისპირეთში ვიმუშავე. სრულიად ვეთანხმები გურამ პეტრიაშვილის მოსაზრებას, რომ რუსული ენა თავისი ბუნებით, შინაარსით რუსული ხასიათის მატარებელია და სრულიად განსხვავდება ქართული ენის ბუნებისაგან. ეს სხვაობა, რა თქმა უნდა, ჩანს ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ხასიათსა და აზროვნებაშიც. ამიტომ ხომ არ აჯობებს, იმ ქართველმა, ვისაც რუსული უფრო ემარჯვება, მოინდომოს და ქართულად იმეტყველოს, ამით ხომ უფრო დაუახლოვდება თავის, მშობლიური ხალხის ხასიათს.

**გიგლა კიზირია,**
აბაშა.

სამწუხაროა, აქეთ გაზეთს ვკითხულობ და გურამ პეტრიაშვილს, რომელმაც თქვა, ქართულად ვილაპარაკოთო, ცილისმწამებლად ნათლავენ. იქით — ტელევიზორს ვუყურებ და, დოკუმენტურ ფილმში, ქართველ ხელოვანს რუსულად მიჰყავს რეპეტიცია.

**მზევინარ სონღულაშვილი,**
გურჯაანი, სოფ. ჭანდარი.

იქნებ გ. პეტრიაშვილმა, იმათზეც დაწეროს, ვინც ქართულ სიმღერებს ამახინჯებს, ორ ენაზე ასრულებს ვილაცისთვის და რაღაცისთვის. ზოგ სიმღერას მხოლოდ სიტყვები აქვს ქართული, მელოდია კი აზერბაიჯანულისთვის ან სომხურისთვის მიუმსგავსებიათ. არც ეს საკითხი ითხოვს ნაკლებ ყურადღებას.

**გ. ზარიძე,**
რუსთავი.

გურამ პეტრიაშვილის თხოვნა თუ მოთხოვნა, რომ ქართველი ქართულად უნდა ლაპარაკობდეს და აზროვნებდეს, არ გულისხმობს პიროვნულ თუ ეროვნულ კარჩაკეტილობას, თვითიზოლაციას. პირიქით, მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლა და სიყვარული საწინდარია სხვა ერების მიმართ პატივისცემისა.

**დავით. ჟანტურიძე,**
ქუთაისი.

არ ვიცი, კონკრეტულად ვის უნდა „ვუმადლოდეთ“ რუსული ენის ტოტალიზებას საქართველოში, მაგრამ ფაქტი სახეზეა — ქართველ სტუდენტს თუ მეცნიერს არ მოეპოვება აუცილებელი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, თითქმის მთელ საქართველოში რუსული ენის მცოდნე უფრო ლაღად გრძნობს თავს, ვიდრე — ქართულის. ინფორმაციის მოწოდება რუსულად უფრო ფართოა, საქმის წარმოებაში რუსული ენა დომინირებს და ა. შ. ბატონი გურამ პეტრიაშვილის მიერ წამოჭრილი პრობლემა უაღრესად აქტუალურია, მან ისეთ სენს დაუსვა დიაგნოზი, რომლის განკურნების გარეშე საქართველო დასაღუპადაა განწირული.

**ოთარ ისაკაძე.**
ამბროლაური, სოფ. კრიხი.

ჩემი დაკვირვებიდან მოგახსენებთ. როცა მთიდან თბილისში ჩამოვედი სასწავლებლად, ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ არაერთი ქართველი ერთმანეთს რუსულად ან რუსულ-ქართულად ელაპარაკებოდა. ზოგისთვის ეს ჩვეულება იყო, ოჯახიდან გამოყოლილი, ზოგი კი სხვისი წაბაძვით იმტვრევდა ენას და თანაც თავი მოჰქონდა. რა გვიჭირდა, ეს ერთეული შემთხვევა რომ ყოფილიყო, ან დღემდე არ მოეღწია ამ „ტრადიციას“.

**დალი ყურშავიშვილი,**
რუსთავი.

რუსეთის ნებსითსა თუ უნებლიე კულტურულ ინტერვენციას ქართველი ერი ებრძოდა და ებრძვის, ოღონდ ეს არის, ბრძოლა ხან ნელდება, ხან ღვივდება — როგორც ამას დღეს მოვესწარით. ისევ გაღვივდა ბრძოლა. მებრძოლთა რიგებში გ. პეტრიაშვილიც გამოჩნდა. ეტყობა, ბრძოლის ორომტრიალში იგი ზოგჯერ ხმალს ისე ვერ იქნევს, როგორც საჭიროა, მაგრამ მისი და მის თანამებრძოლთა მიზანი უაღრესად კეთილშობილურია. თუ გ. პეტრიაშვილს ბრძოლაში ყველაფერი ფაქიზად არ გამოსდის, ეს ბრძოლის კანონების ბრალია.

**ლ. მეძმარიაშვილი,**
თბილისი.

დიახაც, საჭირო და დროული იყო გ. პეტრიაშვილის წერილები, დროული, რადგან ჯერ კიდევ მოწმენი ვართ, ტელეეკრანიდან მოსაუბრე ბევრი ქართველი მოღვაწე, არაერთი ინტელიგენტი ხშირად, რაიმე აზრის ვითომდა უფრო ზუსტად გადმოსაცემად, რატომღაც რუსულს იშველიებს, თითქოს იმ რუსულ სიტყვებს ქართული შესატყვისები არ ჰქონდეს.

**ნელი წიკლაური.**
თბილისი.

ვიცი, ჩემს წერილს არ გამოაქვეყნებთ, მე ხომ ავტორიტეტული პიროვნება არა ვარ და ჩემს აზრსაც მნიშვნელობა არ ექნება თქვენთვის, მაგრამ მაინც გწერთ... არ მომწონს, გაზეთი ცალკეულ პიროვნებათა კინკლაობისთვის რომ იცლის, სწორედ ამან მიიყვანა საქართველო ამ დონემდე და ახლაც ეს დაგვღუპავს. არ არის ლამაზი ერთმანეთის ლექსების და სტატიების ქექვა, რაც იყო, იყო. ცხოვრება ახლებურად უნდა დავიწყოთ... რაც შეეხება გ. პეტრიაშვილის წერილებს, ყოველმხრივ სწორია, ვეთანხმები მის აზრს.

**ლია ჩიქვილაძე.**
თბილისი.

მე ეროვნებით რუსი ვარ, საქართველოში ჩამოვედი ორმოცი წლის წინ. არცერთი ქართული სიტყვა არ ვიცოდი. საიდან უნდა მცოდნოდა, საშუალო და უმაღლესი რუსეთში დავამთავრე, შემდეგ ქართველს გავყევი და შეიცვალა ყველაფერი. მეუღლემ ასეთი თხოვნით მომმართა — მხოლოდ ქართულად. ის დღე იყო და ის დღემე ძალზე ვეცადე, ქართულ ენას და წერა-კითხვას დავვუფლებოდი. მგონი შევასრულე (დიდმა სიყვარულმა შემაძლებინა).

ამას წინათ პეტრიაშვილის წერილი წავიკითხე. ჩემი აზრით, არაფერი საგანგაშო არ იყო. ცუდი არაფერი უთქვამს... რუსებს არ გაურუსებიათ ქართველები, ქართველებმა გაირუსეს ნებით თავი. ქართველ ინტელიგენციას ძალიან მოსწონს რუსულად ლაპარაკი... პატივცემულო რედაქცია, ვიცი, ქართული წერა ისე კარგად არ ვიცი, რომ ყველაფერი კარგად დამეწერა — გჯეროდეთ, ლაპარაკი ალბათ ბევრ ქართველზე უკეთესად ვიცი. გამოქვეყნების იმედი არა მაქვს. არც პრეტენზია მაქვს...

**ნატალია ივანოვა.**
თბილისი.

ამ კამათის გაგრძელება მართლაც აუცილებელია, რადგან საკითხი მეტად საჭირბოროტო პრობლემას ეხება. გულდასმით წავიკითხე გურამ პეტრიაშვილის ყველა წერილი და გამიხარდა, რადგან დავინახე ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა. მთავარი თემა, თუ შეიძლება ითქვას, მთავარი გმირი მისი სტატიებისა არის ქართული ენა. სამწუხაროდ, ოპონენტების წერილებში მთავარ მოქმედ პირად მხოლოდ პეტრიაშვილია გამოყვანილი.

**მარი თაბუკაშვილი.**
თბილისი.

კარგია, ბატონო, პოლემიკა, აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება, მაგრამ ეს, რასაც ახლა ვკითხულობ, ყველაფერს აჭარბებს. მუხლმოდრეკილი გევედრებით. ბატონებო, მტერს ნუ გავახარებთ, შევუნდოთ ერთმანეთს, მივუტევოთ. ზომიერების ფარგლებში მოვაქციოთ კრიტიკა. კაცს ნუ ჩავქოლავთ, ღმერთი გვიწყენს. გთხოვთ, ეს ჩემი წერილი დაბეჭდოთ, მრავალი ადამიანის სათქმელს ვამბობ.

**მაია კილასონია.**
თბილისი.

მკითხველი დაიღალა უსაგნო კამათით. ქართულ ენას, ეროვნულ საქმეს ყველამ უნდა მივხედოთ პრაქტიკულად, ყოველგვარი კამათის გარეშე. რატომ ვერ ვხვდებით, რომ ასეთი კამათით ჩვენი ეროვნული ძალების გამთიშველთა წისქვილზე ვასხამთ წყალს.

**თამარ ოქროპირიძე.**
თბილისი.

გ. პეტრიაშვილის წერილმა ძალიან აგვაღელვა, მაგრამ შემდეგ დაიბეჭდა კ. მახარაძის წერილი და თითქოს გულიდან დიდი ლოდი მოგვცილდა, მან თითქოს ჩვენი გულისნადები გამოთქვა. მაგრამ გაზეთის შემდეგმა ნომერმა კი ისევ დაგვანაღვლიანა. როგორ მკაცრად ესხმიან თავს კ. მახარაძეს. ძალიან აღელდით. კი მაგრამ, რამდენი ბოლმა გქონიათ ქართველებს ერთმანეთთან გადმოსანთხევი. აბა თქვენ იცით, მტერს როგორ გაახარებთ... ჯერ თქვენ უნდა იყოთ ერთ მუჭად შეკრული და მერე სხვა ეროვნების ხალხებთან უნდა იყოთ მჭიდრო კავშირში...

**ვეზიროვი, კაჩმაზოვი, ფილიევი, ბრამატიკოპულო, ალიევი და სხვანი.**
ბორჯომი.

უმორჩილესად გთხოვთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, გაუფრთხილდეთ, პატივი ვცეთ ერთმანეთს. გაზეთების რედაქციებს კი ვთხოვ, თავი შეიკავონ... როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ვიცით, რა არის დემოკრატია.

**ლუიზა ქუმელაშვილი.**
თბილისი.

●

სულ 180 წერილი მივიღეთ. წერილების „გეოგრაფია“ ფართოა. გარდა ზემოთ მითითებული ქალაქებისა და რაიონებისა, იწერებიან აბაშიდან, ამბროლაურიდან, ახმეტიდან, ბათუმიდან, გორიდან, ზესტაფონიდან, ზუგდიდიდან, თიანეთიდან, კასპიდან, კიევიდან, მაიაკოვსკიდან, მოსკოვიდან, მცხეთიდან, ოზურგეთიდან, სენაკიდან, სიღნაღიდან, სოხუმიდან, ტყიბულიდან, ყირიმიდან, ცხინვალიდან, წალენჯიხიდან, ჭიათურიდან, ხაშურიდან.

წერილების უმრავლესობა მოვიდა კოტე მახარაძის პოლემიკური წერილის დაბეჭდვის შემდგომ. საბოლოოდ, შეიძლება, მკითხველთა თვალსაზრისი სამ ჯგუფად დავალაგოთ: 1. მკითხველები იწონებენ, ან არ იწონებენ გურამ პეტრიაშვილის პოზიციას; 2. მოითხოვენ კამათის შეწყვეტას; 3. იწონებენ, ან არ იწონებენ კოტე მახარაძის პოზიციას.

როგორც ზემოთ ითქვა, შეუძლებელია ყველა წერილის შინაარსის გამოქვეყნება. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ისღა დაგვრჩენია, რომ მარტივი სტატისტიკა მოვიშველიოთ. კერძოდ — გურამ პეტრიაშვილის თვალსაზრისს იზიარებს 73 წერილი,* არ იზიარებს — 22; კამათის შეწყვეტას მოითხოვს — 15; კოტე მახარაძის პოზიციას იცავს 4 და უარყოფს 66 წერილი. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ კოტე მახარაძის წერილის გამოქვეყნების შემდეგ წერილთა ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა — ან გ. პეტრიაშვილის პოზიციას იცავს, ან მის ოპონენტს აკრიტიკებს.

დაბოლოს, რაც შეეხება წერილების ავტორთა სოციალურ წრეს. იწერებიან მუშები, ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები, გლეხები, სტუდენტები, მოსწავლეები, დიასახლისები, პენსიონერები...

**კრიტიკის განყოფილება**

* ყველა კოლექტიური წერილი თითო თვალსაზრისად ჩავთვალეთ.

## რედაქციისაგან:

მკითხველთა წერილების მიმოხილვის შემდეგ, ორიოდე სიტყვით, ჩვენს თვალსაზრისსაც მოგახსენებთ.

რაც უნდა ბრწყინვალე დადგენილება და პროგრამა მივიღოთ ქართული ენის განვითარების შესახებ, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ, თუ ყველამ ერთად არ გავაანალიზეთ და არ გავიცნობიერეთ ის, თუ რა ვითარებაში აღმოჩნდა მშობლიური ენა ჩვენი ქვეყნის კოლონიური არსებობის პირობებში.

ენა ადამიანთან, ხალხთან ერთად არსებობს და ყოველგვარი ფიზიკური თუ სულიერი შეჭირვება, რასაც განიცდის ერი, უსათუოდ ენაშიც აისახება. ენა არის ადამიანის პიროვნების, ხასიათის, ინდივიდუალობის საფუძველი თუნდაც იმიტომ, რომ ენის საშუალებით გადაეცემა მას ის, რაც ერს შეუქმნია საუკუნეების მანძილზე. ენა არის ადამიანის შინაგანი ძალების, შემოქმედებითი ენერგიის განხორციელების წინაპირობა. და, არა მარტო ენა, ერის ხასიათს აყალიბებს და გამოხატავს თვით დამწერლობაც კი. და ბოლოს, ენა წარმოადგენს ერის მსოფლმხედველობას და თუ კი ენები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ამ სხვაობას სწორედ ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანების განსხვავებული მსოფლმხედველობა ადასტურებს. ენათმეცნიერების მიერ აღიარებული ეს ჭეშმარიტებანი არ უნდა გამოგვრჩეს, როცა ვსაუბრობთ ქართული ენის არსსა და ბუნებაზე, მის ბედსა თუ უბედობაზე.

შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი ქართული ენის დაცვასა და განვითარებაზე, აგერ, სადაცაა საქართველო სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას აღიდგენს და ენის პრობლემაც თავისთავად მოგვარდებაო. ასეთმა მსჯელობამ შეიძლება ბევრი დააბნიოს. მართლაც, სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ რა დაუდგება წინ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მხოლოდ სტატუსით არ წყდება ეს არცთუ მარტივი საკითხი.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართულმა ენამ ჩვენთან ერთად გამოიარა ორასწლიანი ტყვეობის გზა და თუ რამ უცხო, უჩვეულო და ხენეში შეუთვისებია ჩვენს ცნობიერებას, ჩვენს ზნეობას, ყოველივე ენაშიც გამოვლენილა. მართალია, ქართული მწერლობა დროდადრო წმენდდა, ასუფთავებდა მშობლიურ ენას, მაგრამ ჟამთა ვითარებას მაინც თავისი გაჰქონდა.

ქართველი კაცის გარუსების წადილი, რომლის უპირველესი დანიშნულება ქართული ენის და, ამდენად, ქართულად აზროვნების შეზღუდვა-შევიწროვება იყო, გარკვეული თვალსაზრისით ზუსტად ხორციელდებოდა.

როცა გურამ პეტრიაშვილის წერილების ბეჭდვას ვიწყებდით, ცხადია, მის ყველა თვალსაზრისს არ ვიზიარებდით. კერძოდ, მაგალითად, მიგვაჩნდა, რომ არ იყო მიზანშეწონილი ქართული ენის დღევანდელი პრობლემების ცალკეული პიროვნების შემოქმედებასთან დაკავშირება. ჩვენი პოზიცია ამ საკითხის მიმართ იმითაც წარმოვაჩინეთ, რომ გ. პეტრიაშვილის წერილების პარალელურად დავბეჭდეთ გრიგოლ რობაქიძის, ვასილ კიკნაძისა და გუბაზ მეგრელიძის სტატიები, რომლებშიც კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ანალიზი წარმოდგენილი იყო სწორედ იმ კუთხით, რა კუთხითაც არ ვიზიარებდით გ. პეტრიაშვილის თვალსაზრისს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ გ. პეტრიაშვილის მსჯელობა, ძირითადი აზრი სულ სხვა, აშკარად სწორი გეზით იყო მიმართული და ჩვენი სურვილიც ის იყო, რომ ამ მიმართულებით წარგვემართა დისკუსია.

ნუ ვიფიქრებთ, რაკიღა ასე არ მოხდა, დისკუსიის წამოწყება ამაო საქმე ყოფილაო. როგორც ითქვა, ეს პრობლემა ისეთი იოლი მოსაგვარებელი არაა, ამ ეტაპზე რომ შეიძლებოდეს წერტილის დასმა.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია სასაუბროდ იწვევს ქართველ მწერლებსა და ენათმეცნიერებს, მათ, ვისაც ხელეწიფება ამ საკითხზე კომპეტენტური მსჯელობა და კამათი.

ენა არის სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, — ხატოვნად ამბობს ფილოსოფოსი. ქართული ენა — ჩვენი ყოფნის სახლი — დღესაც, ისევე, როგორც ყოველთვის, მოითხოვს ყურადღებას და მოვლას. ამიტომაც არასოდეს იქნება ზედმეტი ან უხერხული, თუ მშობლიური სახლის მოსაწესრიგებლად, მის საკეთილდღეოდ ზოგჯერ თავს შევიწუხებთ, ავფორიაქდებით და სხვასაც ავაფორიაქებთ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, ერთმანეთი განვიკითხოთ და გზა მივცეთ უსამართლო, მოუზომავ კრიტიკას. თუ გვსურს, კამათში ჭეშმარიტება იშვას, ვისაუბროთ და ვიკამათოთ მხოლოდ პრობლემაზე და არა ერთმანეთის პიროვნულ თვისებებზე.

# დაგვიანებული მადლობის წერილი ბატონ ნოდარ წულეისკირს

ბატონო ნოდარ! ცხადია, გახსოვთ პოლემიკა, რომელიც ქართული პრესის ფურცლებზე გაიშალა ერთ-ერთი ჩვენი უსაყვარლესი ხელოვანი ქალის მკაცრად გაკრიტიკების გამო. ამ პოლემიკაში მეც მივიღე მონაწილეობა, რადგან მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ხალხისათვის ესოდენ საყვარელი, მსოფლიოში ცნობილი ხელოვანი, არ იმსახურებს მსგავსი ტონით გაკრიტიკებას.

წერილს საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რაც, არ დავმალავ, პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო. ძირითადად ყურადღება გამახვილდა წერილის იმ ნაწილზე, სადაც ვცადე, ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა მშობლიური ენისადმი. როგორც აღმოჩნდა, სათანადო დონეზე ამის გაკეთება ვერ შევძელი, რის გამოც არასწორად გამიგეს. მე ქართული ენის ხელყოფა არ მიფიქრია, ღმერთმა დამიფაროს ამგვარი მკრეხელობისაგან. მშობლიური ენა ჩემი სალოცავი ხატია. მე მხოლოდ შევახსენე საზოგადოებას ქალბატონი ლიანას ღრმად ეროვნული პოზიცია აპრილის ტრაგიკულ დღეებში და მისი წვლილი ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. მადლიერი ვიქნებოდი გაზეთ „ქართული ფილმის“ რედაქციისა, თავის დროზე გაეთვალისწინებინა ჩემი გამოუცდელობა და მიეთითებინა ჩემს შეცდომაზე. მცირეოდენი კორექტირება წერილმა მაინც განიცადა. მიუხედავად ამისა, შეცდომა, რომლის გასწორებაც სულ ადვილად შეიძლებოდა, მაინც დარჩა. სწორედ მის გარშემო ატყდა პოლემიკა..

ბატონო ნოდარ! ერთ-ერთი პირველი წერილის ავტორი სწორედ თქვენ ბრძანდებოდით. არ დავმალავ, წაკითხვისთანავე გადავწყვიტე, მადლობა მეთქვა რჩევა-დარიგებისათვის. სამწუხაროდ, ავტოავარიამ და საკმაოდ მძიმე მდგომარეობამ მხოლოდ დღეს მომცა ამის შესაძლებლობა. როდესაც პოლემიკაში ვინმე ზნეობრივ ნორმებს უგულვებელყოფს, მას მაშინვე კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდება თავს, პირიქით კი თითქმის არასდროს ხდება: არავინ აფასებს ზრდილობას, ტაქტს, თავდაჭერილ ტონს. ცოტას აქვს, ბატონო ნოდარ, პოლემიკური წერილის მკაცრ ზნეობრივ ჩარჩოებში მოქცევის თქვენებური უნარი, რაც, ჩემი აზრით, ყველა ქართველს (მითუმეტეს მწერალს) სხვათაგან უნდა გამოარჩევდეს.

სწორედ ამიტომ ყველას, ვინც კი ოდესმე ამგვარ პოლემიკაში ჩაბმას დააპირებს, მე, პირველ რიგში, თქვენი იმ წერილის ყურადღებით წაკითხვას ვურჩევდი, რამეთუ, რაოდენ მწვავეც არ უნდა იყოს პოლემიკის საგანი, ზრდილობიანი ურთიერთობის გარეშე იგი უფრო მეტად გამწვავდება. ამის თავიდან აცილების შესანიშნავ ნიმუშს კი, ჩემი აზრით, სწორედ თქვენი ხსენებული წერილი წარმოადგენს. შემეძლო დამერეკა თქვენთვის ან მომეწერა პირადად, მაგრამ ვარჩიე, სათქმელი ღიად, ყველას გასაგონად მეთქვა.

**არჩილ ჩხარტიშვილი,**
ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

## ნიკოს კაზანძაკისი

# ტოდა რაბა

ერთი ნაწყვეტი ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანძაკისის რომანიდან „ტოდა რაბა" უკვე დაიბეჭდა 1988 წლის 1 იანვარს „ლიტერატურულ საქართველოში". რომანში მწერლის მიერ საქართველოს ისტორიული წარსულის ალქმის უშუალო შთაბეჭდილებებია გადმოცემული — შეხვედრები ქართველ მწერლებთან, მათ შორის გრიგოლ რობაქიძესთან.

ამჟამად გთავაზობთ ამ რომანის ორ თავს, რომლებშიც 20-იანი წლების საქართველოს სურათია დახატული.

I

გერანოსი თავის მეგობართან, გუშინდელ თამადასთან, ლევან მენაშვილთან ერთად ძალიან ლამაზ, ჰედონიკურ და სრულიად ინდიფერენტულ თბილისში დადის, ზანტად რომ გაწოლილა მტკვრის გაღმა-გამოღმა, კეკლუცი, შიშველი და იდუმალებით აღვსილი, ვითარცა ქალი. საუკუნეების განმავლობაში მოიწევდნენ შეუპოვარი პრეტენდენტები ქვეყნიერების ყველა კუთხიდან — ერთ ხელში ჯვარი ეპყრათ, და ნახევარმთვარე წითელი ვარსკვლავითურთ, მეორეში — ხმალი... ბიზანტიელები, სპარსელები, სარკინოზები, რუსი მეფენი, ბოლშევიკები. ჩინგიზ-ხანმა ისეთი ძალით მოზიდა სარეცელზე, რომ აზიდულ „კალას" გვირგვინი მტვერში გადაუგორდა. ბევრმა იგემა მისი სხეული, მაგრამ გული მისი ვერავინ დაიპყრო, ახლაც, დღესაც, მედგრად უმკლავდება წითელი ჯარის ხვევნას.

— ჩვენს მუზეუმში, — ამბობს ლევან მენაშვილი, — ინახება ძალიან ლამაზი აღმოსავლური ხატი: შავ ცხენზე ნახევრადშიშველი ქალი ამხედრებულა, ანტილოპასავით გაჭრილი ტანჯული თვალებით. მუხლი მოუდრეკია ამირას. გაუწვდია აცახცახებული ხელი და რაღაც მავედრებელი მოძრაობით ცხენისთვის მკერდზე დაუდვია. ქალი ბედნიერია და არცკი იცქირება მისკენ. ეს თბილისია.

ლევანი ამაყობს თავისი ქალაქით.

მაღალ ბორცვზე იდგნენ, დანგრეული კალას ციხის ფერხთით.

გერანოსი შორს, მოწითალო-მოოქროსფრო მოშიშვლებული ბორცვებისაკენ იცქირებოდა.. ოქროსფერი ფოთლებით შემოსილ ხეებს შეჰყურებდა ვიწრო ხეობის სიღრმეში. ზანტად მიიწევს წელს შემოდგომა კავკასიის მთელს არეალში და არა სურს სიკვდილი!..

მკლავს გამოდებს ლევანი გერანოსს, უთრთის ჩახრინწილი ხმა:

— თავისუფლება გვინდა, არა ვართ ჩვენ არც კომუნისტები და არც რეაქციონერები. ქართველები ვართ!

ლევანი ერთ-ერთ ლოდს იღებს ძველი ნანგრევებიდან, ჰკოცნის და პათეტიკურად წაიძახის:

— საქართველო! საქართველო!

გამოუთქმელმა სევდამ მოიცვა გერანოსი. შეძრა ამ ნიჭიერი ადამიანის შემართებამ, ამაოდ რომ იხარჯებოდა აუხდენელი და შეზღუდული მიზნებისათვის. მისი სიტყვები სილასავით ხვდება უბედურ ლევანს:

— იდილიური სიზმარი დამოუკიდებელი საქართველოსი მოაზროვნე ადამიანისათვის შეუფერებელი ქიმერაა. საქართველო გადამწყვეტ გეოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ არეალშია. იგი ორი ძალის შუაა მოქცეული, ახალი საბჭოთა ძალისა — რომლის მიზანიცაა შთანთქას მთელი აზია — და ძველი, კაპიტალისტური ძალისა, რომელიც ცდილობს მას შეეწინააღმდეგოს. საბრალო საქართველო ორ უზარმაზარ დოლაბს შორის მოქცეულ ხორბლის მარცვალსა ჰგავს.

— ფატალისტი ხარ!

— არა. რეალისტი. ზუსტად ვხედავ. არ ვეკუთვნი კომუნისტურ პარტიას და არც შენსავით მოქმედების კაცი არა ვარ. ეს უფლებას მაძლევს ტრაგედიას, რომელშიც ვცხოვრობ — ჩვენს ეპოქას — ვუცქირო უფრო მიუკერძოებელი და, ამასთანავე, შეუზღუდავი მზერით. შენზე უფრო შორსა ვხედავ და არც შედეგების მეშინია.

ყოველი ახალი იდეა, საყვარელო მენაშვილო, იმპერიალისტურია. მისი სურვილია, თუკი მისივე გამოთქმას ვიხმართ, სამყაროს ხსნა, ხოლო მისი მტრების გამოთქმით — დაპყრობა. ძველი გზა ხელსაყრელია ქლიერთათვის ამა ღლისა — სუსტი გულებისა და სატანური გონებათათვის. ახალი იდეა უტევს. ახალია და ამიტომაცაა ძლიერი და მკაცრი. რომელი მხეცია ვეფხვზე მეტად სისხლის მოყვარული? ახალი იდეა, საბრალო მენაშვილო! აი, დააკვირდი, თუნდაც ყველაზე სათნო იდეას, რომელიც კი დედამიწაზე მოსულა: „იყვარებდეთ ურთიერთს". როცა რომელიმე პიროვნებას ან რომელიმე ხალხს არ უნდოდა, ან არ შეეძლო გაეგო ეს სიყვარული მშვიდობიანი გზით. მაშინ გადაუპობდნენ თავს და ისე ჩაუდებდნენ გონებაში. შიშს იწვევს ეს ბარბაროსული გზა ქმედებისა. მაგრამ განა არ იცი, რომ სულთან დაკავშირებულ მთელს ისტორიას სისხლი სდის! უნდა გითხრა, რომ ღმერთი — თუკი შენ ეს ძველი სიტყვა უფრო მოგწონს — არ არის არც სოციალისტი, არც დემოკრატი და არც მენშევიკი.

ლევან მენაშვილმა ამოილუღლუღა:

— ერთადერთი შვილი დავკარგე 1924 წლის საქართველოს აჯანყებაში. წითლებმა ვაგონებში შეყარეს ორასზე მეტი ახალგაზრდა და ინტელიგენტი და ტყვია დაუშინეს.

გააჟრჟოლა გერანოსს. თამაშობდა იგი მთელი თავისი სიმშვიდით, სიტყვებით. ადვილი იყო მისთვის თვალი ედევნებინა შორიდან აბსტრაქტული იდეებისათვის და გაეგო ისინი, მაგრამ მისი მეგობრისათვის, მის გვერდით რომ ოხრავდა, ეს აბსტრაქტული იდეა საკუთარი შვილის სისხლის შხეფებით იყო მოთხვრილი. ცოტათი შეურბილდა ხმა გერანოსს:

— ტკივილმა არ უნდა დაგიბინდოს ხედვა, საყვარელო ლევან, საქმე ჩვენს პირად ბედნიერებას და მწუხარებას არ ეხება. მთელი ქვეყნიერების ბედი თამაშდება ყოველ წუთსა და ყოველ წამში. ჩვენი დროის დემონი თანაგრძნობის გარეშე დაალაჯებს. რატომ? იმიტომ, რომ, საპირისპიროდ ყოველგვარი წინააღმდეგობისა, კარგისა თუ ცუდისა, ცოტათი წინ უნდა რომ წაიწიოს. შენ, ლევან მენაშვილო, მთელი საქართველო, მთელი საბჭოეთი და ინგლისი, კომუნისტური და კაპიტალისტური იდეა, ბრმა იარაღი ხართ ამ დემონის ხელში, არც მეტი, არც ნაკლები.



ქალაქისაკენ გაუდგნენ გზას გერანოსი და ლევანი. ძველი ეკლესიები. კონუსისმაგვარი გუმბათებით. სპარსული ლომების ბარელიეფებით და დამძიმებული ყურძნის მტევნებით გარშემოწნული ბიზანტიური ჯვრებით დამშვენებულნი. ჩრდილოვანი ვიწრო გზები, ინით შეღებილი წვერები, ლია ცისქვეშა ბაზარი — ვაშლები, ბროწეულები, წითელი წიწაკები, ყურძენი, მაყალზე დადებული მწვადი..

— გამარჯობა! ანუ გამარჯვებული იყავ!

ესალმება ლევანი მეგობრებს და მოღუშვია გამოფიტული სახე. თვალს გააპარებს ხოლმე გერანოსი მეგობრისაკენ. ებრალება იგი. მკვდრის გვერდით დავდივარ, გაიფიქრებს ხოლმე.

ყაზარმის წინ, პატარა მოედანზე. ერთი გამხდარი, ძალზე უშნო, პირმოკუმული ოფიცერი ოცდაათიოდე ახალწვეულს ესაუბრება:

— არა ხართ თქვენ საბჭოეთის ჯარისკაცები. არ ეკუთვნით თქვენ მხოლოდ ერთ ქვეყანას! გამოიფხიკეთ ყურები, გაახილეთ თვალები, ეცადეთ შეიგნოთ. არა აქვს საზღვარი ჩვენს ქვეყანას. თქვენა ხართ ჯარისკაცები ყველა პროლეტარული დაჯგუფებისა ამა ქვეყნად. წითელი დროშა არ არის საბჭოეთის დროშა. იგი ყველა მშრომელისა და დაჩაგრულის ალამია. ეცადეთ გაიგოთ ეს!

გრძელ, რუხ მაზარებში ჩაფლულ. შუბლზე წითელვარსკვლავიან ზანტ სოფლელ ბიჭებს პირები დაეღოთ. წაეგრძელებინათ კისრები და ცდილობდნენ გაეგოთ.

ანელებს ნაბიჯს ლევან მენაშვილი. არა სურს ხედავდეს, არ უნდა გაიაზროს, უცახცახებს მოკლე წვერი.

„რა სუნია ეს? მკვდრის გვერდით დავდივარ"... ისევ გაიფიქრებს გერანოსი. სულ სხვანაირად ცხოვრობდა ჩემს გვერდით მყოფი ეს ადამიანი. ალვსილი იყო ბედნიერებით. ებრძოდა უსამართლობას და სძულდა ძალადობა. ყველაფერს აკეთებდა ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა შორის სამართლიანი და მშვიდობიანი მორიგებისათვის. საბრალო ლევანი! ისიც ხომ თავის სამშობლოსავით ორ დოლაბს შორის მოქცეული ხორბლის მარცვალია: ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის! წამოიმართება ეს კეთილი მარცვალი ამ ორ მტრულ თანამოლვაწე ძალებს შორის და მშვიდობას ქადაგებს. მაგრამ ეს ორი დიდი დოლაბის ქვა განუწყვეტლივ განაგრძობს თავისი მისიის შესრულებას. მოძრაობენ და აშთობენ მას. ლევან მენაშვილი ცარიზმს შეებრძოლა და ოცი წლით კატორღა მიესაჯა.

— თავისუფლებისათვის ვიბრძვიო, — ამბობდა.

მოვიდნენ ბოლშევიკები. ლევანი ბოლშევიკებსაც შეებრძოლა, რადგანაც მათ ძალას მიმართეს.

— თავისუფლებისათვის ვიბრძვი, — კვლავ იმეორებდა.

ერთ მშვენიერ დღესაც ერთმა სომეხმა ჩეკისტმა დაიჭირა და დააპატიმრა. სამთვენახევრის განმავლობაში ელოდა სიკვდილს ლევანი. ფეხზე მდგომს, ფანჯარაზე მიყრდნობილს ჩასძინებია მრავალგზის, თავისი რიგის მოლოდინში. სამჯერ მიესაჯა სიკვდილი და სამჯერ გამართლდა. ათამაშებდნენ. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის აბურთავებდნენ. ვერც საკმაოდ საშიშად ჩათვალეს და ვერც მთლად უშიშრად მიიჩნიეს.

ბოლოს კი, ერთ-ერთმა მოსამართლემ, რომელიც შემთხვევით მისი მეგობარი აღმოჩნდა, აბუჩად აიგდო იგი თავისი კოლეგების წინაშე. დაიყენა დათაფლული ხმა და მთელი გვერდები წაიკითხა ლევანის პათეტიკური და სატრფიალო ლექსებიდან. სასამართლო სიცილით გასკდა.

გადარჩა ლევანი. სინათლეზე რომ გამოვიდა, მაშინღა შენიშნა, თმა რომ გასთეთრებოდა. არავითარი სიხარული არ უგრძვნია. ძალიან დაღლილი იყო.

ახლა კი დადის მთელს საბჭოეთში. წერს წიგნებს, რომელთა დაბეჭდვასაც არავინ ფიქრობს. სამუშაოს ითხოვს, ხელსა ჰკრავენ. ვერაფერი გაუგია,

ხელსა სტაცებს ხელზე გრძნობამორეული გერანოსი უეცრად.

— რა მოხდა? — ეკითხება შემობრუნებული ლევანი.

— არაფერი.

რამდენიმე წუთის შემდეგ:

— ძალიან იტანჯე, ლევან, ციხეში?

— თავიდან ჰო... მერე, ძალიან დაღლილი ვიყავი. აღარ განვიცდიდი. თვეები გავატარე ფანჯარასთან მდგომარემ... ოცდაჩთამდე ტუსალი ვიყავით ერთ პატარა საკანში შეყრილი... პირველ დღეებში რამდენჯერმე თავის მოკვლა დავაპირე. აუტანელი სუნი იდგა. მერე შევეჩვიე... ხანდახან შემოიხედავდა წითელი ჯარისკაცი და ზოგიერთის სახელს დაიძახებდა. ვეხვეოდით მეგობრებს, თამბაქოს ვაძლევდით. ეს იყო ხოლმე, ჩვეულებრივ, უკანასკნელი სურვილი: სიკვდილის მოლოდინში მოსაწევი რომ ჰქონოდათ. უმრავლესი მათგანი აღარ ბრუნდებოდა უკან. ზოგი კი ბრუნდებოდა, მაგრამ გაგიჟებული. დარაჯი მახათით უხვრეტდა დაბრუნებულს მკლავს, მაგრამ ვეღარ გრძნობდნენ ტკივილს, ყოველი ასეთი გამოცდის შემდგომ დარაჯი ახკვნიდა: „გიჟია".

ლევანი დაბლა იხრება. კიდევ უფრო დაბლა უწევს ხმას:

— ერთმა სარდალმა, დახვრეტამდე რამდენიმე წუთით ადრე, თორმეტი პწკარი დაწერა...

— რა, ლექსი? თქვი!

— არ შემიძლია, — ბუტბუტებს ლევანი. ძალიან ჩუმად, ფარულად ვმღერით ამ პწკარებს...

გაბრაზდა გერანოსი. „ამგვარი ადამიანები მძიმე მასას ქმნიან, რაც აფერხებს ცხოვრების წინსვლას".

თავს იკავებს და ამბობს:

— ჩეკას უნდა მოეკლა კიდევ...

ამასობაში ქართული ფილმების სტუდიასთან მივიდნენ, სადაც გერანოსი იყო მიწვეული. ახალ ფილმებს უჩვენებდნენ. ლევანმა იგრძნო, რომ ბევრი ილაპარაკა. შფოთავდა.

— შევიდეთ, — უთხრა გერანოსმა, — და მერე უფრო ჩუმად დაუმატა, — დაწყნარდი ლევან, წინდახედულად მოიქეცი.

— არ მესმის. ვაღიარებ რომ მშფოთვარე ენერგიას ვგრძნობ ამ ახალ საბჭოურ ცხოვრებაში, რომელიც მეჯავრება. მაგრამ ძალა არ შემწევს შევებრძოლო. ყოველგვარი იმედი გადავიწურე. თანახმა ვარ ვითანამშრომლო... ხედავ, ბოლშევიზმი მეტისმეტად გაფუვდა. რამდენჯერმე შევთავაზე ჩემი შესაძლებლობანი და ჩემი ცოდნა. „წყალობა გაილეთ! — გავყვიროდი, თქვენთანა ვარ. მომეცით სამუშაო!". ყველგან უარით გამომისტუმრეს. რატომ? ასე ხომ შიმშილით მოვკვდები.

ცივი ოფლი უფარავდა საბრალო შუბლს. ხელები აღაპყრო ცაში და ერთი წუთით მეტისმეტად სუფთა და გაცვეთილმა სამაჯეებმა გაიელვეს მზეზე.

ისევ შეებრალა გერანოსს, მაგრამ შეიკავა თავი:

— ლევან მენაშვილო, განერიდე, თუ შეგიძლია, შენს პირად მდგომარეობას, განეშორე ცოტათი და შეხედე, ბურჟუაზიულ კლასს ეკუთვნი, მდიდარი იყავი. განათლებული, კარგად ნაცხოვრები. სხვა კლასმა, რომელსაც შიოდა, არც მდიდარი იყო, არც განათლებული, არც კარგად ცხოვრობდა, შეძლო და ხელში ჩაიგდო სადავეები. მისი სურვილია შეინარჩუნოს ისინი. ეს მისი ვალიცაა. მიდიხარ და ეუბნები: „მომეცი სამუშაო", ანუ „მომეცით თანამდებობა. წაართვით მორწმუნე კომუნისტს, რომელმაც ამდენი რამ გადაიტანა, ლუკმა და მე მომეცით"! ახალი კლასი კი გასუხობს: „არ მინდიხარ. არა მწამს შენი. როცა ძალა გქონდა, მცემდი". თუ კვლავაც მოიპოვებ ამ ძალას, ისევ მცემ. გულში სიძულვილს ატარებ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შენს გულთან ერთად მოკვდება". იძახი: „შიმშილით მოვკვდებით". ახალი კლასი კი გასუხობს: „სწორედ ეს მინდა! მე არ მოგკლავ, არც ისე საშიში ხარ. თუ გინდა მოკვდი. და რაც შეიძლება უფრო მალე. გაწმინდე გზა. არ მოგცემ სამუშაოს. ასე ნელ-ნელა დაკარგავ ძალას. ოპოზიცია გაგანადგურებს ჯანმრთელობას, გონებას და ასე მოკვდები შენც და მთელი შენი კლასიც. ჩემი სურვილიც სწორედ ეს არის".

შეშინებული ისმენდა ლევანი. ალბათ, პირველად ხედავდა ასე ნათლად — როგორ მარტივად და როგორ სასტიკად ქრებოდა სიცოცხლე. წაიჩურჩულა:

— მაგრამ ეს არაადამიანურია!

— რა თქმა უნდა, არაადამიანურია. ასეთი სიმკაცრე ვერ თავსდება სამართლიანობისა და თავისუფლების ჩვეულებრივ გაგებაში. მაგრამ თუკი ჩვეულებრივ გაგება იბატონებდა, მაშინ მთელი დედამიწა ერთი უკიდეგანო სანატორიუმი იქნებოდა და სხვა არაფერი. ჭიანჭველებივით აივსებოდა სამყარო სუსტი და სიმპათიური ადამიანებით. ცხოვრება კი ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწევდა წინ, იმის შიშით — ვაი თუ განადგურდნენ ეს საყვარელი პარაზიტებიო.

— ასეთ უძრაობას ვამჯობინებ ძალადობას, — პასუხობს უბედური ლევანი.

— ჰო, ჰო. ამჯობინებ და ამიტომაც განადგურდი.

— „ცხოვრება, როგორც ხედავ, არ აინტერესებს ჩვენი აზრები".

გახსოვს პოლ-ლუი კურიეს სიტყვა: როცა ღმერთი სამყაროს ქმნიდა, მარჯვნით მყოფი კეთილგონიერი — ანგელოზები ღრიალით გაიძახოდნენ: „უფალო, ნუ შემუსრავ ქაოსს!" მაგრამ ღმერთი არასოდეს უგდებდა ყურს მარჯვნით მდგომ ანგელოზთა და ამიტომაც არის იგი შემოქმედი და ამიტომაც მიიწევს წინ.

— წავიდეთ სპარსელ ახმედთან, ერთი ჭიქა ჩაი დავლიოთ. მწუხრია — თქვა ლევანმა, რათა ბოლო მოეღო ამ მეტად მძიმე საუბრისათვის.

ვერ ბედავდა პირისპირ შეხედვა ბედისათვის და ახლა კი ხვდებოდა...

არ უპასუხა გერანოსმა. ისტორიულ კანონს გრძნობდა ამ წუთს, არა აბსტრაქტულად, არამედ სრულიად კონკრეტული გზით. რა უგულოდ ექცეოდა თვითონვე ამ ცხოვრებას სიმპათიურ ადამიანს. ანადგურებდა მას.

ესმოდა გერანოსს მის ძვალთა ღრჭიალი. რუსული და ქართული ისტორიის მთელი მსვლელობა სიკვდილს უსჯიდა მას. გროტესკული ერთ-ერთი პორტრეტივით წარმოუდგა გერანოსს მზის ჩასვლისას ლევანი. შეშმული, სისხლგამომშრალი, მომწვანო-მოყვითალო ფერის; მოჩვენება ამომავალი დიდი ქაოსიდან.

II

იყო, იყო, იყო არა იყო რა და მაინც იყო ოდესღაც ერთი მეფე...

პირდაღებული ისმენს აზადი. მწვანეთვალება, ლამაზი სპარსის, მეხმედის სახაიეში ყურს უგდებს ტკბილად მომღიმარ ბრმა მოხუც სულეიმანს. ავიწყდება აზადს ერთი წუთით საბჭოეთში ხეტიალისას ნანახი სიმწარენი. უფრო უკეთესი წარმოდგენა რეალობა: მკაცრი და გაღიზიანებული მოქალაქენი, ქალები — მყარი, მახინჯებული მზერით... მაგრამ თავდავიწყებას მიცემული მამაკაცები და კეკლუცი ქალები ისინი.

და ეს გონებაშეფიერი ბავშვი, ეს გუშინდელი ქუჩის ბიჭი! ჰოი, უბადრუკობავ! ჰოი, სირცხვილო! რამდენი რამ მიაბარა ცხვირ-პირში ძლიერთა ამა ქვეყნისა! ხელში ... აქოთებული. მშიერი, ავადმყოფობისაგან დამპალი ბავშვი. დასვა იგი დიდ წითელ მაგიდასთან, სადაც დიდი ჩინოსანნი იმყოფებოდნენ... ჰოი, როგორ უქადებოდა პირი.

— არა გრცხვენია? იმისათვის დავღვარეთ სისხლი რომ აქამდე, ამ ბავშვამდე მოგვეღწია? მე ვარ აზადი, ჩეკისტი და მიმაჩნია, რომ უფლება მაქვს ვილაპარაკო... ზარმაცებო, კარიერისტებო. ყაჩაღებო!

ჰოი, რა შეხლა-შემოხლა იყო! შეეცადნენ ჩაეხშოთ მისი ხმა.

— არა, არა, ვიყვირებ! ეს მუწუკი ჩემს ცხვირს ქვემოთ გაიწიტა!

აზადმა დიდი სტატიები დააგზავნა გაზეთებში, სასწრაფო დეპეშები — მოსკოვში:

„ვთხოვ შეიკრიბოს საბჭოების ყველა ქუჩის ბიჭი. დაუყოვნებლივ!"

საღამოს პირს კი, მას შემდეგ, რაც გადაათვალიერა საღამოს გაზეთები, რომლებშიც ამაოდ ელოდა თავის მანიფესტებს, გადაღლილი და აღელვებული აზადი მწვანეთვალება ახმედის ამ სახაიეში შემოვიდა. რამდენიმე ფინჯანი ჩაი დალია, მოწია ორი ნარგილე. სამოთ სიზანტე დაეუფლა მის გრძელ სხეულს. ამაყად შემოვიდა ძონძებით თავდაბურული სულეიმანი. მიწას სცემდა თავის გრძელ კვერთხს... აზადი ნანახავით უსმენდა მის ტკბილ და მონოტონურ ხმას. ყველაფერი არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა იმ არსს, სიტყვების მაცდუნებელ რიტმსა და სახის მღელვარე და სადაფისმაგვარ ნათელს რომ თანა სდევდა.

— იყო, იყო, იყო არა იყო-რა და მაინც იყო ოდესღაც ერთი მეფე, რომელსაც არ შეეძლო დაძინება...

გერანოსი გამოჩნდა სახაიეს ზღურბლზე. თავი ასწია აზადმა. თავისი გაშმაგებული ასლომხედველი თვალებით შესცქეროდა უცნაურ, ძალიან მაღალ, დახვეწილ ადამიანს, შავი, გამჭრიახი თვალებით, სწორი წარბებით, არწივისებური ცხვირით, მტაცებლისა და თან ამაყი გამომეტყველებით.

„ნეტავ რომელი დამშეული ფრინველია?" გაიფიქრა განცვიფრებულმა.

ლევანი გერანოსის უკან, მის ზურგს უკან მოაბიჯებდა ფერდაკარგული. გრძნობს გერანოსი მეგობრის ხელს, კანკალით რომ ექაჩება მკლავზე.

— ეს ადამიანი... საშინელი ჩეკისტია, რომელმაც დამაპატიმრა... ლევანი აცახცახებული ლუღლუღებს. სწრაფად, დაჭრილი ჩიტისათვის ჩვეული მხტუნავი ნაბიჯებით გასხლტა და დაიკარგა ბნელ ქუჩებში... გერანოსი ჩაის ფინჯანს მიუჯდება და დამაგნიტებული შესცქერის აზადს. მოსწონს მისი სუსტი, უცნაური სხეული, გამძვინვარებული პირისახე, გაშმაგებული თვალები და მთელი ეს დაძაბულობა, თუ სავსე ვნება ამ გულუბრყვილო მებრძოლისა, რომელსაც ყელსახვევივით ყელზე შემოვლებული წითელი ცხვირსახოცი ბებერ პიონერს ამგვანებდა.

„მომწონს მე ეს წითელი დონ კიხოტი", გაიფიქრა, „თითქოს თავის ძველ კოშკს უვლის გარს ნაცემი და კმაყოფილი".

გაჩუმდა სულეიმანი. აზადმა ხუთიანებით აუვსო ხელი და კვლავ გააგზავნა. რცხვენოდა იმის გამომჟღავნება, რომ ეს დიდი ჩეკისტი მელოდიური უაზრობებით ირთობდა თავს.

— ვინა ხარ? უხეში ხმით ეკითხება მეზობელს, მოუსვენარი თვალით.

— საბჭოეთის თაყვანისმცემელი, პასუხობს გერანოსი.

— მეც, ეუბნება აზადი. და ხელს უწვდის გერანოსს უშუალო მოძრაობით. რატომ გასხლტა შენი მეგობარი?

— ბევრი ტანჯვა მიაყენე, აგერ უკვე ათი წელია... ვერ იცანი?

აზადი მხრებს იჩეჩავს. რაღაც მშრალი, უცნაური სიცილი ბაგეებს უმანჭავს.

— რამდენმა ცხვარმა გაიარა ჩვენს ხელში... დატვირთული მანქანები, ზემოდან გადახურული... ჯარისკაცებიც თავთ ესხმნენ, რომლებსაც უნდა დაეხოცა ისინი, კიბორჩხალებივით რომ ირწეოდნენ... არა გვქონდა იმისი დრო; სახეში გვეცქირა...

აზადი ილუშება. კიდევ უფრო მიუახლოვდება გერანოსს.

— თანახმა ხარ? უნდა დაგვეხოცა? ეკითხება დაბალი ხმით.

— კი, უნდა დაგეხოცათ, მშრალად პასუხობს გერანოსი.

— თუკი შედეგი იმელუბზე ბევრად ნაკლებია? დავთესეთ სისხლი, მოვიმკეთ ტალახი. ნახე გზებზე ძაღლებივით მოწანწალე ქუჩის ბიჭები?

— კი, ვნახე მშიერი ქუჩის ბიჭები, გაუთლელი გლეხები, მთვრალი მუშები, ძალზე ახალგაზრდა მრუშები და კარიერისტი კომუნისტები. საბჭოეთის დიდი სხეულის ყველა ეს პარაზიტი ვნახე.

— და არ შეჰყვირე? არ შეგეკუმშა გული?

გერანოსმა გაიცინა:

— მშვიდია გული ჩემი, რამეთუ იცის, იცის, რომ რაღაც იდეა ჩამოდის დედამიწაზე, ან, თუ შენ ასე გირჩევნია, ადის მიწიდან, იბრძვის, ტალახის შხეფებს იკრავს და წინ მიიწევს.

— გულგრილი ადამიანი ხარ, იძახის აზადი სიცილით. მიუყვარხარ, მავსებ მე. ჩვენ ორნი ერთ სრულყოფილ ადამიანს ვქმნით ერთად. გიყვარს რუსეთი?

— მიყვარს ის ცეცხლი, რუსეთს რომ წვავს, პასუხობს გერანოსი სიცილით.

აზადი ვერა ხვდება.

— ერთი და იგივე რამ გვყვარებია, ამტკიცებს გახარებული. ძმები ვართ. მომეცი ხელი.

აი, ამ გაუგებრობაზე აიგო მათი ხანმოკლე მეგობრობა. სამჯერ თუ ოთხჯერ თავის სიცოცხლეში გერანოსმა თავს უფლება მისცა გატაცებულიყო ამ დონკიხოტური და მასზე აღმატებული ცეცხლით: მეგობრობით. გიჟური ოცნებანი, მკაცრი სიხარულები, ქალი — იაფფასიანი კმაყოფილება. სულ უფრო ვიწროვდებოდა ბედნიერი დედამიწა წინაშე ორი მამრი გულისა, ერთმანეთს რომ იყვარებდნენ.

აზადს ხელში ეჭირა ახალი მეგობრის ხელი; თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე:

— ერთად შემოვივლით მთელს საბჭოეთს: მუჟიკებს, მუშებს, კომკავშირლებს, ბებერ რეაქციონერებს, ყველაფერ ამას საკუთარი თვალით ვიხილავთ, საკუთარი ხელით შევეხებით... მერე ავიღებთ მომლოცველის ჯოხს, შემოვივლით მთელს სამყაროს და ვიქადაგებთ ჭეშმარიტებას!

გერანოსი, ისიც გრძნობამორეული, სალი გონებით ისმენდა ყოველივეს. კარგად იცოდა, რომ ბედისწერა მუდამ სადღაცაა ჩასაფრებული.

„მაგრამ, გადავხარშოთ ეს შემოტევაც (ფიქრობს) მივუშვათ თავი, რათა კიდევ ერთხელ გაიტაცოს ქიმერამ".

ბინდი ჩამოწვა. თბილისის განთქმული აბანოებიდან ბრუნდებოდნენ ქალები; ჭრელი თავსაფრებით შეებურათ კოხტად თავები, მიირწეოდნენ და რიტმულად არხევდნენ ვნებიან თეძოებს. გერანოსს მარტოს უნდა სიარული. შემობრუნდება, განცვიფრებული უცქერს აზადს. ვინ არის იგი? აზადი ულიმის:

— ვგრძნობ, რომ განათლებული ხარ და ხელებიც დელიკატური გაქვს. მე უწიგნური ვარ ჯირკივით. აი, შეხედე ჩემს ხელებს.

გერანოსი შეძრწუნებული უმზერს. არასოდეს უნახავს მსგავსი ხელები. ხაზებითა და ნაოჭებით დასერილი და, ამავე დროს, მეტად გამომსახველი და ნერვიული. გერანოსი იგრძნობს უცებ, რომ უყვარს ეს ადამიანი, მაგრამ იხშობს მღელვარებას და ეუბნება:

— შეხედე ამ მოხუცს!

სპარსი ახმედის სახაიეში შემოდის ღრმად მოხუცი, ეშმაკი რაფსოდი საქო; ხელით ბუთხუზა ბიჭუნას დაყრდნობია მხარზე. ბებერი საქო დასვამს ბიჭს, გამოართმევს თავის გრძელ მანდოლინას და ქალს რომ აშიშვლებენ, აი, ისე, ნელ-ნელა, ნეტარებით იღებს ბუდიდან. მოხუცი, უკბილო რაფსოდი რომელიღაც გრძელ სატრფიალო სიმღერას მღერის.

— მკერდი შენი განთიადსა ჰგავს. რამდენჯერაც გადაგიხსნი საკინძეს, დღე განათდება...

მალიმალ გაისმის სიტყვა „ბულბული", იადონი, და ავსებს სიმღერას... საღამოს ნიავი სილბოთი და ნოსტალგიით ივსება. ბებერი საქო, დაყენებული ღიმილით უახლოვდება აზადსა და გერანოსს და სახელდახელოდ თხზავს ტექსტს:

— ას ათი წლის ვარ. თორმეტჯერ დავქორწინდი. შევიცანი სამყარო. შევიცანი სამყარო, მაგრამ პირველად ვიმყოფები წინაშე ორი ამგვარი კეთილშობილი მეგობრისა.

ესალმება თაყვანისცემით. თითქმის მიწამდე იხრება:

— ხოშგელდი! ხოშგელდი! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

— წავიდეთ, ამბობს გერანოსი, მეჯავრება ეს ძველი აღმოსავლური მუსიკა, ვნებიანი და ხელოვნური. ცოტა დავისვენოთ. ვისაუბროთ.

ჯერ კიდევ თბილისის ქუჩებში მოსეირნეთ მოეწიათ განთიადი. ანადგურებდნენ და აშენებდნენ სამყაროს. აწყობდნენ გეგმებს, ადგენდნენ მანიფესტებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ბედნიერები იყვნენ.

— გერანოს, დამეხმარე, ნუ დამტოვებ მარტო. ამ საღამოს მუშებს უნდა ველაპარაკო. შენმა სიტყვებმა გული გამიმაგრა. აღარ მეშინია. მივიღე გადაწყვეტილება. ძალიან ხმამაღლა უნდა ვთქვა სიმართლე. ჩემმა გამოსვლამ დიდი ძვრები უნდა მოახდინოს საბჭოეთში. მომწიფებულია სულები.

— მომწიფებული?

— ჰო, ჰო. ნუ იღიმები! მომწიფებულია ახალი რევოლუციისათვის, მიმართული წითელი ტალახის წინააღმდეგ.

აზადი ლაპარაკობს. ირხევა მისი მაღალი, სწორი სხეული. პროლეტარიატი, კლასთა ბრძოლა, თავისუფლება, სამართლიანობა, ნამგალი და ურო, ყველაფერი ერთმანეთში აურია, ერთმანეთში გადახლართა.

მაგრამ ყველა ეს იდეა, უკვე ათასჯერ თქმული, თითქმის მატერიად ქცეული, საარტილერიო მინასავით ქუხს აზადის გაშმაგებულ სუნთქვაში. ერთი წუთით ყოვნდება ორატორი. ათასობით მკერდში გამოარჩევ მის სუნთქვას... აზადი გაშმაგებული და მკაცრი მზერით ათვალიერებს მსმენელებს. იღიმებიან პირველ რიგებში მსხდომი დიდი თავები, ნახევრადჩაძინებული დიდი გვამები, კარგად შემოსილნი. მათ შორის ჭრელსამოსიანი, პუდრწასმული, აბრეშუმის წინდებიანი რამდენიმე ქალბატონი. უკან კი, დიდი აუდიტორიის სიღრმეში, ახალგაზრდა მუშათა აღელვებულ, უხორცო სახეებს გამოარჩევს აზადი. პროლეტართა ამ აუდიტორიაშიც, ფიქრობს აზადი, განირჩევა კლასები: კარგად მცხოვრებნი და მშიერნი, ექსპლოატატორნი და ექსპლოატირებულნი. მუშტს შემოკრავს. ყვირის:

— ახალი რევოლუცია!

რაო? გიჟია? ზანტად ამოძრავდნენ დიდი თავები, წამოიმართნენ მუშები. აზადი ვეღარავის არჩევს. რაღაცნაირი ბინდი ეკრობა მის გონებას. ყვირის, ანგარიშს ვეღარ უწევს თავის სიტყვებს:

— ამბოხებისაკენ მოგიწოდებთ! ძველნო მებრძოლნო, ახალგაზრდა მუშებო, მამაკაცებო და პატიოსანო ქალებო! ვიღუპებით! მატერია ფუვდება, სულს გვიფატრავს პროგრესი, ინდუსტრიალიზაცია, პური, ნახშირი, ნავთობი... სხვას არაფერს მოიცავს. მიზანი კი უფრო დიდია, უფრო მაღალი — სული! რევოლუცია გადარჩება არა კოოპერატივებით, კოლექტივებით, მანქანა-დანადგარებით და ჯილდოებით, არამედ სულით. ეუბნებით გლეხს: „ბაზისი ყოველი საზოგადოებისა, მარეგულირებელი ყოველი ჩვენი აზრისა და გრძნობისა ეკონომიკური ფაქტორია".

მერე კი მსხვერპლის გაღებას ითხოვთ ამ გლეხისაგან მიამიტურად! გლეხი კი გპასუხობთ: არც ღმერთი, არც სატანა არ არსებობს, ეკონომიკური ფაქტორია მხოლოდ და მხოლოდ. ერთი სიტყვით, გამიშვით ვთესო პური ჩემი, გავმდიდრდე, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ დავამუშავებ ერთ პატარა მიწის ნაკვეთზე მეტს, ზუსტად იმდენს, რამდენიც მჭირდება იმისათვის, რომ არ მომიკვდეს ოჯახი შიმშილისაგან. მერედა სხვები? დაე მოკვდნენ. იდეები, გრძნობები? მოეშვი ერთი! არაფერი არსებობს ეკონომიკური ფაქტორის გარდა.

ლენინმა თქვა: „გლეხი იმ დღეს გახდება კომუნისტი, როცა ელექტროფიკაციით აღიჭურვება".

მე კი ვამბობ: გლეხი იმ დღეს გახდება კომუნისტი, როცა იდეოლოგიურად აღიჭურვება. მხოლოდ ერთადერთს, — რწმენას, ეკონომიკურ წინასწარმეტყველებებზე აღმატებულს, ძალუძს უბიძგოს გლეხს მსხვერპლის გაღებისაკენ, ანუ ძალუძს კომუნიზმს გაამარჯვებინოს!

ამხანაგებო, მაღლა სწევს მარჯვენა ხელს აზადი დასასრულს, სიმართლეს ვამბობ, არ მეშინია! მთელს საბჭოეთს შემოვივლი, ფეხზე დავაყენებ ყველა ცოცხალ ადამიანს, წავალ მოსკოვში, შევალ კრემლში და ვიტყვი სიმართლეს. რომელ სიმართლეს? აი, ამას, ამხანაგებო: თუ ბოლშევიზმი განაგრძობს იმას, რომ იყოს მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტური, ტალახში ჩაეფლობა.

ჩუმდება ანთებული აზადი. ვერავინ ბედავს ტაშის დაკვრას. ერთი ახალგაზრდა მუშა წამოიმართება განრისხებული:

— მამაო! ბებერი ღმერთი, გინდა შემოიყვანო სარკმელიდან, დიდი კულაკი?

შემობრუნდება აზადი მეტად დამწუხრებული:

— შვილო ჩემო, არც ღმერთის მწამს და არც სატანის. ადამიანისა მწამს. მე არაფერს ვალვივებ მისი ძალების გარდა, გარდა მისი ყველაზე ღრმა ძალებისა. — სულს მისას! შვილო ჩემო, ვერაფერი გაგიგია!

წამოდგა აშოტი, გერანოსის მეგობარი. სრულიად ფერდაკარგული. საშიშად აღელვებულია. მაინც სწონის სიტყვებს:

— ამხანაგი აზადი ოდესღაც დიდი რევოლუციონერი იყო. აღარაა. ჩამორჩა. ველარ ერკვევა სინამდვილეში. ამხანაგი აზადი ახლა რევოლუციონერი კი არა, მეამბოხეა. რომანტიკოსია. ჯერ კიდევ პატივისცემით ვისმენთ მის აზრებს, მაგრამ ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ამავე პატივისცემისა გამო, არ უნდა ვიკამათოთ ამ საკითხების ირგვლივ.

აზადმა იგრძნო, რომ სასიკვდილოდ დაიჭრა ამ იქედნური და ცივი სიტყვებით. გერანოსს უცქერს. მისი თვალები შველას ითხოვენ. გერანოსი კათედრას ჩაეჭიდება. მშვიდად გამოიყურება მისი ფრინველის მსგავსი სახე, მაგრამ პატარა თვალები სატანურად უელავენ:

— ამხანაგი აშოტი ცოტა ჩქარობს მკვდრების დამარხვას. ამხანაგი აშოტი სიმპათიური და პატიოსანია. ხედავს ძალიან ნათლად, მაგრამ შორს ვერა. ამხანაგი აშოტი თხრის იმ პატარა თხრილს, რომელიც მის წინაშეა და მას თხრის კარგად. სიმკაცრე იქნებოდა მისგან მეტის მოთხოვნა. აზადი კი დიდი გულია, რომელიც იტანჯება. აზადმა ათი წლის წინ გადაიტანა ეს უმაღლესი სანახაობა: ერთი მუჭა მშიერი ხალხი. ნახევრად შიშველნი, გაძევებულნი, ბლოკირებულნი, უფულონი, მანქანა-დანადგარებისა და ელექტროფიკაციის გარეშე. ერთი სიტყვით ამ მაჩანჩალებმა იბრძოლეს და დაამარცხეს საკუთარი მანქანებითა და ფულით აღჭურვილი სამყარო. რატომ? იმიტომ რომ აზადმა და მისმა ამხანაგებმა თავიანთ გულებში საშიში შთაგონება იგრძნეს — სული. ნუ იღიმები, ამხანაგო აშოტ! არა ვარ მღვდელი და არც ბრიყვი. „სულს" ვეძახი შთაგონებას სრულიად ადამიანურს, სრულიად ეფემერულს, რომელიც შენც გიბიძგებს, აშოტ, იმისაკენ რომ გაწირო შენი პიროვნება ყოველ დღე, ისე რომ არ დაინტერესდე პირადი ეკონომიკური სარგებლით. თქვენ, ბოლშევიკები, ყველაზე დიდი იდეალისტები ხართ დღეს დედამიწაზე, მიუხედავად იმისა, რომ სიამაყით აცხადებთ, მატერიალისტები ვართო. განა იდეალისტური პროდუქტი არაა ის, რომ სიხარულით ეწირებოდით მსხვერპლად საქმეს, რომელიც აღემატება ჩვენს მცირე პიროვნულ სარგებელს?

აზადმა, ისევ ვიმეორებ, იხილა ეს მეტად ბუნებრივი სანახაობა: მცირე შთაგონება, რომელიც მოემართებოდა ძალიან ღრმა ადამიანური არსისაკენ, სულისაკენ, რათა გაემარჯვა მატერიალურ სამყაროზე. ათი წლის შემდგომ კი აზადი დაიარება ქვეყანაზე, რომელიც სავსეა ამდაგვარივე საოცრებით. ღრმა და მიამიტი გული მისი სხვა ლოზუნგებს ისმენს, ხედავს, როგორ წინ მოიწევს მატერია, როგორ ღვთაებრივდება, როგორ ხდება ახალი თაობის იდეალი. აზადი უფრო მაღლა ავიდა, იტანჯება, ყვირის: დავიღუპეთ! დავიღუპეთ! და ამასთან, იგივე მიზეზისა გამო, რისთვისაც დაიღუპნენ ჩვენი მტრები ათი წლის წინ!

ამხანაგებო, ყური დავუგდოთ ამ ხმას! მოვეშვათ კამათს. დავდუმდეთ და ჩავუღრმავდეთ ჩვენს შინაგან არსს. არაფერი შეიცვალა ამ ათი წლის განმავლობაში ჩვენში? არ განელდა ცოტათი ცეცხლი? არ შენელდა ოდნავ სწრაფვა? აზადის დიდი გული რომ კვნესის, ეს მთელი საბჭოეთია, იგი იდეაა, მთელი კაცობრიობაა, რომელიც იტანჯება.

მღელვარებისა და აღშფოთების ჩურჩულმა გადაუარა მუშათა წყებას. წამოდგნენ ოფიციალური პირნი. შეშფოთებულ ესწავნათ ეს კამათი. გარს შემოეხვივნენ აზადს, უხსნიან, ამშვიდებენ. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა არსებობს რაღაც... მაგრამ მეტი ოსხდის... ყველაფერი კარგად იქნება. აშოტი ზიზღით სავსე მზერას სტყორცნის გერანოსს, ჩუმად გადის აუდიტორიიდან და სამსახურში მიდის, ჩეკაში. ამზადებს პატაკს: გერანოსი აიგივებს კრიზისსა და სიწმინდეს. შესაძლოა საშიში გახდეს. აზადი დაბრკოლებაა, ბევრს ლაპარაკობს, არ ესმის; საჭიროა წითელი წნაკით დავუშუშხოთ პირი ცოტათი.

გერანოსი თავს არიდებს აზადთან ერთად გარეთ გამოსვლას. გრძნობს კიდევაც, რომ დაშორდა ამ აღგზნებულ და ზედმიწევნილ ადამიანს, მარტო უნდა დარჩენა. ეს-ესაა ვაჟიშვილისაგან მიიღო წერილი, რომელმაც ააფორიაქა. ვაჟიშვილი სისხლისდამდენ შენიშვნებს აძლევს:

„რომელია შენი ჭეშმარიტი აზრი, მამა? ყველაფერს გაურბიხარ. გულმოდგინედ იცავ იდეებს, რომელნიც გეზიზღება. თამაშობ და ამავე დროს სისხლსა ღვრი. ველური ვეფხვი დაბუდებულა შენს გულში. განა მოხეტიალე მასხარაზე მეტი არა ხარ? არ მიყვარს ეს პროფესია. მამა!"...

გერანოსი დიდის ძალისხმევით იკავებს ცრემლებს. დაეშვება თავის სავარძელზე და თითის ნელი მოძრაობით ბერძნულ სიტყვებისა და ფრაზების წერას იწყებს:

„ერთი ინდოელი დიდხანს ებრძოდა დინებას, რომელიც მის ნავს ჩანჩქერისაკენ მიაქანებდა. როცა დიდი მებრძოლი მიხვდა, რომ ყოველი ცდა ამაო იყო, გადააჯვარედინა ნიჩბები და დაიწყო სიმღერა:

„აღარც ვიმედოვნებ, აღარც მეშინია, ვარ თავისუფალი!".

ახალბერძნულიდან თარგმნა თამარ მესხმა.

მხატვარი კარლო ფაჩულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენი მილოცვა

# მორის ფოცხიშვილი — 60

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო მორის!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენს შემოქმედებას, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულანთებული ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედებას, ქართველი ხალხის გულში უდევს ბინა. ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ, ორმოცი წელია ეხმიანებით საქართველოს ბედსა თუ უბედობას, მისი ტკივილები გტკივათ, მისი სიხარული გახარებთ.

უაღრესად გულწრფელი ინტონაცია, ლაპიდარული სტილი, კლასიკური ლექსისადმი ერთგულება და ნოვატორული ძიებანი, ხალხური პოეზიის გამახვილებული გრძნობა, ფრაზის სისადავე და გამჭვირვალობა, — აი, ძირითადი ნიშან-თვისებანი თქვენი პოეზიისა, რომელშიც სადად და ნათლადაა გაცხადებული პოეტის ჭეშმარიტი, მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება. თქვენი ლექსები წრფელი განცდისა და გააზრების შედეგია. ისინი სოციალურ შინაარსთან ერთად ღრმა ფილოსოფიური გააზრებითაც ხასიათდება. თქვენი პოეზიის ემოციური სიღრმე გადამდები და სულის შემძვრელია, იგი გვაფიქრებს ყოფნა-არყოფნის მარადიულ კითხვაზე, ყოველდღიურ ყოფაზე, ადამიანურ მოვალეობაზე საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

თქვენს ლექსებზე არაერთი მშვენიერი სიმღერა დაიბადა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია „ტიტებს", რომლებშიც ქართველი კაცის სულიერი ლაღადისი, მისი სიმტკიცე და უტეხი სული გამჟღავნდა. „ტიტები" საქართველოს მარადიული უკვდავების საგალობლად იქცა.

აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევით. არაერთი უცხოელი პოეტის შემოქმედება გახადეთ ქართველი მკითხველის საკუთრება.

სადაც კი გიმუშავიათ, ყველგან მშობელ ქვეყანასა და მშობლიურ მწერლობას უძღვნიდით მთლიანად თქვენს ტკივილიან და უღალატო გულს.

თქვენი შემოქმედება არაერთი ლიტერატურული პრემიით აღინიშნა, რომელთა შორის დიდი გალაკტიონის სახელობის პრემიაცაა.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დღეგრძელობას და მხნეგრძელობას გისურვებთ. კიდევ დიდხანს გეხარებინოთ თქვენი პოეტური ნიჭის თაყვანისმცემლები ნაღდ პოეზიასთან ზიარებით.

**საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო**

●

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია, თავისი მრავალრიცხოვანი მკითხველების სახელით ულოცავს პოეტს დაბადებიდან 60 წლისთავს. ეს წლები სიყვარულში, სამშობლოს თავისუფლების რწმენასა და ლოდინში, დიდი ქართული პოეზიის სამსახურში გალია პოეტმა.

ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მორის ფოცხიშვილს, ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს და ვაქვეყნებთ მის ახალ ლექსებს.

# მორის ფოცხიშვილი ახალი ლექსები

### ჩემი ქართველები

ერთად იწვიან და ერთურთს აბრწყინებენ,
ძმებს არ ამცირებენ, მტერს არ აცინებენ,
ავსულს თრგუნავენ და
კარგ ყრმას ამკვიდრებენ
და ღმერთს ადიდებენ —
ჩემი ქართველები!

ბალღთან ბალღობენ და ქალთან რაინდობენ,
ხვნაში კაცობენ და მკაში კაიფობენ,
ჯილდოდ ჯინჯილებს და
ჩინებს არ ითხოვენ —
ჩემი ქართველები!

თუ რამ ცოდვები აქვთ, ერთ კაცს არ ჰკიდებენ,
თავად კოტრდებიან და სხვებს ამდიდრებენ,
უხვად არიგებენ სარჩო-სალხინებელს
და ღმერთს ადიდებენ —
ჩემი ქართველები!

რასაც ღაღადებენ, სულ ნაღდს ღაღადებენ,
ხატებს ხატავენ და ლოცვებს აღავლენენ,
კოშკებს აგებენ და ტაძრებს ამაღლებენ
ქართულ ჩუქურთმებით —
ჩემი ქართველები!

თავს არ იზოგავენ, მიწყივ ძალს იკრებენ,
დილას ალამებენ, ღამეს აცისკრებენ
და ღმერთს ადიდებენ, და ღმერთს ადიდებენ,
და ღმერთს ადიდებენ —
ჩემი ქართველები!

თავზე არ ფიქრობენ, ვის არ მასპინძლობენ,
წელზე ფეხს იდგამენ, მაღრიბ-მაშრიყობენ,
ცეცხლთან არშიყობენ გენთა გახელებით
და ღმერთს ადიდებენ —
ჩემი ქართველები!

მოყვრებს მოყვრობენ და ყონაღთ ყონაღობენ,
გლახაკთ განიკითხვენ, მაშვრალთ ქომაგობენ,
მგზავრებს გზააბნეულთ თვალს არ არიდებენ,
ხელებს უწვდიან და უფსკრულს არიდებენ...
და ღმერთს ადიდებენ —
ჩემი ქართველები!

მრევლს არ ღალატობენ, დარდს არ თამაშობენ,
ლხინში ნავარდობენ, ჭირშიც თამადობენ,
გულხელს არ იკრეფენ, ღვინოს არ იკლებენ,
ქვეყნებს არ იკლებენ
ბოლმით ქართველები!

ბჭობენ, კამათობენ, სიტყვაშარბათობენ,
უცხოს, უშვილძიროს კერას არ ანდობენ,
დამუნჯდებიან და ენას არ დათმობენ,
დაყრუვდებიან და ალგეთს არ დათმობენ,
დაბრმავდებიან და ჯვარზენს არ დათმობენ,
მიწას არ დათმობენ, ზეცას არ დათმობენ,
თბილისს არ დათმობენ —
ჯილა ქართველები!

წყენას ივიწყებენ, რწმენას იმტკიცებენ,
დედას იფიცებენ, მამულს აღმერთებენ
და ღმერთს ადიდებენ, და ღმერთს ადიდებენ,
და ღმერთს ადიდებენ —
ჩემი ქართველები!

### სამი ქართველი

ჩანგი ქართულ გენზე აწყობილა,
ქართულ სიმღერებით ვირევი,
ბევრნი არასოდეს არ ვყოფილვართ,
ვართ და კვლავ ვიქნებით „მცირენი".

ერთმა არ გაგვწიროს ოღონდ ღმერთმა,
ვერც ვინ გამოგვაცლის საფუძველს,
სამი ქართველი თუ შეაერთა,
ერი მილიონებს გაუძლებს.

### ქაქუცას ხმალ-ხანჯლის საქართველოში მობრუნების ჟამს თქმული

*პაატა ნაცვლიშვილს*

რწმენით სავსეა ეს დღე, ეს წუთი,
იჭვი კი მაინც მლახვრავს, —
არის ქართველი, ვისაც ეკუთვნის
ეს ხმალ-ხანჯალი ახლა?!

მღრღნის და მაწვალებს
თქმულიც, ართქმულიც,
ითქვას, ბოლომდე ითქვას, —
ვაითუ იქცა გზნება ქართული
სამუზეუმო ნივთად.

ქაქუცავ, ქართვლის ქველო რაინდო,
დარდო, ქცეულო რკინად,
რომელ არქივში უნდა დაიდოს
ამ სასწაულმა ბინა?!

ვინ უნდა შესძრას სისხლი ყიჟინით,
ვინ ჩამორეკავს ზარებს, —
მრავლად არიან ისევ ისინი,
ისევ გვძიძგნიან მწარედ.

ისევ გვკორტნიან „ფარისეველნი",
„ძმები", რომლებიც გვმტრობენ,
დრომ გადაძოვა ჩვენი ტყე-ველი,
კლანჭებს აქლიბვენ ლომებს.

გაგვცრეს, გაგვლახეს, გადაგვაჯიშეს,
საჩსარს არც ვისგან ველით,
კიდევ კარგი რომ
მაგ ხმალ-ხანჯლისკენ
მაინც გაგვირბის ხელი.

კრძალვამ დაგვზაფრა, ურვამ დაგვხარჯა,
ვაი, არც მე ვარ ჯანზე, —
არის ქართველი,
ქართულ ხმალ-ხანჯალს
ვინც გააშიშვლებს ხვალ-ზეგ?!

თვალს და ხელს შუა ქრება ცხოვრება,
და თუმც გვიგრეხენ კისერს, —
თავისუფლების მოსაპოვებლად
ღირს თავგანწირვა ისევ!

რა არის ახლა, ჩვენ რომ არ შევძლოთ,
არა, ბუზღუნი არ ღირს,
ერთი „ჰკა მაგას!" — და საქართველო
კვლავ ზე აღმართავს მახვილს!

### სახლში, რომელშიც არავინ სახლობს

სახლში, რომელშიც არავინ სახლობს,
სახლში, რომელსაც არავინ უვლის, —
მე მინდა ისევ სიცოცხლე ვნახო,
მე მინდა ისევ მოვითქვა სული.

ობობას ზღურბლზე გაუბამს ქსელი.
გულზე მასკდება დუმილი ლახვრად,
სახლში, რომელშიც არავინ მელის,
სახლში, რომელშიც ვერავის ვნახავ.

„სადა ხარ, დედა?" — დამცდება უცებ,
უცეცხლო სანთლად დადნება ყელი,
სახლში, რომელშიც კალენდრის ფურცლებს
დროც არ ეხება მსახვრალი ხელით.

სახლში, რომელშიც არავინ სახლობს.

●

— არ გეგონოთ იუბილეზე დამითანხმეს. ესოდენ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ კიდევ უფრო მომწყურდა თქვენთან შეხვედრა, ჩვენს საერთო სატკივარსა თუ იმედებზე საუბარი, — თქვა მორის ფოცხიშვილმა მკითხველებთან შეხვედრისას ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მაგრამ პოეტი საიუბილეო განწყობილებას მაინც ვერ „გადაურჩა" — ბევრი სიყვარული და მადლიერება დაგროვებულა...

პოეტს საიუბილეო თარიღი მიულოცეს რობერტ ბარძიმაშვილმა და ანსამბლმა „ორერამ"; აჟღერდა მორის ფოცხიშვილის ტექსტზე შექმნილი სიმღერები, რომლებიც შეასრულეს ნიკო ჭადუგიშვილმა, მედეა ძიძიგურმა და ნანული აბესაძემ, თემურ წიკლაურმა, მანანა თოდაძემ და ანსამბლმა „ივერიამ". კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა ისაუბრა პოეტთან ხანგრძლივ შემოქმედებით მეგობრობაზე. თამარ გვერდწითელმა შეასრულა პოეტის ლექსზე შექმნილი სიმღერები, ჯემალ სეფიაშვილმა, გოგი დოლიძესთან ერთად, შეასრულა თავისი ახალი სიმღერები.

პოეტს მიესალმნენ კახა ცაბაძე და „ოთხი გია", კომპოზიტორი ჯუმბერ ჯანდიერი, ჩოხატაურის მუსიკალური სკოლის ტრიო, გერმანელი რეჟისორი ჰერმან ვედეკინდი.

ნოდარ გიგაურმა ბატონ მორისს გადასცა წმინდა გიორგის ხატი, ნანა დავითაშვილმა კი იუბილარს საკუთარი ლექსი უძღვნა.

იუბილარის ლექსი წაიკითხა ელდინო სალარაძემ. უჩვენეს ფრაგმენტი მუსიკალური კინოფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები". პოეტთან ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა გიზო ნიშნიანიძემ. შემდეგ მაყურებელთა თხოვნით ბატონმა მორისმა წაიკითხა ლექსები. მან ისაუბრა თავის შემოქმედებით გზაზე, იმ სირთულეებსა და წარმატებებზე, რაც საერთოდ თან სდევს შემოქმედს.

შეხვედრა გვიან ღამემდე გაგრძელდა.

# ჰეროსტრატეს ფენომენი

კონსტანტინე გამსახურდია

წუთისოფელში, სადაც არაფერია მარადიული, მაინც დამკვიდრდა რამდენიმე ცნება, რომლებიც განიხილება „მარადიულად". ასე, მაგალითად, არსებობს მარადიული ებრაელი — აჰასფერი, რომელსაც განგებამ განუჩინა ხეტიალი მთელს მსოფლიოში; ცნობილია ზღვის წყლებში მარად მცურავი „მფრინავი ჰოლანდიელის" რომანტიული ლეგენდაც. ისტორია გვიჩვენებს, რომ არსებობს მარადიული ჰეროსტრატეც, რომელიც ყოველ ეპოქაში თავისებურად იჩენს თავს.

„მარადიული" პერსონაჟების მოძიებამ შეიძლება გვიბიძგოს ანტიდიალექტიკისა და ანტიისტორიზმისაკენ, როდესაც ახალი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ის განმეორებაა ძველისა, ხოლო აზროვნება შეიძლება დავიდეს იაფფასიან ახოციაციებზე. ამიტომაც საჭიროა ისტორიული პარადიგმების მოხმობისას დაფიქსირდეს მხოლოდ არსებითი.

დავიწყოთ თვით სახელის ეტიმოლოგიით. მასში ორი სიტყვა ფიგურირებს: „ჰეროს", რაც ძველბერძნულად ნიშნავს გმირს და „სტრატეუო" — ბრძოლა, ომი. ულრმესი აზრი ამ სახელისა გაიშიფრება, როგორც „მებრძოლი გმირთან". მაგრამ მისი თავისებურება ისაა, რომ, იგი თავად არ არის გმირი და არც არავინ მიიჩნევს ასეთად — დაპირისპირება გმირთან სულაც არ ნიშნავს გმირობას.

როდესაც ჰეროსტრატემ დაწვა ეფესოს ტაძარი (რითაც მან ისტორიაში დაიმკვიდრა სახელი), სამყაროსთვის ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნა: ამ დღეს ზეციური მნათობები გამწკრივდნენ ერთ ხაზზე (ასტროლოგიური თვალსაზრისით, ვარსკვლავთა ამგვარ წყობას პლანეტების პარადი ეწოდება. ფიჩნეულია, რომ ამ დროს გამოვლინდება მძლავრი კოსმიური ენერგიები), ამ ურთულესი კონიუნქტურის ჟამს დაიბადა ალექსანდრე მაკედონელი, მესიის ძალის მქონე კაცი, რომელსაც უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ჰეროსტრატეს სახით აჯანყდა კაცობრიობის სულიერი განვითარებისა და პროგრესის მოწინააღმდეგე. მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის მოვლინების მისიაა ბერძნული სული გადანერგოს აზიაში და ამით საფუძველი ჩაუყაროს ძველბერძნულ და აღმოსავლურ კულტურათა ურთიერთგანაყოფიერების პროცესს, ხელი შეუწყოს ელინისტური კულტურის წარმოქმნას. ჰეროსტრატეში მოქმედი ძალა დაინტერესებულია დაარღვიოს კაცობრიობის სულიერი განვითარების უწყვეტობა. თუ ის ამას მოახერხებს, მთელს შესაქმეს არარად შეაქცევს. მაგრამ ტაძრის ფიზიკური შენობა როდია მთავარი, არამედ ეფესოს მისტერიების სული, რომელიც მაკედონურ ფალანგასთან ერთად იძვრის აზიაში, ყველგან თან მოაქვს სინათლე. ამის შედეგია ბერძნული პოლისი და ახალი კანონმდებლობა. ბერძნული გიმნასიონი და „პაიდეია" ელინისტური ხელოვნება. ეს ყოველივე სხვა არაფერია, თუ არა გზის განმზადება მომავალი ქრისტიანობისათვის. ქსერქსეს აღმოსავლეთი შეიმუსრა.

ჰეროსტრატეს ფენომენი უფრო ღრმად წარმოჩინდება, თუ მას გმირის, ალექსანდრე დიდის ფონზე განვიხილავთ. ამის გარეშე ის მოკლებულია თავისთავად ყოფიერებას. ჰეროსტრატეს ერთგვარ წინაპრად შეხაძლოა ვიგულვოთ ჰომეროსის ეპოსის პერსონაჟი კუზიანი თერსიტე, ვისი უმთავრესი მიზანი იყო აუგად მოეხსენებინა აქილევსი, ოდისევსი და ტროას ომის სხვა გმირნი.

•

ყოველი ადამიანი თავისებურად დიდებული და ამაღლებულია თავის ტანჯვაში. იგი განასპეტაკებს და განსწმენდს კაცობრიულ ბუნებას. მაგრამ ტანჯვა დიდი მასწავლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ყურს უგდებენ მას, უფრო სწორად, თუკი იციან როგორ მიუგდონ ყური. ეს არ ნიშნავს ტანჯვის თვითმიზნად, ბუნებრივ მდგომარეობად გადაქცევას. და ტკივილიც უმალ შემოგეცლება, როცა პასუხს გასცემ მის მიერ დასმულ კითხვებზე.

ჰეროსტრატე გარკვეულწილად ტანჯული ადამიანია. ოღონდ იგი მონაა ტანჯვისა და ეს უკანასკნელი არ არის მისი მასწავლებელი, ამიტომაც პიროვნებაში ჩაკლულია ყოველგვარი შემოქმედებითი ენერგია და მის ნაცვლად დამანგრეველი საწყისია გაბატონებული.

უნიჭობა დათრგუნული შემოქმედებითი საწყისის შედეგიც არის. ამაში ნაწილობრივ დამნაშავეა თვით პიროვნება და ეპოქა. რომელშიც ის აღიზარდა. მაგრამ მაინც აუხსნელია ნიჭის გენიალურობისა თუ საშუალოობის მიზეზი. შესაძლოა მხოლოდ აბსტრაქტულად იცოდე, რომ ეს არის ღმერთი, სამყაროს უმთავრესი დიდოსტატი, არქეტიპი და, ამავ დროს, შთამაგონებელი ყოველი შემოქმედისა. მაგრამ ერთია ცოდნა, სხვაა მისი ცოცხალი განცდა. ეს ბრწყინვალედ თქვა რუსთაველმა:

> არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს
> ფილოსოფოსთა ბრძნობისა,
> მით ვისწავლებით, მოგვეცეს
> შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

კაცობრიობის სულის ისტორია იცნობს ასეთ დრამას — იგულისხმება მოცარტისა და სალიერის ურთიერთობის საკმაოდ ბნელით მოცული ამბავი. სალიერის ტრაგედიიდან გამომდინარე უნიჭობა გააზრება, როგორც ბედისწერა, როგორც ნაკლებობა მადლისა, როგორც შედეგი ღვთიური საწყისისაგან კაცის ჩამოცილებისა. მან ხომ შესანიშნავად იცოდა, როგორი უშუალობით, სილაღით წერდა თავის მუსიკას მოცარტი. სალიერში კი იყო რაღაც ჰეროსტრატული. შესაძლოა ამის გამოც გავრცელდა ხმა, თითქოს მან მოწამლაო მოცარტი.

მაგრამ სალიერი მონანიე სულია მაინც. ის კარგად გრძნობს მოცარტის ნიჭთან მიუწვდომლობის ტრაგედიას. ჩვენი თანამედროვე ჰეროსტრატეები სრულიადაც არ მიიჩნევენ თავს ასეთად. პოლიტიკა ხდება მათი თავშესაფარი, თითქოს სახელმწიფო სამსახურში შესულ კაცს არ ესაჭიროებოდეს ზნეობა, მართვის, დიპლომატიის სპეციფიკური ნიჭი, სამართლებრივი აზროვნებს უნარი, რაც მთლიანობაში განიხილება, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ენით რომ ვთქვათ, როგორც „ნიშნი მეფობისა". როგორც ამავე წყაროდანაა ცნობილი, ამ თვისებებს მოკლებული იყო კახთა მეფე აღსართანი (შდრ. ტექსტი: „დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კვრიკესი აღსართან, რომელსა არა რა ჰქონდეს ნიჭნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო"). განა საკმარისი პირობაა პოლიტიკოსობისათვის იყო მხოლოდ ავანტიურისტი და ენერგიული? ვფიქრობ, არა. მეტიც: უნდა დადგეს დრო, როდესაც სახელმწიფო სამსახურის კაცნი უფრო მაღალი კრიტერიუმებით იქნებიან შეფასებულნი. უნდა დადგეს ჟამი, როდესაც ხელმოცარულ ფილოსოფოსს ვლადიმერ ლენინს და ხელმოცარულ მხატვარს ადოლფ ჰიტლერს არარავინ განიხილავს პოლიტიკოსებად, არამედ მხოლოდ ნგრევის, სულიერი გადაგვარების სხვებზე გამოჩენილ სტრატეგოსებად. ისტორიის სანაგვე მოელის ახევე ყველას. ვინც ეწევა პოლიტიკას ჰუმანიტარული მსოფლგანცდის გარეშე.

•

ამრიგად. არსებობს რაღაც დიადისა და ამაღლებულისადმი სრულიად სპეციფიკური, „ჰეროსტრატული" მტრობა. იგი თავისთავად ირაციონალურ განცდათა რიგს განეკუთვნება. მას ვერ ახსნი მძაფრ პოზიციურ-აზრობრივი წინააღმდეგობით, ვერც რაიმე ანგარებიდან ან პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, ვერც პოლიტიკური ინტრიგების და დაპირისპირების განსაკუთრებული სიყვარულით.

სამარყანდელმა თემურ-ლენგმა რვაგზის დალაშქრა საქართველო. ცეცხლითა და მახვილით მიწასთან გაასწორა ქალაქები და ციხეები. მოსწყვიტა საქართველოს მრავალი მკვიდრი. განადგურებას თან ხდევდა უმთავრესი სამეურნეო კულტურების — ვაზისა და კაკლის ხეების ჩეხვა-ამოძირკვა. გაჩანაგებული ადგილები შემდგომში სავსებით გაუდაბურდა. ვერანაირი ადამიანური ლოგიკით ვერ ახსნი თემურ-ლენგის ვამპირულ გაცოფებას. მასზე უწინ თურქ-სელჩუკები და მონღოლებიც აჩანაგებდნენ საქართველოში მეურნეობას და მის ადგილას ექსტენსიურ მეურნეობას ამკვიდრებდნენ — მეჯოგე ხალხის ინტერესებში შედიოდა საძოვართა გამრავლება. თემურის ლაშქრობებში არა ჩანს ექსპანსიონისტური პოლიტიკის თანმიმდევრულობა, რაიმე განსაკუთრებული სარგებლის მოხვეჭის ინტერესი. მართალია, ის ძარცვავდა ქვეყანას, დატყვევებულ ხელოსნებს შუა აზიაში მიერეკებოდნენ და იქ ამუშავებდნენ, მაგრამ ეს ყოველივე არასაკმარისი პირობაა სერიოზული დაპყრობითი პოლიტიკის წარმართვისათვის. არადა, სამარყანდელი მბრძანებელი ჩინგის ყაენის შთამომავლად ასაღებდა თავს და მეცნიერებაზეც კი გააჩნდა პრეტენზია. ასე არ იქცეოდნენ მისი წინამორბედი ილხანი მონღოლები. მათ აინტერესებდათ სამხედრო ბეგარა „ყაფჩური", აგრეთვე, რეგულარული ხარკი. გარკვეული ახსნა მოეძებნება როგორც შაჰ-აბასის, ისე სხვა სეფიანი შაჰების პოლიტიკასაც — მათი მიზანი იყო ქართლში სპარსული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების თანდათანობითი დანერგვა და ეთნიკურ-კულტურული ექსპანსიის გზით მისი დაპყრობა, გამუსლიმანება და სპარსეთის მხარედ ქცევა. სავსებით გასაგებია აღა-მაჰმად-ხანის პოლიტიკაც, რომელიც განპირობებული იყო ამიერკავკასიაში რუსეთის გაბატონების მოსალოდნელი საფრთხით. როდესაც მან დაინახა, რომ ამ პოლიტიკას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყვა, იგი დაიძრა თბილისისაკენ.

ასეა თუ ისე, თემურ-ლენგი სრულიად გამორჩეული სახეა საქართველოს უბოროტეს მტერთა გალერეაში. როგორც ვხედავთ, მას არავითარი მწყობრი პოლიტიკური ან სარწმუნოებრივი მოსაზრებანი არ ამოძრავებდა.

სინათლე საქართველოდან ქვეშეცნეულად აწუხებდა და აშუ-თებდა მეტნაკლებად ყველა მტარვალს. მიზეზი ამისა წმინდა გრაალის ჭერაც ცხოველმყოფელი იმპულსია. რომლის მოსპობაც ეწადა ანტიეონს — მიზანთროპ თემურ-ლენგის სახეში გაცხადებულს. მშვენივრად წერდა შოთა ჩანტლაძე:

> ასე მგონია, ან მზეს ვერ
> დალევ,
> თუმცა შენს ხახას ალაჰიც
> აქებდა...

•

ჩვენ ვცხოვრობთ კანონზომიერ მეტამორფოზათა საუფლოში და იგი ძნელად ეგუება ნგრევის, უეცარი გადატრიალების პათოლოგიურ ჟინს. ეს უკანასკნელი რევოლუციონერთათვისაა დამახასიათებელი, რომელნიც არასდროს აშენებენ, მუდამ კი ანგრევენ. იოანეს გამოცხადების მიხედვით. აპოკალიპტური მხეცი ამოდის ზღვიდან, რაც ღვთისმეტყველთა განმარტებით სხვა არაფერია, თუ არა ალეგორია, სახისმეტყველური გააზრება დიდძალი ხალხის მღელვარებისა. არეულობისა. ძალმომრეობა და თვითნებობა, როგორც შედეგი რევოლუციისა მიმართულია ზნეობის და კულტურის, აგრეთვე სამართლის, სამართლებრივი აზროვნების წინააღმდეგ. ამადაც სწამდათ პირველქრისტიანთ, რომ ვიდრე ამქვეყნად იარსებებდა რომაული სამართალი, მნეცს, ანტიქრისტეს, არ ეწერა განსხეულება. თავისთავად, კანონის არსებობა კაცობრიობის ცოდვით დაცემის, არასრულქმნილების შედეგია. რაიმე სამართლებრივი ნორმით ადამიანურ ბუნებაში ფესვმოკიდებული ცოდვა ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ პირველ მათგანს შეუძლია მეორის ოდენ გარეგნულად შეზღუდვა, იგი უზნეო, დანაშაულებრივი ქმედების კორექტივია. ამის საჭიროება განსაკუთრებით მწვავედ იგრძნეს თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობანი უმაღლესი დონის თათბირებზე თანხმდებიან, რათა ერთობლივი ძალისხმევით წინ აღუდგნენ როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა, ისე დაჯგუფებათა და კერძო პირთა თვითნებობას, ტერორიზმს. სწორედ ამგვარ ხელშეკრულებათა რიცხვს ვანეკუთვნებიან ჰელსინკისა და ვენის თათბირებზე მიღებული დოკუმენტები.

შინაგან თავისუფლებას სრულიად მოკლებული კაცი შეუძლებელია იცავდეს რაიმე კანონს, თუნდაც სამოქალაქოს (რომ აღარაფერი ვთქვათ ზნეობრივზე), რადგან, იგი ვერახგზით ვერ გააცნობიერებს თავად კანონის არსებობის საჭიროებას. კანონმდებლობა მისთვის მხოლოდ მოხერხებულად დაწყობილი წინადადებებია და არა გარკვეული მექანიზმი, რომელმაც ნამდვილად უნდა იმოქმედოს. შინაგანი თავისუფლების ქრისტიანული გაგება გულისხმობს თანდათანობით თავის დახსნას სუპოსტატისაგან, იმ პირველქმნილი ცოდვისაგან, რომელიც გვაბრკოლებს განსულიერების, განღმრთობის ურთულეს გზაზე. ამ გზაზე მდგარი ადამიანი უთუოდ შემოქმედი ხდება (ამ სიტყვის უფართოესი გაგებით), ვინაიდან შემოქმედების უნარია ის უმთავრესი მადლი, პირველ კაცზე რომ გადმოვიდა შესაქმის რიჟრაჟზე თავისი უზენაესი მამის, დამბადებლის მიერ.

გაიხსენეთ სპარტაკი და მისი თანამებრძოლი მონა-გლადიატორები. რამდენადაც ისინი შინაგანად მონები დარჩნენ, მათ არ ძალუძვათ რომის იმპერიის დამარცხება. სპარტაკის აჯანყება იმთავითვე განწირული იყო. რომი კი დასძლია ქრისტიანობამ წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ძალისხმევით, რომი დასძლია წმ. გიორგიმ. ქრისტიანობამ ეს შეძლო, ერთის მხრივ, სულიერი ღვაწლით, აპოლოგეტურ თხზულებებში ჭეშმარიტების წარმოჩენით, მეორეს მხრივ, ბოროტების მხილებით, მოწამეობით. აი, რისი შედეგია ქრისტიანთა შემწყნარებელი ედიქტი 818 წლისა. მათ ხელიდან გამოსტაცეს ბოროტებას რომაული სამართალი რომელმაც თავის დროზე მაცხოვარი ვერც განსაჯა, ვერც გაამართლა.

როდესაც გადახედავ ჩვენი საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიას, დაისმის კითხვა: როგორ მისცა ერმა საშუალება ილიას მკვლელებს არა მხოლოდ ორგანიზაციად დარჩენისა, არამედ აქტიური ქმედებისა და პროპაგანდისა, ხოლო ადამიანები, რომელთაც ზემოხსენებული მკვლელობის გადაწყვეტისას პილატესავით დაიბანეს ხელი, როგორღა აღმოჩნდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში?

ფილიპე მახარაძეს „საქართველოს უკვდავი ჰეროსტრატე" უწოდა ერთმა საზოგადო მოღვაწემ და უნდა ითქვას, რომ ნათქვამი ზუსტად მოხვდა მიზანში, გაიხსენეთ 1917 წლის ნოემბერში საოპერო თეატრში მოწვეული კრება, როდესაც საზოგადოებამ აღფრთოვანებით მიიღო თავისუფლების დეკლარაცია.

საყოველთაო ზეიმისა და სიხარულის ატმოსფეროში დისონანსი შემოიტანა ფ. მახარაძემ, რომელმაც ფაქტიურად შეურაცხყო თავისუფლების იდეა. მან განაცხადა: ეს დამოუკიდებლობა ეწინააღმდეგებაო მშრომელთა ინტერესებს. ამ ნათქვამმა ალბათ ისევე გააპო ჰაერი, როგორც რუქნადინის ელჩის მიერ წამოსროლილმა შეურაცხყოფამ და თავხედობამ თამარ მეფის მიმართ. საუბედუროდ, არავინ აღმოჩნდა იმ კრებაზე ისეთი, მხარგრძელის დარად რომ გაეწნა სილა და დაედუმებინა საქართველოსა და ილიას მაგინებელი პირი.

•

სულიერების ქართული ტიპი განსხვავდება როგორც ბიზანტიური, ისე რუსული სულიერებისაგან. გარდა ძირეული განსხვავებებისა, რომელთაც მოცემულ წერილში არ ვეხებით, იგი სრულიად თავისუფალია იმპერიული, ცეზარული, პოლიტიკურ-კლერიკალური ელემენტისაგან. მით უფრო მისთვის უცხოა ჰომეინური თეოკრატიზმი თუ „თეოდემოკრატიზმი". მასშია სინთეზი ელინისტური, აგრეთვე ქრისტიანული დიდი აღმოსავლეთისა და მისი ნაყოფია გელათის აკადემია, რომელიც დავით აღმაშენებლის მეისტორიეს თქმით, იქმნა „მეორედ იერუსალემად, სხუად ათინად". მისთვის მახლობელია ქრისტიანული ევროპის კულტურის საყოველთაო პრინციპები: „ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან" (იოანე ზოსიმე) და წმინდანთა ასეთ კონტექსტში მოხსენიება ქართულ ცნობიერებაში საქრისტიანოს ცასკრისა და მწუხრის ქვეყნების მთლიანობაზე მიანიშნებს. სულიერების ქართული ტიპის ს რ უ ლ ი ა ნ ტ ი პ ო დ ი ა ჰეროსტრატეს, პოლიტიკური და რელიგიური ფუნდამენტალიზმის, სოციალიზმის სული.

ამაშია ღრმა საიდუმლო ჩვენი დანიშნულებისა, ამაშია ჩვენი რასიული თავისებურება. აჰა, როგორც „მტილი დახშული და წყარო დაბეჭდული", იგი მოელის იმ დროს, როდესაც კვლავ აღმოაჩენს მას ერი, ღვთისა და სრულიად საქრისტიანოს სადიდებლად.

1 ივნისი, 1990 წელი.

# ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას

წელიწადი მიიწურა იმ ავადსახსენებელი ივნისის ეთნოკონფლიქტის მძიმე დღეებიდან, როცა უკუღმართად გაგებული ინტერნაციონალიზმით და წლების განმავლობაში დამკვიდრებული ყოვლად გაუმართლებელი დათმობებით გათამამებული ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მცდელობას ამბოხებით შეხვდა.

ქვემო ქართლის „ავტონომიზაციის“ საკითხი კარგა ხანი მწიფდებოდა, ხელმოწერები გროვდებოდა, მოსკოვში საჩივრების ნიაღვარი მიედინებოდა, რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა კი ამ მავნე, ანტიეროვნულ მოვლენას იმით პასუხობდა, რომ „ინტერნაციონალიზმის პრინციპების საიმედო დაცვით“ არაქართულ მოსახლეობას უკანონობას უკანონებდა და ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ლაღადისზე რატომღაც ყურს არ იბერტყავდა.

კომპარტიას, სხვა მრავალ ცოდვებთან ერთად, ქართული მიწების გაჩუქება-გასხვისების უმძიმესი ცოდვაც აწევს კისერზე. ქვემო ქართლის რეგიონში რომ არაქართული მოსახლეობა არნახულად გამრავლდა, ეს უფრო ადგილობრივი ხელმძღვანელების, ყოფილი რაიკომის მდივნების (ამ უთავო ერისთავების) „დამსახურებაა“. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს ყველა რაიკომის მდივანი (ვინც ქვემო ქართლში მოღვაწეობდა) მიწების გაყიდვის მონაწილეა. არა, რა თქმა უნდა, იმ დროსაც იყვნენ ხელმძღვანელები, ამ ანტიეროვნულ მოვლენას ბრძოლას რომ უცხადებდნენ. შორს რომ არ წავიდეთ, ერთი მაგალითის მოყვანაც იკმარებს. 1988 წელს პარტიის მარნეულის რაიკომის მდივნის ადგილს გამოეთხოვა კაცი, რომელმაც იმავე რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს აივაზ ჰასანოვს (სკკპ მაშინდელ გენერალურ მდივანთან ანდროპოვთან ხილული თუ უხილავი მეგობრული ძაფებით დაკავშირებულს) თვისტომებისათვის ქართული მიწების ხელგაშლით გადაცემასა და დაკანონებაში ხელი შეუშალა და ამით ინტერნაციონალიზმის პრინციპები „დაარღვია“.

დღეს საყოველთაო გამოფხიზლების სიო ჰქრის სრულიად საქართველოში. ეროვნული მოძრაობის ალმავლობამ ბევრი სატკივარი წარმოაჩინა და წარსული შეცდომებით გამოწვეულმა იარებმა ერთიანად შეგვახსენა თავი. მიტოვებულ ქართულ მიწას უბრუნდება მისი ერთადერთი და კანონიერი მფლობელი — ქართველი კაცი. ისტორიულ ქართულ მიწებს, ქართულ ეკლესია-მონასტრებს და სხვა მატერიალურ ძეგლებს ძლიერ დაეტყოთ დროის მსახვრალი ხელი. გაპარტახებულ მამულს სხვა კუთხეებზე არანაკლებ მძიმე დღე ქვემო ქართლშიაც ედგა.

დღეს ქვემო ქართლი მთელი საქართველოს მზრუნველობის და ფიქრის საგანს წარმოადგენს. ყველა ჭეშმარიტი ქართველის საზრუნავი ისაა, რით შეეწიოს ამ უძველეს ქართულ მიწას. ქართველმა ერმა პირველი საიმედო ნაბიჯები უკვე გადადგა, როცა სტიქიით დაზარალებული სვანები ჩაასახლა ქვემო ქართლის რაიონებში. დიდ იმედს აღძრავს სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას სახელობის მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის შექმნაც. გაჩნდა რეალური იმედი იმისა, რომ მონატრებულ ქართულ მიწას მისივე ღვიძლი შვილი დაუბრუნდება და სამუდამოდ უერთგულებს მას.

ქვემო ქართლის (კერძოდ, მარნეულის რაიონის) სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, თუკი ჩვენთვის კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება სასიკეთოდ არ შეიცვალა. 125 ათასიან მარნეულის რაიონში ქართველი მხოლოდ 7 ათასია. დღეს, როგორც არასდროს, ყველა ქართველის ერთიანი ძალისხმევაა საჭირო, რათა ეს საგანგაშო მდგომარეობა დროულად გამოსწორდეს.

შარშანდელ ივნისის მძიმე დღეებს, მის გამომწვევ მიზეზებს სწორი შეფასება მისცა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. ძირფესვიანად გადახალისდა რაიონის ხელმძღვანელი კადრები. გაჩნდა იმედი იმისა, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა და ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალ საიმედო გზას ვიპოვიდით. დასაწყისში თითქოს არა უშავდა. ერთხელ და სამუდამოდ შეწყდა ქართული მიწების უცხოტომელებზე გაყიდვა-გასხვისება. მოწესრიგდა საპასპორტო სამსახურის მუშაობა, რითაც ზღვარი დაედო მარნეულში უკანონოდ ჩაწერის მტკივნეულ საკითხს. მარნეულის რაიონში მრავალი ქართული ოჯახი დამკვიდრდა. სტიქიით დაზარალებული აჭარელი და სვანური მოსახლეობისათვის გამოიყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. მძიმე დემოგრაფიული ვითარების გამო რაიაღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აშენებული ბინების 20 პროცენტი ურიგოდ გადაეცეთ იმ ქართულ ოჯახებს, რომლებიც შეღავათებით ვერ სარგებლობენ. მილიონზე მეტი მანეთი გადაირიცხა სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებში. რესტავრაცია უკეთდება ჟამთა სიავისაგან გაპარტახებულ ისტორიულ ძეგლებს, მონასტრებს, ეკლესიებს. უახლოეს პერიოდში უნდა ამოქმედდეს ლომთაგორას მთაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. სოფელ წერაქვში დამთავრდა XII საუკუნის ქალაფის მონასტრის რესტავრაცია.

რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ თითქოს იპოვა არიადნას ძაფი, რომელიც ურთულესი მდგომარეობიდან უმტკივნეულოდ და უხმაუროდ გამოიყვანდა, მაგრამ...

როგორც იტყვიან, ეშმაკი ფხიზლობდა და მოხერხებულ დროს უცდიდა. და, აი, როგორც კი რაიაღმასკომის თავმჯდომარის პოსტი გათავისუფლდა, სამწუხაროდ, ამოქმედდა „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ ტრადიციული სინდრომი.

აღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე სოფელ წერეთლის მებოსტნეობის მეურნეობის დირექტორის ვალერი გაბელიას კანდიდატურა წამოაყენა ამავე სოფლის რუსთაველის საზოგადოებამ. მაგრამ წამოყენებულ კანდიდატურას არ გაუმართლა, რაიაღმასკომის თავმჯდომარედ რაიკომის პირველი მდივანი როდენ მემარნიშვილი აირჩიეს.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, აქედან დაიწყო განხეთქილება რაიონის ხელმძღვანელსა და წერეთლის მეურნეობის დირექტორს შორის, რაც შემდგომ რაიონის ქართული მოსახლეობისა და სოფელ წერეთლის ქართულივე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაპირისპირების საფუძვლად იქცა.

რაიაღმასკომის თავმჯდომარის პოსტზე არჩევნებში დამარცხებული ვალერი გაბელია არ შერიგებია ბედს და ყოველ ღონესა და საშუალებას მიმართავდა როდენ მემარნიშვილის წინააღმდეგ რაიონის ქართული მოსახლეობის ამხედრებისათვის. უნდა ითქვას, რომ მან ამ მხრივ ყველა მისაღები და მიუღებელი ხერხი გამოიყენა.

რაიონის ქართული მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირებაში არანაკლები „ღვაწლი“ მიუძღვის ორ ურთიერთსაპირისპირო ბანაკად დაყოფილ რაიონის რუსთაველის საზოგადოებას და სახალხო ფრონტს. ორივე საზოგადოების წევრებმა, უგულებელყვეს რა ეროვნული იდეალები, არსებითად ქართული მოსახლეობის დაპირისპირების მეტი ვერაფერი მოახერხეს.

რაიონის მესვეურებსა და მეურნეობის დირექტორს შორის დაძაბულობამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა რაიონის აგრომრეწველ სარევიზიო კომისიამ წერეთლის მებოსტნეობის მეურნეობაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცება გამოავლინა. (ამ ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება).

სარევიზიო კომისიის მუშაობის დაწყებას წინ უსწრებდა სოფელ წერეთლის მებოსტნეობის მეურნეობის ზოგიერთი მუშის შიმშილობა მარნეულის რაიკომის შენობის წინ რაიკომის პირველი მდივნის როდენ მემარნიშვილის გადადგომის მოთხოვნით.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, შიმშილობის მონაწილეების დაშოშმინება ვერ მოახერხეს ვერც ბატონმა ირაკლი წერეთელმა და ვერც ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებმა. საკმარისი იყო თვითონ ვალერი გაბელიას თხოვნა მოშიმშილე ქალებისადმი, რომ აქცია დაუყოვნებლივ შეწყდა (?!).

ამ ფაქტს სხვადასხვაგვარი შეფასებები მისცეს რესპუბლიკისა და რაიონის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, განსაკუთრებით პრესამ.

მოგვიტევონ მარნეულის რაიონული გაზეთის „ქვემო ქართლის“ რედაქციის მუშაკებმა, მაგრამ მათ მოსაზრებებს ვერ გავიზიარებთ, რადგან არ შეიძლება ცალი მხარე ცაში აიყვანო და მოპირდაპირე მხარისათვის კი სალანძღავი ეპითეტები არ დაიშურო.

ასევე ვერ დავეთანხმებით რესპუბლიკურ პრესაში გავრცელებულ აზრს, რომ ვალერი გაბელია დევნილია რაიკომის მიერ და უცოდველის სამოსელში გახვეულს აუცილებლად დაცვა სჭირდება. ძველი რომაელების ბრძნული გამონათქვამია „მოვუსმინოთ მეორე მხარესაცო“, რაც აუცილებელია ჭეშმარიტების დასადგენად. როდესაც მეგრულ ოჯახში გაზრდილ კაცს ანტიმეგრელობაში ადანაშაულებ და ამას პრესის საშუალებით რესპუბლიკას ამცნობ, ცოტა შორს მაინც უნდა გაიხედო, თუ რა უნებლიე შეცდომაში იძირები.

მარნეულის რაიონის ქართული მოსახლეობის უთანხმოებამ აპოთეოზს საქართველოს კპ ცკ-ის შენობის წინ გამართული აქციის დროს მიაღწია. სოფელ წერეთლის ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის (მიუხედავად იმისა, მათი მოთხოვნები კანონიერი იყო თუ უკანონო) მიმართ გამოჩენილი ვანდალური ქმედების ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა მკაცრად უნდა აგონ პასუხი როგორც ეროვნული მოძრაობის, ისე მთელი ქართველი ერის წინაშე.

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, უნდა გამოვლინდეს და დაისაჯოს ყველა, ვისაც რაიმე წვლილი მიუძღვის მარნეულის ქართული მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირებაში.

დღეს, ღირებულებათა გადაფასების, სტერეოტიპების მსხვრევის, კომპარტიის ღირსების დევალვაციის ეპოქაში დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს კომპარტიის რიგების დატოვება, მაგრამ როცა ერთი პარტიიდან გადიხარ და სხვა პარტიაში შედიხარ, თავს კი იმით იმართლებ, რომ კომპარტიამ შენი იმედები და იდეალები ვერ გაამართლა (თუმცა თავის დროზე ბაქოს უმაღლესი პარტიული აკადემია ფრიადზე გაქვს დამთავრებული), დიდი ვერაფერი საქციელია.

ეროვნულ მოძრაობას ბევრი უღირსი მიეტმასნა, ბევრმა დაიჭირა მღვრიე წყალში თევზი, ბევრნიც საკმაოდ რბილ-თბილ ადგილებზე მოკალათდნენ და თავი ეროვნული მოძრაობის ლაშქარში სარდლის თუ არა ასისთავის მოვალეობის შემსრულებლად მაინც მიაჩნიათ, რაც, სამწუხაროდ, მათი „ხელშეუხებლობის“ საიმედო გარანტად იქცა. რასაკვირველია, ამ მხრივ არც მარნეულის რაიონია დაზღვეული და რაიკომის მდივნის უნებლიე შეცდომა, ალბათ, ისიც არის, რომ ეროვნულ მოძრაობას შეფარებული ზოგიერთი საქმოსნის დროული გამოვლენა ვერ მოახერხა.

თუკი ასე არაა, აბა, რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მარნეულის რაიონში სახალხო ფრონტს კოოპერატორი გრიგოლ შუბითიძე უდგას სათავეში და რაიკომის ძლიერ კალთების ქვეშ ამოფარებული არ მორიდებია ცკ-ს წინ ვანდალურ აქციაში უშუალო მონაწილეობას.

ყოველ არასასიამოვნო ფაქტს სათანადო შეფასება ესაჭიროება. ვეთანხმებით გაზეთ „მამულში“ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ლიბანიზაციისაკენ მიმავალი გზა ყველამ უნდა გადავკეტოთ. უნდა გავერკვიოთ, ვისგან იღებს სათავეს განხეთქილება მარნეულის რაიონში, მკაცრად უნდა მოვკითხოთ მათ, ვისი პირადი ამბიციების გამოც მარნეულის ერთი მუჭა ქართველობა ერთმანეთს დაუპირისპირდა.

**გია თასოევი.**

# „გრანტა“ — 30




„მერაბ კოსტავას გარდაცვალება“ — ამ სათაურით აქვეყნებს თავის მასალას პატრიკ ზახმანი ჟურნალ „გრანტას“ წლევანდელ, ოცდამეათე ნომერში, რომელიც ზემოხსენებულმა ავტორმა გამოუგზავნა რედაქციას, რათა გადაგვეცა ბ-ნ ზვიად გამსახურდიასათვის. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ ნომრისთვის, თემატიკის გათვალისწინებით, „ახალი ევროპა“ უწოდებიათ. მისი რედაქტორია ბილ ბიუფორდი. გამოცემის ადგილი — ნიუ-იორკი.

„გრანტა“ წელიწადში ოთხჯერ გამოდის. იგი თითქმის მთელ მსოფლიოში ვრცელდება — ინგლისში, ამერიკაში, სკანდინავიის ქვეყნებში, ავსტრალიაში, კანადასა თუ ახალ ზელანდიაში. ჟურნალი სულ 30 ნომერს მიითვლის. ოცდამეათე ნომერში ევროპის 1989 წლის ვითარებაა ასახული, ამიტომაც ჰქვია სათაურად „ახალი ევროპა“. ჟურნალში დაბეჭდილია: ანდრეი სინიავსკის, იოსიფ ბროდსკის, ჯორჯ შტაინერის, იურეკ ბეკერის, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერის, ვერნერ კრეტშელის, აბრაჰამ ბრამბერგის, ისაია ბერლინის, ი. სკვორეცკის, პატრიკ ზახმანის, ინკა რუკეს, ნოელ ანანის, ჯონათან რაბანის, გუნტერ კიუნერტის, ტონი ბენის, ზესლავ მილოშის, ივან კლიმას, მირჩეა დინესკუს, შტეფენ სპენდერის, იური რიბჩინსკის, მიხაილ სტებლინ კამენსკის, ნილ ასჰერსონის, მიხაილ იგნატიევის, ვიქტორია ტოკარევას, ლ. პეტრუშევსკაიას, გრემ სუიფტის... მასალები.

„ახალი ევროპა“ მკითხველს თავის ავტორთა ცხოვრებისა და შემოქმედების მცირე მიმოხილვასაც სთავაზობს: პოეტი იოსიფ ბროდსკი — საბჭოთა კავშირიდან როგორც დისიდენტისა და „სოციალური პარაზიტის“ — გაძევების შემდეგ, 1972 წლიდან შეერთებულ შტატებშია. მისი წიგნები „მეტყველების ნაწილი“, „ერთზე ნაკლები“, აგრეთვე ესეების კრებული, 1986 წელს გამოვიდა. 1987 წელს მიენიჭა ნობელის პრემია; ჯონათან რაბანის „ახალი სამყარო“ „გრანტას“ ოცდამეცხრე ნომერში დაბეჭდილი მასალის მეორე ნაწილია. ამ წერილის დაბეჭდვამდე რაბანს დიდხანს ფარულად უთვალთვალებდნენ; ანდრეი სინიავსკი დაიბადა მოსკოვში 1925 წელს. ფსევდონიმით გამოქვეყნებული ესსეს — „რა არის სოციალისტური რეალიზმი“ — გამო შვიდი წლით ციხეში ჩასვეს. 1973 წლიდან პარიზში ცხოვრობს, სადაც ემიგრანტულ ლიტერატურულ ჟურნალ „სინტაქსისს“ გამოსცემს; ტონი ბენი, ჩესტერფილდელი, ლეიბორისტია პარლამენტში, ავტორია წიგნისა „არგუმენტები სოციალიზმისთვის“. ზესლავ მილოშს, „დატყვევებული გონების“ ავტორს, 1980 წელს ნობელის პრემია მიენიჭა; შარშან მას შესაძლებლობა მიეცა პოლონეთში დაბრუნებისა. ვერნერ კრეტშელი ბერლინში დაიბადა, გერმანიის პროტესტანტული ეკლესიის მოღვაწეა; ისაია ბერლინი ოქსფორდში მოღვაწეობს, ავტორია ვრცელი გამოკვლევისა მეცხრამეტე საუკუნის რუს მოაზროვნეებზე. ივან კლიმასი — 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთის შეჭრის შემდეგ, აკრძალული ჰქონდა რაიმეს გამოქვეყნება; მირჩეა დინესკუ 1989 წლის 22 აპრილიდან შინაპატიმრობაშია; იურეკ ბეკერი, ცნობილი გერმანელი მწერალი, დაიბადა 1937 წელს, ბავშვობა საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა; პოეტი ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი მიუნხენში ცხოვრობს, ავტორია წიგნისა „ევროპა, ევროპა“;

ოცდამეცხრე ნომერში გამოქვეყნდა პატრიკ ზახმანის ფოტომასალა ჰონგ კონგზე. „გრანტას“ ოცდამეათე ნომერში დაბეჭდილი მასალისთვის „სიკვდილი მერაბ კოსტავასი“ — მან რვაჯერ ითხოვა ვიზა საქართველოში წასასვლელად და, როგორც იქნა, მიიღო ნებართვა. პატრიკ ზახმანი საქართველოში 1989 წელს მომხდარ ამბებს აღწერს.

1985 წლიდან პატრიკ ზახმანი (დაიბადა 1955 წელს, პარიზში), ცნობილი ფოტოსააგენტო „მაგნუმის“ რეპორტიორია; ბრიჯიტ დიანთან ერთად ავტორია წიგნისა „იდენტურობის ანკეტა“ (გამომცემლობა „კონტრეჟურ“). 1982 წელს პატრიკ ზახმანის რეპორტაჟს ნეაპოლურ მაფიაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იგი წარმატებით თანამშრომლობს ჟურნალებში „აქტუელ“, „ეჟო“, „ლიბერასიონ“. ილუსტრირებულ ჟურნალ „აქტუალში“ დაბეჭდილ მის ფოტოს თან ახლავს ტექსტი: „თბილისი, 14 ოქტომბერი, 1989 წელი. მთავრობის სახლის წინ, იმ ადგილას, სადაც 9 აპრილს წითელარმიელებმა ბარბაროსულად დაარბიეს ხალხი ცივი იარაღით; დღეს აქ ათიათასობით ქართველი პატივს მიაგებს თავის ერთ-ერთ ეროვნულ ლიდერს მერაბ კოსტავას, რომელიც მისტერიით მოცულ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ორი დღით ადრე იგი მიტინგზე ზვიად გამსახურდიასთან ერთად, ეროვნული არმიის შექმნის აუცილებლობაზე მოუწოდებდა“. მერაბ კოსტავას დაკრძალვის ფოტო დაბეჭდილია „ახალ ევროპაში“. აქვეა: პანაშვიდი სიონის ტაძარში, დემონსტრაცია რუსთაველზე, 9 აპრილის ტრაგედია.

როგორც „გრანტა“ აღნიშნავს, 1989 წელი ყველაზე მნიშვნელოვანი წელია ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. 1989 წლის მერე ევროპა აღარ იქნება, უფრო სწორად — ვეღარ იქნება ის ევროპა, რაც წინათ იყო. „გრანტას“ ეს სპეციალური გამოშვება — „ახალი ევროპა“, თავისი ავტორების მასალებით წარმოაჩენს იმას, რაზე დაფიქრებაც საჭიროა დღეს.

**ხათუნა შატბერაშვილი**

# „საზოგადო ჭირზედა ვწერთ“

მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობისა თუ ქართული ხასიათის წინდაუხედაობისა და გულარხეინობის შედეგად ქართველმა გლეხმა სოფელს ზურგი შეაქცია.

დღეს კი ვარკვევთ, თუ რატომ მოხდა ეს, როგორ, რა გზით დავუბრუნოთ გლეხი მიწას. მაგრამ ამ პრობლემასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია (თუ არა უპირველესი) იმ კაცის გასაჭირი, რომელიც ჯერ კიდევ მხნეობს და ოფლს ღვრის.

ჩვენი გაზეთის პუბლიკაციამ „დედოზარი“ (19. 03. 30) არაერთგვაროვანი გამოხმაურება გამოიწვია ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულას მცხოვრებთა შორის. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ჩვენი მივლინება სოფელ ხიბულაში.

ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა რაულ ჯახიამ ჩვენთან საუბრისას განაცხადა: „ქართულ სოფელს დღეს უამრავი პრობლემა აქვს გადასაჭრელი; ჩემი ღრმა რწმენით, სამი ელემენტალური პირობის დაკმაყოფილება იხსნის სოფელს დაცარიელებისაგან: გზა, წყალი და ელექტროფიკაცია. ამ უმთავრესი და კიდევ სხვა მრავალი პრობლემის არსებობა ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ გვიჭირს არსებული სტერეოტიპების რღვევა. მიგვაჩნია, რომ ჩვენი კრიტიკა შეუძლებელია, შეცდომა ილუზია, თითქოს შეუცვლელნი ვართ, ჩვენზე უკეთ ვერავინ გააკეთებს ამა თუ იმ საქმეს. დემოკრატიას ხომ ყველანი ახლა ვსწავლობთ...“

ახალი ხიბულა ხობის რაიონში ეკონომიკურად ერთ-ერთი ძლიერი სოფელია (შარშანდელმა შემოსავალმა 2 მილიონ 981 ათას მანეთს მიაღწია). უნდა აღინიშნოს, რომ სოფელში არის კეთილმოწყობილი საავადმყოფო, კულტურის სახლი, ზუბის (ხიბულას ერთ-ერთი უბნის) საშუალო სკოლა. ბევრი დაწერილა ამ სოფლისა და მისი ხელმძღვანელობის მიღწევებზე. ალბათ, ამიტომ, ყოველგვარი კრიტიკა მათ მიუღებლად მიიჩნიეს. არადა, „დედოზარში“ წარმოჩენილი პრობლემები დღევანდელი ქართული სოფლის გასაჭირია ახალი ხიბულას რაკურსში დანახული.

თვით ახალი ხიბულას კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილების პროექტშიც ბევრი რამ თვითკრიტიკულადაა ასახული. მიუხედავად მიღწევებისა, კოლმეურნეობის გამგეობის, მეცხოველეობის ფერმის, ავტო-სატრაქტორო პარკის, საიჯარო საწარმოო ბრიგადების მუშაობა დამაკმაყოფილებლად არის შეფასებული. აქვეა ხაზგასმული სოფლის სასმელი წყლით მომარაგების, სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასრულებისა და კულტურის სახლისა და საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების დაჩქარების აუცილებლობა; აღნიშნულია ბევრი სხვა პრობლემა, რომლის შესახებ პუბლიკაციაშიც არის საუბარი. მაგრამ კვლავ თავი იჩინა ჩვეულმა ზნემ — „რაღა მე წამავლე, შე უღმერთო, ხელი...“

ახალი ხიბულას სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ზაურ ბასილაიას მიერ რედაქციაში გამოგზავნილ წერილს 114 კაცი აწერს ხელს: 1990 წლის 9 მარტს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნარკვევში „დედოზარი“, რომლის ავტორები არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები როზა ადამია და შორენა ლებანიძე, მოცემული საკითხები არ შეეფერება სინამდვილეს. იგი არის ცილისწამებასა და სიცრუეზე აგებული. სოფელი ახალი ხიბულა იყო და არის რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე სოფელი, არასდროს არ ყოფილა შემთხვევა ფეხდაუბანელ ბავშვებს აწვენდნენ ლოგინში, ასეთი ცინიზმი და უსაფუძვლო ბრალდებანი გვაშფოთებს სოფლის მოსახლეობას. მიგვაჩნია, რომ მთლიანად დასაგმობია გაზეთში გამოქვეყნებული ნარკვევი „დედოზარი“.

სოფლის მცხოვრებთა გაღიზიანება ამ უკანასკნელმა ფრაზამაც გამოიწვია, გულფიცხობამაც თავი იჩინა და ყველაფერი მონაჭორად ჩათვალეს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ „დედოზარში“ მოყვანილი ფაქტები ერთი წლის წინ არის აღნუსხული. სტატია ჯერ „სოფლის ცხოვრების“, შემდეგ კი იმდროინდელი „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში იყო მიტანილი... ამ ხნის მანძილზე კი სოფელში ბევრი რამ შეიცვალა. ავტორები, ალბათ, გაითვალისწინებენ ამ შენიშვნას...

ახალ ხიბულაში ძირითადი კულტურა ჩაი და სიმინდია. ის მონაცემი, თითქოს კოლმეურნეებს მოსავლის 1/6-ს აძლევდნენ, სიმართლეს არ შეესაბამება. წლის ბოლოს ისინი ჰირნახულის 1/3-ს იღებენ. 1 კილოგრამი ჩაის საფასური კი ოცდათხუთმეტი კაპიკია და არა ოცდაათი, როგორც ეს წერილში იყო აღნიშნული.

თავად კოლმეურნეობის თავმჯდომარეც ეთანხმება პუბლიკაციაში გამოთქმულ აზრს, რომ ჩაის კულტურა ძალიან მძიმე შრომას მოითხოვს, და, რაც მთავარია, იწვევს სხვადასხვა დაავადებას. ის სპეცტანსაცმელი კი, რომელიც მკრეფავებს ეგზავნებათ, უვარგისია და არავინ ხმარობს. უმჯობესი იქნება, თუ ჩაის კულტურა ნაწილობრივ სხვა მომგებიანი კულტურით შეიცვლება. ამასთანავე, ანაზღაურება არ შეესაბამება გლეხის მიერ დახარჯულ შრომას. რაც შეეხება ელექტროენერგიის მიწოდების საკითხს, ეს საერთო კრიზისთან არის დაკავშირებული. სასმელი წყლის პრობლემის გადაჭრას სოფელში მომავალი წლისთვის აპირებენ, რადგან შესაბამისი სამშენებლო ორგანიზაციები მასალის მწვავე დეფიციტს განიცდიან.

სოფლის ცენტრში მუხა მოჭრეს (მუხა რომ დაავადებული იყო, ამის დამადასტურებელი ცნობა სათანადო სამსახურის მიერაა გაცემული), ამ ადგილას კი სოფლის კანტორა ააშენეს. კანტორის ძველ შენობაში ბაგა-ბაღი და აფთიაქია შესახლებული. ბაგა-ბაღის შენობის ჭერი შესაკეთებელია, სტატიაში ნათქვამი იყო, რომ სოფლის აფთიაქის გამგეს ნელი გუგუნავას ზამთრობით შეშა სახლიდან დაჰქონდა. ჩვენთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ საერთოდ, ახალი ხიბულას აფთიაქის მომარაგება და კეთილმოწყობა რაიონის ჯანდაცვის განყოფილებას ეხება... რაც შეეხება შეშით მომარაგებას, ამ მხრივ სერიოზული შეფერხებები არსებობს.

ჩვენი იქ ყოფნისას, სოფლის აბანო მუშაობდა (როგორც შალვა კემულარიამ გვითხრა, მისი რემონტი სულ ახალი დასრულებული იყო და ეს, სხვათაშორის, შენობასაც ეტყობოდა).

საერთოდ, ახალ ხიბულაში ცოტა რამ როდი კეთდება სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად. მოსახლეობას აძლევენ სესხს, ეხმარებიან მრავალშვილიან დედებსა და ინვალიდებს. მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში 10 ათასი მანეთი გადარიცხა კოლმეურნეობამ. სოფელში აღარ იხდიან ელექტროენერგიისა და წისქვილის საფასურს (ასე იყო რამდენიმე წლის წინათაც, მაგრამ შემდეგ ეს წამოწყება ბრძანებით გააუქმეს). სოფლის ფოსტალიონს კოლმეურნეობა დანამატს აძლევს საკუთარი ბიუჯეტიდან, მაგრამ მათ მუშაობაში შეფერხება მაინც სისტემატურია.

რა თქმა უნდა, მომავალში სოფელს არაერთი საჭირბოროტო საკითხი აქვს გადასაწყვეტი. იმედი გვაქვს, რომ ზემდგომი ორგანოების თანადგომით შესაძლებელი გახდება ხიბულაში ყველა საუბნო გზის მოასფალტება, ელექტროენერგიითა და სასმელი წყლით შეუფერხებელი მომარაგება, იქვე, აფთიაქში საჭირო მედიკამენტის შეძენა.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად კი, სხვა პირობებთან ერთად, მაღალი პროფესიონალიზმია საჭირო. ხობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია: „საერთოდ, პუბლიკაციაში „დედოზარი“ ახალი ხიბულას ტერიტორიაზე განლაგებული განათლების ობიექტების მიმართ გამოთქმული შენიშვნები სწორია“. ხიბულას საშუალო სკოლას არა აქვს ნორმალური სპორტული დარბაზი, სპორტული ინვენტარი, ცენტრალური გათბობა. სკოლის დირექტორი კი გვწერს: „ნარკვევში აღნიშნულია, რომ ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში მცირეა ოთხოსან და ხუთოსან მოსწავლეთა რიცხვი. ეს ასეც არის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი განპირობებულია იმ საერთო პირობებით, როგორშიაც ამჟამად სკოლები იმყოფებიან“. სკოლას დღეს უჭირს. უჭირს მაღალკვალიფიცირებული კადრები, სათანადო ლიტერატურა, თვით სწავლების სპეციფიკაც შესაცვლელია. ამიტომ ვფიქრობთ, აუცილებელია, რომ საქართველოს ყველა სოფელში გაიგზავნოს ახლადგამოცემული ლიტერატურა. გულდაწყვეტილმა შემოგვჩივლა ზუბის საშუალო სკოლის ლიტერატურის პედაგოგმა: ბავშვებისათვის დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ მინდოდა გამეცნო, მაგრამ წიგნი ვერსად ვიშოვეო. სოფელში რამდენიმე ბიბლიოთეკაა, მაგრამ ფართო არჩევანი არცერთ მათგანში არ არის; რაც შეეხება ხუტა ბერულავას სახლ-ბიბლიოთეკას, როგორც კოლმეურნეობის გამგეობის წევრებმა განაცხადეს, ის ოფიციალური დოკუმენტებით ბრიგადული სახლია, რომლის წიგნად ფონდზეც, დაპირებისამებრ, ხუტა ბერულავას უნდა ეზრუნა (რაც შეეხება წიგნად ფონდს, ახალი ხიბულა არამარტო ხუტა ბერულავასგან, არამედ ყველა მსურველისაგან მიიღებს). მართალია, ეს მშვენიერი ოდასახლი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, მაგრამ წიგნებისათვის სხვა ბიბლიოთეკაში გამოძებნიან ადგილს. ამ ლამაზ შენობას კი, რომელიც უკვე მერამდენე წელია ასე უფუნქციოდ დგას, სასწრაფოდ უნდა მიხედვა. მითუმეტეს დღეს, როცა ქართველი ხალხი კაპიკ-კაპიკ აგროვებს თანხას სტიქიით დაზარალებულთათვის.

ვიცით, რომ სოფელმა შეიკედლა რამდენიმე ოჯახი აჭარიდან, მაგრამ მაინც ვიზიარებთ „დედოზარის“ ავტორთა აზრს, რომ დღეს უფრო უპრიანი იქნებოდა ერთი უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახისათვის დროებით მაინც დაეთმოთ ეს შენობა. ბრიგადული სახლი კი მოიცდის.

გულდაწყვეტილნი იყვნენ ბავშვები ახალი ხიბულას სკოლაში — ამ წერილს განხეთქილება არ უნდა გამოეწვია, პრობლემებს მხოლოდ ერთად თუ გადავწყვეტთო. არ დაგვავიწყდება მათი შეწუხებული სახეები, ანთებული თვალებიც — საქართველოს მომავალზე რომ საუბრობდნენ. ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რომ თითქოს ახალგაზრდების აზრი ანგარიშგასაწევი არ არის. ერთ-ერთმა მათგანმა კი გვითხრა: „ყველა ის პრობლემა, რომელიც „დედოზარშია“ წარმოჩენილი, საერთო ჯამში იმპერიული სისტემისა და ერთპარტიული დიქტატის შედეგია“.

ახალ ხიბულელთა სატკივარი დღეს ბევრ ქართულ სოფელს აღელვებს და აფორიაქებს. ეს პუბლიკაცია არც „შავი სათვალით დანახული ადგილის დედაა“ და არც სიყალბის ლალადი. მიუხედავად შეცდომებისა, პრობლემა სწორადაა დანახული. ვერც სოფლის კოლმეურნეობის № 3 საწარმოო ბრიგადის წევრებს დავეთანხმებით, რომ ეს წერილი პირადი ინტერესების საფუძველზე დაბეჭდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ. „ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“, ქართული სოფლის სატკივარი გვაწუხებს, ცალკეულ პიროვნებებთან საქმე არა გვაქვს...

**ნინო კვიტაშვილი,**
**ნათია ჯაყელი.**

# „სიმართლე აფხაზეთზე“




გამომცემლობა „მერანმა“ დაბეჭდა რომან მიმინოშვილისა და გურამ ფანჯიკიძის წიგნი „სიმართლე აფხაზეთზე“. თავის დროზე იგი დაიბეჭდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

ამ წიგნის გამოცემა უთუოდ სასარგებლო და საჭიროა, რათა ყველაფერს ბოლოს და ბოლოს, თავისი სახელი დაერქვას, ითქვას სიმართლე, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს იგი; და ყველამ იგრძნოს პასუხისმგებლობა უკეთურად გადადგმული ნაბიჯისათვის, ისტორიულ მეზობლებსა და ძმებს შორის ჩამოგდებული შუღლისათვის.

ავტორები ობიექტურად, სიმართლით მიჰყვებიან მოვლენათა განვითარებას, კეთილგონიერებისკენ მოუხმობენ აფხაზ ექსტრემისტებს და სამართლიანად შეახსენებენ, რომ არ შეიძლება ყველა გადავლილი ხიდის დაწვა.

„ძვირფასო აფხაზო დებო და ძმებო! დროა მოვეგოთ გონს, — ნათქვამია წიგნის დასასრულს, — ნუ გავიხდით თავს სასაცილოდ, ნუ ჩავიდენთ ისეთ რამეს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ერთმანეთისათვის თვალებში რომ აღარ შეეხედებოდეთ. ვიკმაროთ ის, რითაც უკვე ასე შევლახეთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა“.

გონიერნი ამ წიგნის სიმართლეს ჩაუფიქრდებიან და, ალბათ, იზრუნებენ საუკუნეების მანძილზე მეგობრობაში გამოცდილ ქართველ ხალხთან ურთიერთობის გაჯანსაღებისთვის, უგუნურობა კი არც თუ ისე თავმოსაწონი თვისებაა...

წიგნის რედაქტორია მ. ჯაფარიძე, მხატვარი — ვ. ხიდეშელი, მხატვრული რედაქტორი — სპ. ცინცაძე.

# „ლიტვური პოეზიის საღამო“

ამას წინათ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტურ თეატრში მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანისა“ და თეატრალური ინსტიტუტის ინიციატივით ჩატარდა ლიტვური პოეზიის საღამო. ამ საღამოსთვის მეგობრობისა და სიყვარულის საღამოც შეიძლებოდა გვეწოდებინათ, რადგანაც აქ კარგად გამოჩნდა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ზნეობრივი მრწამსი, განცდები, მიზნები.

საღამოს უძღვებოდა პოეტი მერი შალვაშვილი, რომელმაც მოკლედ ისაუბრა პოეტების სალომეა ნერესის, ედუარდას მეჟელაიტისის, იუსტინას მარცინკიავიჩუსის, იურგის ბალტრუშაიტის შემოქმედებაზე.

შემდეგ სცენა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს დაეთმო, მათ წაიკითხეს ლიტველი თანამედროვე პოეტების კორნელიუს პლატიალისის, აიდას მარჩენას, ალმის გრიბაუსკასის, გინტარას პატაცკასის, ნიიოლე მილაუსკარტეს, დონალდას კაიოკას, კასტუტის ნავაკასის ლექსები.

საღამოზე სიტყვითა და თარგმანებით გამოვიდნენ პოეტები: მზია ხეთაგური, მაყვალა გონაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ბესიკ შაქიაშვილი, ვახტანგ ღლონტი, გია გრიგოლაშვილი, ბადრი გუგუშვილი, კრიტიკოსი თემურ შავლაძე, ებრაელი პოეტი ქალი ციფი მიხაელი, მოსკოველი — ლარისა ფომენკო, საქართველოს დიდი მეგობარი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი, რეჟისორი — ზაარ-ბრიუკენიდან ჰერმან ვედეკინდი.

ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა. ვოკალურმა ანსამბლმა „არმაზმა“ და კომპოზიტორმა ელენე მეტრეველმა ლიტვურად შეასრულეს კ. ნავაკასისა და ანტანას იონინასის ლექსებზე შექმნილი სიმღერები „სიზმარი“, „სამშობლო“, აიდას მარჩენას— „მოდი მე გელი“.

საღამოში მონაწილეობდა მომღერალი ირმა სოხაძე და საქართველოს სანტელერადიოს ვოკალური ანსამბლი „იავნანა“ (ხელმძღვანელი ო. კელაპტრიშვილი).

მე როგორც ამ საღამოზე მოწვეულმა სტუმარმა, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო საყვარელ ქართველ ერს, ლიტველი ხალხის პატივისცემის, ყურადღებისა და თანადგომისათვის.

**ანდრიუს მაჭრიმასი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი**



მკითხველმა მიიღო საქართველოს იურისტთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის „ცხოვრება და კანონის“ მეორე ნომერი.

თავად საქართველოს იურისტთა კავშირის შექმნა და შემდეგ კავშირის ორგანოს „ცხოვრებისა და კანონის“ გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ორივე უნდა მოემსახუროს ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული „კანონის დამცველის“ სტერეოტიპის მსხვრევას; სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას: „საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე იურიდიული მეცნიერება, იურიდიული კადრები წინ უნდა მიუძღოდეს ქვეყანას, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის რეალობას და მის გარშემო შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას“, — ვკითხულობთ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თ. გორდელაძის წერილში.

გაზეთის სარედაქციო საბჭომ თავისი მისია ილიას სიტყვებით გამოხატა: „ღონე ერთობაშია, ერთად თავმოყრაში, ერთად საერთო უღლის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში“.

ვულოცავთ ქართველ მკითხველს ახალი გაზეთის დაბადებას და ვუერთდებით ჯანსუღ ჩარკვიანის მისალოც წერილში გამოთქმულ სურვილებს: „პირველი. წერილის სათაურია — „ჩვენი გაზეთი“. მოხარული ვიქნები, თუ თქვენი გაზეთი ჩვენი გაზეთიც იქნება, — მწერლების გაზეთი. ჩვენი ერთად ყოფნა მოუხდება ილია ჭავჭავაძის სხივით ხელდასმულ გაზეთს“.



## ფოტო-ჟურნალისტის არქივიდან

ავლია ზურაბაშვილი და არნოლდ ჩიქობავა

მურმან ჩაჩუას ფოტოები.



# გულში დამარხული ტკივილი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ ავსტრიაში მომისწრო. დაიწყო გერმანიაში მოხვედრილ საბჭოთა ტყვეთა რეპატრიაცია სამშობლოში. დასაბრუნებელ შეხაკრებ პუნქტებში სიხარულით მიემართებოდა ყოფილ ტყვეთა უწყვეტი ნაკადი. აღფრთოვანება და სიხარული მხოლოდ საბჭოთა ტყვეებს არ ეტყობოდათ, რადგან ეჭვის თვალით უყურებდნენ საბჭოთა მიხიის დაპირებებს, ყველას ციმბირის საშიშროება უბორკავდა კეთილ განზრახვას, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების მსურველი მაინც უამრავი აღმოჩნდა. ტყვეთა რეპატრიაცია მთლიანად დამთავრდა 1945 წელს. ყოფილ საბჭოთა ტყვეებს, ვინც უარი განაცხადა სამშობლოში დაბრუნებაზე, ახალ 1946 წელთან შეხვედრამ უცხო მიწა-წყალზე მოუწია.

დაცარიელებულ ბანაკებში ლტოლვილები ეროვნების მიხედვით მოთავსდნენ. მათ ელემენტარულ საარსებო პირობებს ამერიკის სარდლობა უზრუნველყოფდა. ყოფილი ტყვეები უარს აცხადებდნენ, როგორც სამშობლოში დაბრუნებაზე ისე საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე. მაგრამ მშვიდად მაინც ვერ გრძნობდნენ თავს. შემოგზავნილი ჯაშუშები ირკვევდნენ სინამდვილეს და უტყუარი სიების შედგენის შემდეგ ულტიმატუმს უყენებდნენ ამერიკელ სარდლობას, რომ ტყვეები იძულებითი წესით გადაეცათ. ამერიკელები ვერ მფარველობდნენ ლტოლვილებს, მხოლოდ ჩასაცმელს, ორი თვის საჭირო სურსათსა და ამერიკულ თამბაქოს ურიგებდნენ და ისე აბარებდნენ მოკავშირე საბჭოთა სარდლობას. გაფაციცებით უთვალთვალებდნენ. დამშეული წითელარმიელები მათ განკარგულებაში მოხვედრილ ყოფილ ტყვეებს ცალკე ათავსებდნენ. პირველ რიგში ნივთებს ართმევდნენ, მერე ამერიკული მსუყე პროდუქტით ნაყრდებოდნენ, ზედ „ქემელის“ ტიპის სიგარეტს აყოლებდნენ.

ამის შემდეგ კი ყოფილ ტყვეებს დაკითხვებით თავს უბრუებდნენ, ათასნაირ ბრალდებას უყენებდნენ.

გერმანიის ტერიტორია მსოფლიოს ყველა ეროვნების ტყვეებით იყო სავსე. ომის დამთავრების შემდეგ ცოცხლად გადარჩენილი ყველა მეომარი თავისი ქვეყნის გმირად აღიარეს. ეს არ გავრცელდა საბჭოთა ტყვეებზე. სიცოცხლის შენარჩუნება ღალატის ტოლფასად იქნა მიჩნეული, მათ სამშობლოში მხოლოდ ციმბირის ბანაკები ელოდათ და, ამიტომაც, ვინც მოახერხა, თავს უშველა და შეძლებისდაგვარად იხევ მოკავშირეთა სამოქმედო ზონას დაუბრუნდა.

მე და რამდენიმე ათეულმა ჩემს ბედში ჩავარდნილმა ახალგაზრდამ ომის შემდეგ ნანგრევებს შევაფარეთ თავი.

ძველი და ახალი ემიგრაციის სახელწოდებით ვცხოვრობდით ქალაქ ზალცბურგში. ჩვენთვის არც ბინა იყო, არც დახაგებ-დასახური, პიროვნების დამადასტურებელი საბუთიც კი არ გაგვაჩნდა, მაგრამ ლტოლვილთა თავშესაფარში დარჩენას ასეთ პირობებში ყოფნა გვერჩია.

შეძლებისდაგვარად ვცხოვრობდით, ერთმანეთს ვეხმარებოდით, ვფრთხილობდით, ვერიდებოდით საბჭოთა დაზვერვის მიერ შემოგზავნილი ჯაშუშების თვალთვალს, ამიტომ ყველა ლტოლვილს ვერ ვენდობოდით.

ემიგრანტთა ერთი ჯგუფი განცალკევებით ცხოვრობდა დანგრეული სახლის ერთ ოთახში. ისინი ერთად ჭამდნენ, ერთად სვამდნენ, ერთად მუშაობდნენ, არაფრით გამოირჩეოდნენ დანარჩენი ქართველებისგან, თუ სხვა ხალხისაგან. პირიქით, თვალში საცემი იყო მათი უბრალოება. მაგრამ ძველი ემიგრანტების ერთი ნაწილი მათ ამრეზით უყურებდა. აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ძველი ემიგრანტი ოდიშარია, რომელიც, თურმე, საფრანგეთის დაზვერვაში ყოფილა ნამუშევარი და ბევრი ადგილობრივი კომუნისტი ჩაუბარებია დამსჯელი ორგანოებისათვის. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ გერმანიის დაზვერვაში გადაუნაცვლებია და არც თუ ცუდად ასრულებდა დავალებას ომიანობის დროს. არც ამერიკელები დარჩენილან გულგრილად ოდიშარიასა და მისი ჯგუფის მიმართ.

საბჭოთა კავშირის დაზვერვამ თვალში ამოიღო ოდიშარია, რამდენჯერმე თავდასხმაც მოუწყო, მაგრამ ამერიკელების დახმარებით ოდიშარიას და მის ჯგუფს თავი დაუძვრენია.

თვისტომებთან ოდიშარიას კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ბევრ გაჭირვებულს მატერიალურ დახმარებას უწევდა. მაგალითად, იგი დაეხმარა სანდრო ახმეტელის შვილს ჯუნა ახმეტელს.

1946 წლის ივნისის ერთ მშვენიერ დღეს ოდიშარია თავისი ჯგუფის რამდენიმე წევრთან ერთად უგზოუკვლოდ გაქრა. ეჭვი საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტზე ავიღეთ. ამის საფუძველი გვქონდა, რადგან მანამდეც იყო მოტაცების შემთხვევები. ასე მოიტაცეს, მაგალითად, ქართული ლეგიონის მეთაური შალვა მაღლაკელიძე.

თურმე ჩემი ჯერიც დგებოდა.

როგორც ჩანს, საბჭოთა დაზვერვა დიდი ხანია მითვალთვალებდა. ავად გავხდი, რადიკულიტი მაწუხებდა, არაფერმა მიშველა. ერთ-ერთმა ჩემმა ნაცნობმა რუსმა მირჩია, ვენის საავადმყოფოში იმკურნალეო. ვენა მოკავშირეთა ჯარების ოთხ ზონად იყო დაყოფილი, იქ მისვლამდე კიდევ საბჭოთა ზონა იყო გადასალახავი. არ გამჭირვებია საბუთების შეგროვება, პასპორტიც ხელს მიწყობდა, — ძველი ემიგრანტის სახელზე იყო შევსებული. 1947 წლის ივლისში ვენას გავემგზავრე. საკონტროლო პუნქტზე პირველად ამერიკელებმა შემიმოწმეს საბუთები, შემდეგ — წითელარმიელებმა. „გრუზინ“! — იყვირა ერთ-ერთმა წითელარმიელმა (პასპორტში უსამშობლოს მაგივრად ქართველი მეწერა). წამავლეს ხელი და წამიყვანეს.

ორი თვე დახურული ვაგონით მატარეს ირკუტსკამდე.

იქ ერთი წელი მამყოფეს, 1949 წლის მიწურულში კი თბილისში ჩამომიყვანეს და 1950 წლის დასაწყისში 25 წლის კატორღა მომისაჯეს.

ეტაპით გამისტუმრეს ყაზახეთში, სადაც ახალი შახტები შენდებოდა და მილიონობით მუშახელი იყო საჭირო. იქ მხოლოდ პოლიტპატიმრებს ამუშავებდნენ.

ინვენტარიზაცია ჩუმბანურის პოლიტიკურ ბანაკებში ჩაგვიტარეს.

ბანაკში გაჩაღებული იყო ბრძოლა არსებობისათვის, რომელშიც ყველა ეროვნების პატიმარი მონაწილეობდა. ხშირად დასავლეთუკრაინელები იმარჯვებდნენ, შემდეგ — კავკასიელები. ბანაკის ადმინისტრაცია ეროვნული შუღლის სალიკვიდაციოდ არ ღებულობდა გადამწყვეტ ზომებს. პირიქით, ეს მას ხელს აძლევდა, ვინაიდან ბრძოლით დაქსაქსული პატიმრების მართვა უიოლდებოდა.

ეროვნული შუღლი დასავლეთუკრანელებსა და კავკასიელებს შორისაც გაჩნდა. დასავლეთუკრაინელებმა გვაჯობეს და 1952 წლის მიწურულს კავკასიელები გაგვასახლეს უფრო მკაცრ სადამსჯელო ბანაკში, ჩუმბანურიდან მე-10 კილომეტრზე.

აქ კავკასიის თითქმის ყველა ეროვნების პატიმრებისთვის მოეყარათ თავი.

მისვლისთანავე ერთი ქართველი პატიმრის სახე მეცნო. ოდიშარიას ჯგუფის წევრს მივამსგავსე. ჯერ კიდევ ჩემი საქმის ძიების პროცესში გავიგე, რომ ოდიშარია და მისი ჯგუფი დაეპატიმრებინათ, მოსკოვში ჩაეყვანათ, იქიდან კი თბილისში გადაეგზავნათ. დიდი ხნის უნახავი ძმებივით შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ უნდობლობის შიში ორივეს გვბორკავდა.

გავიდა ხანი, და ერთ მშვენიერ დღეს ის კაცი, სახელად დიმიტრი სხირტლაძე, ალაპარაკდა. ასეთი რამ მიამბო: ოდიშარია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო და უშიშროებამაც ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა. მოსკოვში გამოიძახეს საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო აკადემიკოსი, რომელიც გაგზავნეს ლექციის წასაკითხად, ხოლო ოდიშარიას სანდო პირის მეშვეობით შეატყობინეს, რომ თბილისიდან ესა და ეს კაცია ჩამოსული, საქართველოს ეროვნულ პრობლემებზე კითხულობს ლექციასო. ასეთი სატყუარა სამშობლოს მოწყურებული კაცისათვის უ..კდავების წყალია. ლექცია ტარდებოდა ავსტრიის ქალაქ ლინცში, რომელიც ამერიკულ ზონაში იყო მოქცეული, მაგრამ ქალაქს საბჭოთა ზონა ეკვროდა. ჩასულა ოდიშარია ლინცში. შეხვედრია იმ ქართველ აკადემიკოსს და მოულოდნელი შეხვედრის სიხარულის ცრემლი ორივეს უხვად ულვრია. აკადემიკოსი, თურმე, დიდი შთაგონებით კითხულობდა ლექციას, დარბაზიც სულგანაბული უსმენდა. არ გასულა ერთი საათი, რომ მსმენელებს რამდენიმე უცნობი ქართველი შემომატებია, ნებართვა უთხოვიათ, დამსხდარან და დაუწყიათ ლექციის მოსმენა. ოდიშარიას გამოცდილ გუმანს არ გამოპარვია მათი შემოსვლა, მაგრამ, როგორც ჩანს, აკადემიკოსის სიყვარულმა და ამერიკულ ზონაში ყოფნამ ოდნავ მოუდუნა სიფხიზლე. ნახევარი საათის შემდეგ წამომართულან უცნობი ქართველები, გარედანაც შემოპრილან, თითოეულ მსმენელს სამ-სამი ამოხდგომია გვერდში.

ოდიშარია და მისი მეგობრები გაკოჭილი გაუყვანიათ აუდიტორიიდან, სადაც მხოლოდ გაოგნებული, განცვიფრებული და თავზარდაცემული აკადემიკოსი დარჩენილა.

უშიშროების მინისტრმა აბაკუმოვმა თანამშრომლობა შესთავაზა, თურმე, ოდიშარიას, მაგრამ სასტიკი უარი მიუღია.

მოსკოვში დიდხანს არ გაუჩერებიათ ოდიშარიას ჯგუფი, თბილისში გადმოაგზავნეს.

მოუსვენრობა დაეტყო საქართველოს უშიშროების მინისტრს გენერალ რუხაძეს, დღეში რამდენჯერმე ეკითხებოდა შინაგან საქმეთა სამმართველოს შემადგენლობას ოდიშარიასა და მისი ჯგუფის მგზავრობის შესახებ. ერთი ჩინით წინ წაწევა ჰქონდა განზრახული დაზვერვის დიდოსტატს „ბოროტმოქმედთა“ ამ საქმის დამთავრების შემდეგ. გააფრთხილა კიდეც თავისი ხალხი, ჩამობარგებისთანავე მასთან, კაბინეტში მიეყვანათ ჯგუფის მთელი შემადგენლობა.

პატიმრებით დატვირთული მანქანა შებინდებისას მიუახლოვდა უშიშროების ჭურღმულებს. პატიმრები რუხაძის კაბინეტში შეყარეს. დიმიტრი სხირტლაძის მონაყოლით, კაბინეტში ასეთი საუბარი გამართულა:

— რომელია თქვენი უფროსი? — მკვახედ იკითხა რუხაძემ.

— მე გახლავართ, — გაუნძრევლად უპასუხა ოდიშარიამ.

— ოდიშარია შენ ხარ?! — თვალი გაუსწორა მინისტრმა.

— მე გახლავართ, — იყო პასუხი.

— მერე, ახე უნდა გეჭიროს თავი უფროსის წინაშე? — იღრიალა რუხაძემ.

— ჩემს უფროსს აქ ვერავის ვხედავ, — დამშვიდებით გასცა პასუხი ოდიშარიამ.

— აბა, მე ვინ ვარ? — კვლავ იღრიალა რუხაძემ.

— თქვენ მე ჯალათად გიცნობთ და არა უფროსად.

— მე მინისტრი ვარ... — ენა დაება რუხაძეს.

— არ უარვყოფ, ჯალათების მინისტრი..ბრძანდებით.

— როგორ, არაფერი გაქვთ ჩემთვის სათხოვარი? — მრისხანება მოთოკა რუხაძემ.

— ჩვენ მათხოვრები არა ვართ, დასახვრელად ჩამოგვიყვანეთ და დახვრას ველოდებით.

— ხომ შეიძლება რომ არ დაგხაჯოთ! — დაუყვავა რუხაძემ.

— ეგ თქვენს ძალას აღემატება.

— რატომ, შეიძლება, პირობას გაძლევ.

— პირობა, — მწარედ გაეცინა, — თქვენ და პირობა?

— კარგი, დავუშვათ, თქვენ პირადად არ გინდათ მოინანიოთ დანაშაული, მაგრამ თქვენ? — დანარჩენებს მიუბრუნდა მინისტრი.

— ჩვენი დანაშაული ერთნაირია და სასჯელსაც თანაბარს ველოდებით, — წამოიძახეს ერთბაშად.

— მაშ ახე, ვატყობ, წყალს ვნაყავ — თქვენგან არაფერი გამოვა.

— რას ფიქრობდით მაინც? — ჩაეკითხა ოდიშარია.

— მინდოდა დაგხმარებოდით, მაგრამ...

— კმარა, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი, — წამოიძახა ოდიშარიამ.

— თანახმა ვარ, შევწყვიტოთ, — დაეთანხმა რუხაძე, ხელი ღილაკს დააჭირა და კაბინეტი ზედამხედველებით აივსო. ერთ-ერთი მაღალი რანგის ოფიცერიც შემოყვა იმათ — ხომ იცი, როგორი გამასპინძლება სჭირდება ასეთ ხალხს?

— გასაგებია, ამხანაგო მინისტრო, — ოფიცერმა ხელი აუღო მინისტრს, თითო პატიმარს ორ-ორი ზედამხედველი ამოუყენა გვერდში და უსიტყვოდ დატოვეს უშიშროების მინისტრის გენერალ რუხაძის კაბინეტი...

სამი თვის სასამართლო პროცესის შემდეგ სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯეს ოდიშარიასა და ბონდო ელიავას. დანარჩენ ბრალდებულებს — სხვადასხვა ვადით პატიმრობა. როგორც წესი, თითოეულ მათგანს მისცეს უკანასკნელი სიტყვის უფლება. როდესაც ჯერი ოდიშარიაზე მიმდგარა, მას განუცხადებია:

— არაფერი მაქვს სათხოვარი, — მიუმართავს დარბაზისათვის, — მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ვიყავი, ვარ და ვიქნები ქართველი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ვიბრძოდი და ვიბრძოლებ კომუნისტური ტირანიის დასამხობად! თქვენ შეგიძლიათ ფიზიკურად მომსპოთ, გამანადგუროთ, მაგრამ იდეა უკვდავი იქნება, — მიაყოლა განაჩენის დასაწერად მიმავალ შემადგენლობას.

დიმიტრი სხირტლაძემ დაამთავრა შემაძრწუნებელი ამბის თხრობა. ერთმანეთს უსიტყვოდ გავშორდით. დასაძინებლად წავედი, მაგრამ დიდხანს თვალი ვერ მოვხუჭე.

თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით მე და დიმიტრი ერთმანეთს (სხვადასხვა ბრიგადებში ვიყავით განაწილებული), მაგრამ ძველ ამბავს აღარ მივბრუნებივართ.

ამ ამბის ერთად-ერთი ცოცხალი მოწმე მე ვარ შემორჩენილი ქვეყანაზე. არ მინდა საიდუმლო მიწაში ჩავიტანო და ამიტომაც მივმართავ ქართველ ემიგრანტებს: 1946 წელს, ქალაქ ზალცბურგში, დღისით, მზისით, უგზოუკვლოდ კი არ დაკარგულა ოდიშარია და მისი ჯგუფი, ისინი მიიტყუეს, მოიტაცეს საბჭოთა კავშირის დაგეშილმა უშიშროების ორგანოებმა და მთელი სისასტიკით დასაჯეს.

აღარ მახსოვს ოდიშარიასა და ელიავას დარჩათ თუ არა უცხოეთში ცოლშვილი, თუ ჰყავთ, დაე, დაგვიანებით მაინც შეიტყონ დაკარგულთა ამბავი. თქვენც ნუ დაიზარებთ, უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო, მათი სახელის მოსაგონებლად თითო სანთელი აანთეთ ეკლესიაში. დიმიტრი სხირტლაძეს რაც შეეხება, მან ყაზახეთის მიწაში ჩაიტანა სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული.

პოლიო გოგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადარჩენილი სიმღერა

თემურ ჭკუასელი

გვიანი შემოდგომა იყო. დარები გადაება. რაჭისკენ გამიწია გულმა. არასოდეს მენახა ზამთრისპირის რაჭა, თოვლის მოლოდინში გარინდული ულამაზესი მთები და გადათიბული სათიბები.

ამ დროს რაჭაში ხალხის სიმცირეა, მაგრამ შემოდგომის მზე თავისას აკეთებს და სოფლებში აქა-იქ შემორჩენილი ხანდაზმულები წამდაუწუმ თვალში მხვდებიან — ზოგი ორღობეში, ჭიშკართან ჩამომჯდარა კაი გამარჯობის სათქმელად, ზოგი ეზოს ეფერება, ზოგი შეშას აპობს ან ხერხავს, ზოგს კი მეზობლები შემოუკრებია ჯერ ბოლომდე დაუდუღებელი ხვანჭკარას თუ ალექსანდროულის დასაჭაშნიკებლად.

ჩვენი მასპინძელი, მეზობელს მონატრებული ყველა კაცივით ენაწყლიანი, კეთილადმოუბარი და მარტოობის ფილოსოფიით დატვირთული აღმოჩნდა:

„ძველად, როცა სოფელში ხალხმრავლობა იყო, — გვიყვება მასპინძელი, — სახლები შორიშორ გვედგა და წვეულებაზე მეზობლების დასაპატიჟებლად თოფს ვისროდით ხოლმე ბატონო. ვის ეზოშიაც უქმე დღეს თოფი გავარდებოდა, ორ-სამ საათში მისი სტუმრები ვიყავით ყველა.

ერთხელ, მახსოვს, გაბრიელა გამყრელიძეს შვილი ჩამოუვიდა ჯარიდან, გაიხარა ბერიკაცმა და დააქუხა თოფი, მოვიდნენ მეზობლები — ყველას გაეხარდა ახალგაზრდა კაცის სოფელში დაბრუნება. მოილხინეს იმ დღეს, მეორე დღეს. დილით, ვენახიდან ამობრუნებული გაბრიელა, ცოტა თვალს მოვატყუებო და აივანზე წამოწვა. რაღაც ხმაურზე წამოწია თავი და რას ხედავს — დაუჭერია ბიჭს თოფი და ეზოს თავზე მობორიალე ქორს უმიზნებს.

ჩვენი დინჯი ხასიათი მოგეხსენებათ, სანამ გაბრიელამ შეუძახა, არ ისროლო შე მამაძაღლოო, თოფიც გავარდა და ქორიც წყნარად გაფრინდა ქვემოთ, ხეობისაკენ.

წამოდგა გაბრიელა ბუზღუნ-ბუზღუნით. რაღას იზამდა, ბოსტანში გადასულ ქალს დაუძახა, ქათმები დაკალიო და თვითონ მარანში შევიდა.

მეზობლებს კი გაგვიკვირდა, მარა ხათრი ველარ გავუტეხეთ გაბრიელას და ასე ნაშუადღევს ჩავლაგდით მთელი სოფელი ეზოში. ჩამოგვეგება გაბრიელა ღიმილით, აბა რას იზამდა.

ბიჭის სადღეგრძელოს რომ სვამდნენ, ნამეტანი ყვარებიხარ მამაშენსო, მაშინ ველარ მოითმინა გაბრიელამ და... ამდენი ქათმების გაწყვეტას წაელო, ბიჭო, ერთი ვარიკუნა იმ ქორს, არ ჯობდაო?! დიდხანს იხსენებდნენ მერე ამ ამბავს სოფელში.

სიმღერებზე რომ მკითხეთ წეღან სწორედ გაბრიელა იყო პირველი მომღერალი ჩვენში. ამ ქვეყნიდანაც სიმღერით წავიდა სანწყალი. ბოლო დროს ავადმყოფობდა და ქალაქიდან საზაფხულოდ ამოსულმა ექიმმა ღვინო აუკრძალა. აღარც დაულევია ორი თუ სამი წელი. ერთ დღეს, მაშინაც შემოდგომა იყო, ბიჭისთვის დაუძახია და უთქვამს —

ვგრძნობ, რომ მალე მომაკითხავს ჩემი სეხნია. სიმღერები, თუკი რამე ვიცოდი, თითქმის გასწავლე ყველა, მაგრამ ერთმა სიმღერამ შემახსენა თავი ამ ბოლო დროს, ნამეტანი კარგია, მარა ვერ იქნა და ვერ გავიხსენე. იმ ქვეყნად მისი წაღება ცოდოა, არადა ფხიზელზე არ მახსენდება ის დალოცვილი, მოიტანე ახლა ერთი დოქი ღვინო, ერთი-ორი ჭიქით შენთან ერთად დამალოცვინე ეს ქვეყანა და იქნება გამახსენდესო...

ჯერ უშალა ბიჭმა, მერე მიხვდა, რომ ტყუილი იყო ყველაფერი. იმ საღამოს უკანასკნელად ჩამოსხდნენ მამა-შვილი. გაიხსენა გაბრიელამ სიმღერა და ასწავლა ბიჭს. ალიონზე კი გარდაიცვალა სანწყალი. წავიდა და სიმღერა დაგვიტოვა სანაცვლოდ, აბა! ასეთი კაცი იყო.

ახლა თოფი კი მაქვს სახლში, გამოვიტან და ერთი ძველებურად დავაქუხებ, ეგება გაგვიმართლოს და გვესტუმროს ვინმე...“

გამოიტანა მერე ჩვენმა მასპინძელმა ძველი, მოხევადებული, გრძელლულიანი, დაუმიზნა უღრუბლო ზეცას და გამოკრა ჩახმახს... თოფის ხმაზე, ხეობის გაღმა ერთი უცხო ფრინველი წამოფრინდა მხოლოდ და ქვემოთ, რიონის ჭალებისაკენ ჩაინაცვლა. მერე კი უფრო გამძაფრდა სიწყნარე, შემოდგომაზე რომ განსაკუთრებით საგრძნობია ხოლმე, ისეთი.

ამ თოფის ხმას ქალაქამდე, ცხადია, არ ჩაუღწევია, მაგრამ მე ვარ მოწმე და მენდეთ, რაჭაში ნამდვილად ისროლეს თოფი და იმედად არიან — ეგება დაგვიბრუნდეს ვინმეო...

●

ქართულ ხალხურ სიმღერას სტუდენტობის დროს დავუმეგობრდი. უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტმა, თავგადაკლული რომ ვიყავით სიმღერისათვის და ცალ-ცალკე დაჟინებით ვლამობდით ამ ჩვენთვის ჯერჯერობით ამოუცნობ სამყაროში შეღწევას, გუნდის რეპეტიციებზე გავიცანით ერთმანეთი. გავიცანით და მერე რაღა დაგვაშორებდა — ქართული ხალხური სიმღერა, ეს ულალატო დღესასწაული იყო ჩვენს შორის შუამავალი. დღისით, თუ მოვახერხებდით, ერთად ვიყავით, მაგრამ საღამო და ღამე ხომ ჩვენი იყო. საათობით ვიდექით ხოლმე სადმე მოფარებულში, ერთმანეთს ვასწავლიდით სიმღერებს, ვარჩევდით ვარიანტებს, ვიმეორებდით ცალკეულ ფრაზებს. მოკლედ, გვიჭირდა ერთმანეთთან, უფრო კი სიმღერასთან განშორება, თუმცა, ეს, ალბათ ერთი და იგივეა, რადგან ყველა სიკეთესთან ერთად ქართული სიმღერა ხომ იმითაცაა მადლიანი, თუ მასთან დამეგობრება ისურვე, აუცილებლად ვინმე უნდა გყავდეს გვერდით. ამის დასტურად კი, ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც სწორედ იმ დროიდან, ჩვენი სტუდენტობის დროიდან შემორჩა მეხსიერებას.

ივლისი იწურება. საოცრად ცხელა თბილისში. ჩემს მეგობარს ბინა ჰქონდა დაქირავებული ნუცუბიძის ქუჩაზე, ლისის ტბისკენ მიმავალი საბაგირო გზა რომ იწყება, იმის პირდაპირ. ჰოდა, იმ მეგობართან ვარ სტუმრად. პირთამდე გამოღებულ ფანჯარასთან ვსხედვართ პირველ სართულზე და სიცხისაგან გათანგულები დიდხანს ამაოდ ველოდებით აგრილებას. შუაღამეს კარგა გადაცილებული იყო, როცა ლისის ტბის მხრიდან, როგორც იქნა, ნიავი ჩამოგვეპარა. ოდნავ აგრილდა. ცოტა შვება ვიგრძენით თუ არა, დაძინებას ისევ ძველი ფირფიტით მრავალჯერ მოსმენილი სიმღერის გახსენება ვარჩიეთ. გარეთ კი ჭაჭანება არაა, არც კაცის და არც მანქანის.

და ამ დამამშვიდებელ სიწყნარეს, რომელსაც მხოლოდ ჩვენი წყნარი ღიღინი ადევნებოდა ფეხდაფეხ ვილაცის დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯის ხმა შემოერია. რატომღაც გავჩუმდით და ქუჩის იმ მხარეს მივაჩერდით, საიდანაც ფეხის ხმა ისმოდა. მალე გამოჩნდა შუახნის კაცი. ოდნავ დამძიმებულ, მაგრამ ზედმეტად მონდომებულ სიარულზე ეტყობა, რომ შეზარხოშებულია. როცა გაგვისწორდა, ჩვენსკენ არც მოუხედია, ისე შეჩერდა ცოტახნით. მერე ღიღინი წამოიწყო და ისევ გაუყვა ქუჩას. სიმღერა კი დაიწყო, მაგრამ არ იკითხავთ, რომელი სიმღერა და როგორ? გრძელი კახური მრავალჟამიერი — ურთულესი სიმღერა. წამოიწყებდა სიმღერას, მერე მის მიერვე დაწყებულ მელოდიას იქვე მეორე ხმას შეაშველებდა, შემდეგ კი ბანზე ჩამოდიოდა. იმღერებდა ერთ ფრაზას ასე, ვეღარ აგრძელებდა და ისევ თავიდან იწყებდა ყველაფერს. მოკლედ, გაწვალდა კაცი. როგორია მარტო კაცისათვის სამივე ხმის მღერა?

მეგობარს ვეუბნები — დაიტანჯა, ბიჭო, ადამიანი, გავიდეთ და მივეხმაროთ-მეთქი. გავედით. წამოვეწიეთ და ამოვუდექით აქეთ-იქიდან, გადავხვიეთ ხელები და შევუყევით. ასე ერთად ვიმღერეთ ეს მშვენიერი სიმღერა. ჩვენ ხომ გავლაღდით და ვისიამოვნეთ, ახლა იმ კაცს აღარ იკითხავთ? გვიყურა, გვიყურა კარგა ხანს, ჩვენც ღიმილით შევცქეროდით, მერე ცრემლი ჩაუდგა თვალებში და გვითხრა — აი, ასეთები იყავით ბიჭებო ყოველთვისო — გამოგვემშვიდობა და წავიდა.

მაშინ სტუდენტები ვიყავით.

●

1985 წლის გაზაფხულის წვიმიანი დღე იყო. ვანს ვესტუმრეთ. დიდხანს ვისხედით სოფლის კლუბში და მეორე დღეს დანიშნული ფოლკლორის საღამოსათვის წინასწარ ვარჩევდით მონაწილეებს. ზღვა ხალხი მოაწყდა კლუბს. ზოგი საკუთარ ლექსს გვიკითხავდა, ზოგი მეზობლისა თუ ნათესავის მოსწრებულ ნათქვამს გვიზიარებდა, ზოგი კი იმერულად მონათლულ ტკბილხმოვან სიმღერას აღიღინებდა გიტარაზე. დრო გადიოდა, ნალდი იმერული სიმღერა კი, ძველი სიმღერა, ხალხის მიერ ჩამოქნილი და ხალხისვე სულის საძირკველზე ჩამაფიქრებელი, ვერა და ვერ მოვისმინეთ. ასე მიილია 4 თუ 5 საათი. ჩვენც გადავიღალეთ და ჩვენი მასპინძლებიც, დარბაზშიც შეთხელდა ხალხი და სცენაც დაცარიელდა და უკვე წასასვლელად გამზადებულებს ვილაცამ გვითხრა, სოფელ დუცხუნიდან ჩამოსულან გლეხები და ასე თქვეს, ჩვენს სიმღერასაც ხომ არ მოისმენენო. მაშინ ამ სოფლის სახელი არც გამეგონა, მოგვიანებით მითხრეს, მაღლა, იმერეთის მთებს ყოფილა შეხიზნული, სადღაც, სურების გამოღმა. ისევ შევბრუნდით დარბაზში. კლუბის პატარა სცენაზე კი დინჯად, მორიდებულად შემოლაგდა 11 კაცი, სოფლის მაღაზიაში ნაყიდი, მოურგებელი სანიადაგო ტანსაცმლით, დიდი, ნაჯაფი ხელის მტევნებითა და მზეზე ნაწრთობი ქარდაკრული სახეებით. არეულ-დარეულად დადგნენ, უხერხულობისაგან ხელებს იფშვნეტდნენ და დაბნეულად იღიმებოდნენ. აშკარად პირველად იდგნენ სცენაზე.

რას გვიმღერებთ-მეთქი, ბიჭებო, — უფრო გასამხნევებლად ვკითხე ამ ჭარმაგ ხალხს და პასუხის ნაცვლად ერთ-ერთმა ისე წყნარად და მოულოდნელად, ყოველგვარი სამზადისის გარეშე დაიწყო სიმღერა, რომ მაშინვე მივხვდი, ამ ხალხისთვის ეს სიმღერა ისეთივე სისხლხორცეული გახლდათ, როგორც სიკვდილ-სიცოცხლე, როგორც დაბადება და გარდაცვალება, როგორც ალიონის ღიმილი, როგორც სევდა, როგორც ამქვეყნად არსებობისათვის ნიადაგ შრომა, როგორც წუხილი თავისიანისა თუ მოკეთის ბედზე, როგორც თავად ცხოვრება ამქვეყნიური. ნადურს მღეროდნენ...

მღეროდნენ დუცხუნელი გლეხები. მღეროდნენ ნალდ, ძველთაძველ სიმღერას თავად ძველთაძველი ხალხის შთამომავალნი. და, როგორც ყოველთვის მემართება ხოლმე ახალ, უცხო, მაგრამ მშობლიურ სიმღერასთან შეყრის ჟამს, ახლაც სიტყვებით ძნელად გადმოსაცემი განცდა დამეუფლა, განცდა, რომელიც ამქვეყნად, ალბათ, ყველაზე კეთილშობილია, განცდა შენი ხალხის სიყვარულისა.

ცრემლი მომეძალა. სიმღერამ კი თანდათან ტანი აიყარა სცენაზე და ძალუმად აჟღერდა. ისევ ვიგრძენი, როგორ დამენამა ქუთუთოები. მერე კი ნელ-ნელა გაიცრიცა გარემო და სცენაზე მდგარი ხორხდაბერილი მომღერლები სულ სხვა სამყაროში გადასახლდნენ სიმღერასთან ერთად.

ნათლად დავინახე მთებით შემოჯარული ტაფობი. იქვე პატარა, ანკარა მდინარე მოლიკლიკებს ხეობაში სიოს გაკვალულ გზაზე. მდინარის პირას სამარგლავად ამოზრდილი ყანა. ყანაში თოხებით გვერდიგვერდ ჩამდგარი მომღერლები. მზე შუბისტარზეა. მერე მცირე ხნით ამ გამოთქმამ ამიყოლია. მზე შუბისტარზეა... ქვეყანაში, სადაც მიწას საკინძეს გადაუხსნი თუ არა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ქვისა თუ ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული თოხის პირებს პოულობენ, საიდან უნდა გაჩენილიყო ასეთი გამოთქმა? როცა ჩვენმა წინაპრებმა შუადღის მოსაფერებლად ამ ულამაზეს ფრაზას მიაგნეს, რატომ არ თქვეს, მზე თოხისტარზეო? ძნელია დღეს ამის განსჯა, მაგრამ ათას გადამთიელ მოძალადესთან გამუდმებულმა ომებმა, ეტყობა შუბის ტარს უფრო შეაჩვია ეს მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ახლაც აგერ, ყანას რომ თოხნიან ოფლითდაცვარულები, იარაღი იქვე აქვთ, შორიახლოს. თოხნიან და თან მღერიან. ერთ სიმღერას ჩაათავებენ და სანამ ახალს წამოიწყებენ, ერთმანეთს ეხუმრებიან, ერთმანეთს ექილიკებიან. საქილიკოს კი, იცოცხლე, რა გამოულევთ. დათუნას ღვინო უყვარს და შელამდება თუ არა, ხან ვის ეპატიჟება და ხან ვის მიაკითხავს ტაბლასთან ჩამოსაჯდომად. გოგია ქალების მუსუსად მონათლეს, ყვებიან და ყვებიან მისი უიღბლო სიყვარულის ამბებს — ზოგს მართალს და ზოგსაც მოგონილს. კოწია ბუზღუნაა, ყველაფერზე უკმაყოფილო. მექი ერთხელ ცხენს გადმოუგდია და აბა ამას როგორ დაუვიწყებენ. ოტია მეოცნებეა, მოხსნის ხოლმე ოცნებათა გუდას თავს და ვინ იცის, რაღას არ მოიოცნებებს. ყველამ ერთად კი კარგად იცის ერთი რამ — ის, რასაც ჩვენ ცხოვრებისეულ სიბრძნეს ვეძახით. იციან, რომ თუ დაბალი ვერ შესწვდა, მაღალი კი არ მოდრკა, კოცნა დაიკარგება. იციან, რომ შურიანები კვდებიან, მაგრამ შური კი ისევ რჩება. იციან, რომ ღამე მაკეა და არავინ იცის დილა რასა შობს. იციან, რომ დიდი ჭირის წამალი ცოტა რამაა სამყოფი. იციან, რომ დანაშაულის სხვაზე გადაბრალება ადამ და ევას დროსაა დაწყებული. იციან, რომ დამალულა — ჭირს [illegible] კაცი მოკლას. იციან, რომ დიდი დარდის დასავიწყებლად, ახალ დარდს გაუჩენენ ხოლმე ხალხს. იციან, რომ კაცი მოკვდება და სიტყვა არა. იციან, რომ მამის ნაჭამი ტყემალი შვილს მოკვეთს კბილებს, იციან, რომ თუ მოლალატე კალთაზე მოგედო, ის კალთა უნდა მოიჭრა. იციან, რომ მოხავალს მოცდა უნდა. იციან, რომ სოფელი ერთი კაცია და იციან, რომ ბოლოს და ბოლოს, სხვის საფლავს ვერავინ ამოავსებს.

კიდევ ბევრი რამ იციან დუცხუნელმა გლეხებმა. იციან, როგორი ტანჯვით იბადება ამქვეყნად ყოველი სიცოცხლე და რა ჩალის ფასი აქვს ყოველთვის. დაარქვეს კიდეც ჩვენს საცხოვრისს წუთისოფელი. ისიც იციან, რომ ტანჯვას არაფერი ისე არ ამსუბუქებს, როგორც სიმღერა, იციან, რომ ამქვეყნად ყველაფერი მოვალეობაა — ჭირის მოვალენიც ჩვენა ვართ და ლხინისაც.

ამიტომაც იყო, მუდამ რომ მღეროდა ქართველი, გინდ ლხინის მოვალე ყოფილიყო და გინდაც უზომო სევდისა.

კარგად იციან ყველაფერი ეს დუცხუნელმა გლეხებმა, რადგან ეს ცოდნა მათთან ერთად დაიბადა. როგორც კი დედის საშოში ჩაისახნენ, ეს ცოდნაც სისხლთან ერთად ამოძრავდა მათ სხეულში, გულსა და გონებას კვებავდა სისხლთან ერთად, რადგან თავად სისხლია ეს ცოდნა, და, თუკი ვინმე გამოერეოდათ, ვისაც ეს ცოდნა არ ჰქონდა, ალბათ ამიტომაც, ნათლავდნენ მას უსისხლოდ. ამ ცოდნაში ხომ სიმღერასაც ლომის წილი ედო მუდამ, ისიც ხომ სისხლთან ერთად მიმოიქცეოდა მათ ძარღვებში. და, თუკი ვინმეს წაისწრებდნენ სიმღერის უმადურს, მასაც უსისხლოს უძახდნენ მუდამ.

მზე შუბისტარზეა ისევ, კაცებს ჩრდილში მოუყრიათ თავი და დათიას ღვინით სავსე ხელადა ჩაუგდია ხელში. ოტია კი აბა რის ოტიაა, რომ არ იოცნებოს:

„ამ ღრუბელზე ახლა რომ შემეძლოს ბიჭებო, გამოვაბამდი ბაწარს ყურში, მივაბამდი აგერ ამ ხეზე, გავიდოდი ზედ, დავთესდი სიმინდს, ამობიბინდებოდა ყანა, აგიყვანდით მერე თქვენც, გავმარგლიდით, გავთოხნიდით, მოწეულ ტაროებს კი ზედ ნალიასთან გადმოვყრიდი ძირს. მორწყვა დასჭირდებოდა ყანას თუ რა, ღრუბლის წყალსაც სიმინდი შეიწოვდა. წვიმა ნაკლები იქნებოდა და ჩრდილი მეტი. რა კაი სათოხნია მერე ღრუბელი, მე შენ გეტყვი ამ მიწასავით იქნება გამომხმარი.

— ბარემ სახლიც დაგედგა ზედ, ა?! ოტია!

— აბ! არ ივარგებს მაგი, გამოივლის ნახვამი დათუნა სალამოხანს, გადამიჭრის ბაწარს და უყარე მერე კაკალი, წაგვილებს ზენა ქარი ოჯახიანად სადღაც გადასაკარგავში, აქაურობის მომტოვებელი ვარ მე?

— ჰე! გეყოფა, ოტია, ავდგეთ, ახლა და სანამ მართლა წასულა სადმე აგი ღრუბელი და ჩრდილი გადასულა, მივხედოთ საქმეს“...

ჩარიგდებიან მერე ეს წუთისოფლის გულთამხილველი ადამიანები მზისა და მიწის გულზე და ისევ ახმიანდება უცნაურად ნათქვამი სიმღერა, ჩვენი ტანჯვისა და სიამის ეს მარადიული თანამგზავრი.

მინაწერი: როცა დუცხუნელებმა სიმღერა დაამთავრეს, როცა ისევ გადავაწყდი მათ მორიდებულ მზერას, რომელსაც, ახლა შეფასების მოლოდინში ცნობისმოყვარეობაც შეზავებოდა, უეცრად შემზარა წარმოდგენამ — სულზე რომ არ მივვესწრო, როგორ უკვალოდ გაქრებოდა ეს გასაოცარი სიმღერა ამ ქვეყნიდან, რადგან ეს თერთმეტი კაცილა გახლდათ მისი უკანასკნელი თავშესაფარი.

# სამყაროს ჰარმონიის ძიებაში



XX საუკუნის ხელოვნებამ სინამდვილის asახვის პრინციპი მეტად თავისებურად განახორციელა: ამბოხით, მრავალრიცხოვან მიმდინარეობათა სწრაფმავალი ცვლილებით, პარადოქსების მთელი მრავალფეროვნებით დაუპირისპირდა სინამდვილეს და ეს ამბოხი მხატვრული შემოქმედების ძირითად იმპულსად გადააქცია.

თანამედროვე სამყაროს გლობალურმა პრობლემებმა: ტექნიკური პროგრესის სისწრაფემ, სოციალური ურთიერთობების სირთულემ, შიშისა და გულგრილობის სინდრომმა, ეკოლოგიური საშიშროების გარდუვალობამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა „ადამიანური არსებობის რადიკალური კრიზისით მოტივირებული ხელოვნება შექმნა“ (ზ. კაკაბაძე) და აბსოლუტურად შეცვალა ხელოვნების ადრინდელი ფუნქცია; მთლიანად იცვალა სახე სახვითი ხელოვნების ფსიქოლოგიურმა სფერომ. იგი ძირითადად განგაშის, პანიკის, ტრაგიკულობისა და უიმედობის მაუწყებელი გახდა. ამასთან, მხატვრობა გამოეთხოვა თავის ტრადიციულ როლს— ესთეტიკური სიამოვნების მინიჭების შესაძლებლობას; გამოეთხოვა სილამაზის შექმნის სურვილს.

თანამედროვე ხელოვნების ამგვარ, შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე პროცესში განსაკუთრებით მწვავედ დადგა ხელოვნებისათვის მისი სულიერი ფასეულობების შენარჩუნების, შემოქმედის მიერ ინდივიდუალური პოზიციის დამკვიდრებისა და მხატვრული რეალიზაციის აუცილებლობის საკითხი. ამ მხრივ საინტერესოდ მიგვაჩნია მხატვარ ლევან ლალიძის შემოქმედება.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ლევან ლალიძის ნამუშევრებიდან გვრჩება, არის შინაგანი დრამატიზმის შეგრძნება, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს სიმშვიდის განცდა. ეს განწყობილება ემოციურად იღვრება მხატვრის ყველა ნამუშევრიდან და უშუალოდ გამომდინარეობს მისი პოზიციიდან — უკუაგდოს ადამიანისა და გარემომცველი სინამდვილის მტრული ურთიერთდამოკიდებულება; თავის ნამუშევრებში ასახოს არა კონფლიქტი სამყაროსა და ადამიანს შორის, არამედ დაგვიბრუნოს მათი ჰარმონიული ერთიანობის ნოსტალგიური განცდა.

ლევან ლალიძე ხატავს მისთვის სასურველ სამყაროს. იგი გარემომცველ რეალობაში ეძებს და ჰპოვებს მისთვის მნიშვნელოვან ხატს და თანმიმდევრულად, განზოგადოებისა და ანალიზის საშუალებით, თითოეულ ნამუშევარში ქმნის სამყაროს დასრულებულ მოდელს, რომელიც დროისა და სივრცის საკუთარი განზომილებით გამოირჩევა. აქ წესრიგისა და სილამაზის ავტორისეული კანონები მოქმედებს. ეს სამყაროს სავსე ფერადოვნებით, ხშირად უჩვეულო, მეწამული ზეცით თუ ღამეული სიშავით, ძირითადად უკაცრიელია. პეიზაჟური მოტივი მხატვრის სულიერი ძიებების გამოხატვის საშუალებად აღიქმება, ამიტომ იგი უფრო ფართო აზრობრივი შემცველობით იტვირთება, განწყობილების მრავალფეროვნებით ხასიათდება და შინაგანი მნიშვნელოვნების ძალით მოქმედებს. მრავალჯერ განმეორებული ერთი და იგივე მოტივი ამკვიდრებს ავტორის იდეურ და მხატვრულ პოზიციას, და მას საუკეთესო ფერწერული და კომპოზიციური ვარიანტის მონახვის შესაძლებლობას აძლევს.

უმეტესად მცირე ზომის, ყოფითობისაგან მთლიანად განთავისუფლებულ პეიზაჟებში მხატვარი ხან უახლოვდება ბუნების რეალურ სახეს, ხანაც განზოგადოებისა და დეკორატიულობის გაძლიერებით შეგნებულად ქმნის აბსტრაქტული კომპოზიციის ილუზორულ ეფექტს, რომელიც პეიზაჟის ელემენტებით არის შედგენილი და პეიზაჟური მოტივის განწყობილებით მოქმედებს.

ლევან ლალიძე ძირითადად შორიდან დამკვირვებლის პოზიციით ხატავს, რაც მას განზოგადოებისა და სინთეზის, გამოსახულების მთლიანობაში წარმოდგენის საშუალებას აძლევს. მხატვარი თანმიმდევრულად ამუშავებს კომპოზიციის ორგანიზაციის თავისებურ სტრუქტურას: ხან მაღალი ჰორიზონტითა და ხეების რიგით, ხანაც ქალაქის სილუეტის მრავალფეროვანი ვარიაციებით. მისი სურათების ხაზგასმული კონსტრუქციულობა კომპოზიციის აგების უნივერსალურ პრინციპად არის არჩეული. მხატვარი ბუნების მასალისაგან, პეიზაჟის ელემენტების გამოყენებით, სიბრტყის რიტმული ორგანიზაციით, გამოსახულებისა და თავისუფალი სივრცის დაპირისპირებით აგებს სურათის კონსტრუქციას, რომლის ფარული წესრიგი განსაზღვრულობის, სიმშვიდისა და მნიშვნელოვნების შეგრძნებას იწვევს. ნამუშევართა ფერწერული სახიერება ავტორის სულიერი მდგომარეობისა და ემოციური განწყობილების მთავარი მაუწყებელი ხდება. იგი პოეტურლირიულ განწყობილებას, ჰარმონიულობას მატებს ლევან ლალიძის მშვიდსა და გაწონასწორებულ სამყაროს.

ლევან ლალიძის სურათების ფერწერული ორიენტაცია ყოველთვის ითვალისწინებს გამოსახულების პლასტიკურ თავისებურებებს. მხატვარი ისე წარმართავს შემოქმედებით მუშაობას, რომ მიაღწიოს ფერწერისა და ნახატის, ფერისა და ფორმის სრულ სინთეზს. კომპოზიციის ეს ორი ძირითადი კომპონენტი ყოველთვის თანაბრად ავსებს და არასოდეს არ არღვევს ერთიმეორის ფუნქციებს: სწორედ ფერის სიმდიდრის საშუალებითაა მიღწეული ფორმის სისავსე და ხატოვანება. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები ნათელჰყოფს, თუ რა დიდხანს, ფაქიზად და დაკვირვებით მუშაობს მხატვარი ფერის კომპოზიციაზე, მის ჰარმონიულ მთლიანობაზე. კოლორიტის უტყუარი ინტუიცია მას [illegible] ფერწერული ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობას აძლევს, რაც სრულყოფილად ხორციელდება მის სერიულ ნამუშევრებში.

ფერის საშუალებით მხატვარი კიდევ ერთ განსაკუთრებულ თვისებას ანიჭებს თავის სურათებს. იგი საგნებს მათთვის დამახასიათებელი, ბუნებრივი მდგომარეობიდან და ყოფითობისაგან ათავისუფლებს, წმინდა ფერწერულ მოვლენად აქცევს და ახალ ფაქტურას ანიჭებს. ასე იქმნება მის სურათებში უბრალო ქვების ქარვისებრი ელვარება, ეკლესიის შენობის კრისტალისებური გამჭვირვალება, მრუმე ხეების ხავერდოვნება, მუქი მოშავო-მოიისფრო ფონის სივრცობრივი ილუზია.

გამოფენამ ცხადყო, რომ თავის შემოქმედებაში ლევან ლალიძე შესანიშნავად წყვეტს მის მიერ დასმულ პრობლემებს: დაუბრუნოს ადამიანი გაუცხოებულ სამყაროს, ორგანული მთლიანობის განცდით დააკავშიროს მასთან („თბილისი“, „ორნი“), ბუნებრივი კანონზომიერებით, საკუთარ თავში ჩაღრმავების სურვილით ახსნას მარტოობის მარადიული თემა („მეოცნებე“, „მოლოდინი“), მოძებნოს სამყაროს ჰარმონიული, სულიერი იდეალი.

ბაია წიქორიძე





# მართლაც ბევრი რამ არის სამწუხარო

პასუხად ჯაბა იოსელიანს

გაზეთ „ქართული ფილმის“ 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა თქვენი წერილი „განკურნების გზა“, თავისი P.S.-ურთ.

ამჯერად ჩვენ არც პოლიტიკურ პოლემიკას გიმართავთ და არც დიალოგს, მაგრამ არ შეგვიძლია არ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ თავისებური ესსეს მინაწერისადმი. თქვენ აღნიშნავთ, რომ ერთი თვის წინათ ამ მასალის დაბეჭდვაზე უარი თქვა გაზეთმა „ახალგაზრდა ივერიელმა“, მასაც კარგად ურტყამთ („სახელი კი გამოიცვალა, მაგრამ სახრავს ძველებურად შეექცევა“). უფრო თავშეკავებულად, მაგრამ მაინც ირონიულად წერთ მეორე გაზეთზე — „ზრდილობიანი უარი შემოგვითვალა გაზეთმა „თბილისმაო“ და... აჰა, „დარტყმა“ იმ გაზეთზე, სადაც საერთოდ არ მოგიტანიათ ეს წერილი:

„ლიტერატურულ საქართველოზე“ ხომ ლაპარაკი ზედმეტია — იქ ჩემს პატარა ნოველებსაც აღარ აქვეყნებენ“...

შემდეგ:

„ალბათ კურიოზია და „მამულმაც“ კი, რომელშიც ჩვენ ერთი თვის წინ მივიტანეთ სიმართლის ამსახველი ქრონიკა, ჰკუის დარიგებით გამოგვისტუმრა. მაგარიც ისაა, რომ 6 წლის წინათ, როცა ბატონ აკაკი ბაქრაძეს დევნიდნენ, მის დასაცავად დაწერილ წერილსაც სწორედ ის ბედი ეწია — „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ ჰკუის დამრიგებლური სენტენციებით გამოგვისტუმრა“.

ვერ გეტყვით, უნდა გაგვკვირვებოდა ეს ყველაფერი თუ არა...

ჩვენ მაინც გაკვირვებული დავრჩით:

ჯერ ერთი, რატომ გაქვთ თქვენ უფლება ყველა რედაქციას აუწიოთ ყური და რატომ არა აქვს რომელიმე რედაქციას უფლება, „ზრდილობიანი უარი“ გითხრათ ან „დარიგებით გამოგისტუმროთ“?..

რაც შეეხება თქვენს მიერ ამ ექვსი წლის წინათ ჩვენს რედაქციაში ბ-ნ აკაკი ბაქრაძის დასაცავად მოტანილ წერილს, რომლის დაბეჭდვაზეც თავის დროზე უარი უთქვამთ, მას არც ჩვენი გაზეთის დღევანდელი რედკოლეგია იცნობს და არც რედაქტორთა საბჭო, ასე რომ, იმ სტატიის დღევანდელ კონტექსტში ძალად მოქცევა, ცოტა უხერხული ხომ არაა (მეტი რომ არა ვთქვათ)?..

რაღაც სხვა მიზეზმა ხომ არ გამოიწვია თქვენი მეხსიერების დაძაბვა?..

მესამე. თქვენ „ლიტერატურულ საქართველოზე“ ლაპარაკი ზედმეტად მიგაჩნიათ იმის გამო, რომ იქ, თურმე, თქვენს „პატარა ნოველებსაც კი აღარ ბეჭდავენ...“

უნდა დაგვეთანხმოთ, რომ „ლიტერატურულ საქართველოს“, თქვენი „პატარა ნოველების“ გარდა, სხვაც ბევრი რამა აქვს დასაბეჭდი. ერთი წუთით გაიხსენეთ რამდენი მწერალია საქართველოში და რამდენად უჭირს კვირეულ გაზეთს მათი ნაწარმოებების წელიწადში ერთხელ მაინც დაბეჭდვა... როგორ გგონიათ, სხვები კა ნაკლები მღელვარებით ელოდებიან თავის, ასე ვთქვათ, რიგს?..

და აი, ამ სიტუაციაში წელს თქვენი ორი მოთხრობა უკვე დაიბეჭდა. თანაც, ვთქვათ და რედაქცია არ დააკმაყოფილა თქვენი მოთხრობების მხატვრულმა დონემ, როგორ ფიქრობთ, არა გვაქვს უფლება — რაც არ მოგვწონს — არ დავბეჭდოთ?!

არ დაგიმალავთ, თქვენი „პატარა ნოველების“ დონის ნაწარმოებები ჩვენს პრესაში იბეჭდება. ამით არც რამე შავდება და არც ლიტერატურას ემატება რაიმე, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა შევურიგდეთ საერთო დონეს... მაგრამ, ამ შემთხვევაში დაბეჭდვისაგან ჯერჯერობით იმიტომაც შევიკავეთ თავი, რომ არ გვინდოდა მავანსა და მავანს ისინი იმ სამწუხარო ხმების შეხსენების საბუთად გამოეყენებინა, რომლებიც ამ ბოლო ხანებში გავრცელდა ქალაქში. აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ...

ეჰ, სამწუხარო მართლაც ბევრი რამაა... იმასაც მოვესწარით, რომ ავტორი რედაქციას უდიერად იხსენიებს იმ წერილის დაუბეჭდაობის გამო, რომელიც რედაქციაში საერთოდ არ მოუტანია.

ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ დღეს უზნეობა და ზნეობა აირია ურთიერთში, თავმოთნეობა და პატივმოყვარეობა გაპარპაშდა, და, საერთოდ, კაცი ვერ გარკვეულა — ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი?!

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე,

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ანდრო ბედუკაძე.



რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 98-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით